
შეხვედრა სოჭში
A5


"ენგურჰესის" რეაბილიტაცია კიდევ ერთხელ გადაიდო
A6


აჭარული სილამაზე
B8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 5 აპრილი, 2005 წელი. №76 (936)

ფასი 50 თეთრი

## სამართალი

### ორმაგი სტანდარტი ბორის ბერეზოვსკის მიმართ



*კანონი ერთია და მის წინაშე ყველა თანასწორია. ქართულმა რეალობამ კი აჩვენა, რომ არა მხოლოდ შეიძლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევა, არამედ ერთი და იმავე ადამიანის მიმართ კანონმდებლობის ორმაგი სტანდარტით გამოყენებაც დასაშვებია, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი სხვადასხვა სტატუსით სარგებლობს - მაგალითად, ბორის ბერეზოვსკი.*

A7

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

**მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

**ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.**

## ამინდი

| | 5/4 | 6/4 | 7/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 14 | 20 |
| ქუთაისი | 13 | 17 | 21 |
| ბათუმი | 11 | 16 | 21 |
| სოხუმი | 12 | 16 | 19 |
| ფოთი | 12 | 17 | 21 |
| თელავი | 17 | 13 | 19 |
| ზუგდიდი | 14 | 18 | 21 |
| გორი | 10 | 11 | 16 |
| ახმეტა | 17 | 15 | 19 |
| ჭიათურა | 11 | 13 | 18 |
| გაგრა | 13 | 16 | 18 |
| სამტრედია | 13 | 17 | 21 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8400 |
| ევრო | 2.3861 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4719 |
| რუბლი | 0.0660 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | მედიცინა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| ფოსტა | A8 | სხვადასხვა | B8 |


# „საზღვარი უნდა ჰქონდეს იმას, რაც ქართულ ჯარში ხდება!"

### არასამთავრობოები აცხადებენ, რომ ამ პრობლემებს ბუშის ვიზიტისას გაახმაურებენ

ვერიკო თევზაძე

**"შეშფოთებას იწვევს არა ის ფაქტი, რომ ჯარში წამება შეინიშნება, არამედ ის, რომ თავდაცვის მინისტრს ჰყოფნის უტიფრობა და ცინიზმი, რომ წამება გაამართლოს,"** - ასე გამოხატა გუშინდელ შეხვედრაზე პაატა ზაქარეიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა უკიდურესი აღშფოთება ქვეყნის თავდაცვის სისტემაში შექმნილი ვითარების, განსაკუთრებით კი, თავდაცვის მინისტრის განცხადებების თაობაზე, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილმა საგურამოს ინციდენტთან დაკავშირებით გააკეთა. პაატა ზაქარეიშვილი აღელვებული ტონით აცხადებს: **"ირაკლი ოქრუაშვილმა შეითავსა პროკურორის და მოსამართლის ფუნქციები... ახლა საბოლოოდ გამომჟღავნდა, ვის ხელშია კანონის უზენაესობა. ქვეყანაში ისე ირღვევა ადამიანის უფლებები, რომ, თუ ასე გაგრძელდა, ყველაფერი თავზე დაგვენგრევა."** ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ ბუშის ვიზიტის დროს ამ თემაზე საუბარი უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. იგი იმედს იტოვებს, რომ **"ამერიკის საელჩო შეერთებულ შტატებს მიაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება დღეს ჩვენს სამხედრო ნაწილებში."**

**"რა შეიძლება კიდევ მოხდეს ამაზე უარესი ქართულ ჯარში?"** – რიტორიკულ შეკითხვას სვამს თინა ხიდაშელი და პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს მიმართავს, დაინტერესდეს ამ საკითხით და ერთხელ მაინც მოაწყოს საკომიტეტო მოსმენა. ხიდაშელი საზოგადოებას შეახსენებს პრეზიდენტის მიერ მრავალგზის გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, თავდაცვის სფერო გასაიდუმლოებულად ითვლება და შესაბამის თემებზე ხელისუფლება ხმამაღლა არ საუბრობს. **"ჩვენ მაინც ვიტოვებთ უფლებას, დავსვათ შეკითხვები,"** – აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, რომლის აზრითაც, **"საზოგადოებას ცოტა უფრო ადრე უნდა ამოეღო ხმა ჯარში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით."**

"ოქრუაშვილის უტიფარი განცხადებების" შემდეგ არასამთავრობოები საგურამოს სამხედრო ნაწილში მომხდარ ინციდენტზე პასუხისმგებლობას მთლიანად თავდაცვის მინისტრს აკისრებენ. მესამე სექტორის წარმომადგენლები მინისტრ ოქრუაშვილს დეპუტატ ფიქრია ჩიხრაძის მისამართით გაკეთებული საკმაოდ არაკორექტული გამოსვლის გამოც კიცხავენ: **"მინისტრი დეპუტატის მიმართ ამგვარი განცხადების გაკეთებას ვერ უნდა ბედავდეს. ნებისმიერ თავმოყვარე პარლამენტში ასეთ მინისტრს პრობლემები შეექმნებოდა და მისი კარიერა დასრულდებოდა."**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პაატა ზაქარეიშვილი, თინათინ ხიდაშელი და დავით დარჩიაშვილი მკაცრ შეფასებას აძლევენ ქართულ ჯარში არსებულ ვითარებას.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოლეგ პანფილოვი აფხაზეთში მხოლოდ თბილისის გავლით ჩავა

### "ბუნებაში არ არსებობს მიზეზი, რამაც ქართველები და რუსები შეიძლება ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყოს"

სოფო ბუკია

*ოლეგ პანფილოვი, "ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის" დირექტორი. დაიბადა ტაჯიკეთში 1957 წელს.*
*დაამთავრა ლენინაბადის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, მუშაობდა მასწავლებლად, 10 წელი დაკავებული იყო მეცნიერებით –არქეოლოგიით, ცენტრალური აზიის ხალხების კულტურის ისტორიით, ეთნოგრაფიით...*
*1984 წლიდან ჟურნალისტიკაშია. მუშაობდა* Associated Press-*ის კორესპონდენტად . 1992 წელს ვარშავაში საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სკოლა დაამთავრა.*
*1993 წელს ჟურნალისტთა უფლებების დაცვის ამერიკული კომიტეტის მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელობდა.*
*2000 წლიდან "ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის" ხელმძღვანელია.*
*2000-ზე მეტი სტატიისა და ოცზე მეტი წიგნის ავტორი, მათ შორის, "ჟურნალისტები ჩეჩნეთის ომში" და "საინფორმაციო ომი ჩეჩნეთში".*
*რუსეთის ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატი.*
*2002 წელს პოლიტოლოგ გია ნოდიასთან ერთად რუსულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი ინტერნეტ-საიტის შექმნა გადაწყვიტა. ასე გაჩნდა* www.pankisi.info, *სადაც დილეტანტური და ღვარძლიანი პრესისგან დაღლილი ინტელექტუალური მკითხველი რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე კომპეტენტურ აზრს იპოვის.*



გაგრძელება B1 გვერდზე

## პოლიტიკურ-პარტიული ბრძოლების სერიალი პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

ერთი შეხედვით უმნიშვნელო და ნაკლებად აქტუალურ საკითხსაც კი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ქვეტექსტი ახლდეს. ასე მაგალითად, ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა კანონმდებელთა მხრიდან დიდ ყურადღებას დაიმსახურებდა, მაგრამ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე სწორედ ასე მოხდა.

პარლამენტის თავმჯდომარის კატეგორიული მოთხოვნით, აღნიშნული კანონპროექტი მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგიდან ამოიღეს, რადგან, ნინო ბურჯანაძის განმარტებით, **"საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, პარლამენტს, ბუნებრივი რესურსების მონოპოლიზების საკითხებში, გარკვეული უფლებები ერთმევა და ისინი მთავრობასა და პრეზიდენტს გადაეცემა."**

**"როდესაც მთავრობა და პრეზიდენტი არ ითხოვს პარლამენტის უფლებამოსილების შეკვეცას, ამას ჩვენი სურვილით რატომ ვაკეთებთ?"** - გაოცებას ვერ მალავს პარლამენტის თავმჯდომარე და აინტერესებს, საიდან გაჩნდა ასეთი "ნოვაციური აზრი". გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს თამაზ ხიდეშელს სპიკერი მკაცრად აკრიტიკებს და საყვედურობს: **"გაუგებარია, ასეთი სერიოზული საკითხი ჩემამდე რატომ არ მოიტანეთ. ერთ სიტყვა მაინც დაგცდენოდათ!"**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ქუთაისის მერიას საკადრო წმენდის მორიგმა ტალღამ გადაუარა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

4 აპრილს პრეზიდენტის რწმუნებულს იმერეთში გია გეწაძეს თანამდებობა ოფიციალურად უნდა დაეტოვებინა. მართალია, გუბერნატორი თავის სამუშაო ოთახში უკვე კარგა ხანია არ იმყოფება, მაგრამ თანამდებობა კვლავაც არ დაუტოვებია.

**"ბრძანება დაწერილი არ არის. ამ წუთში გეწაძე ითვლება მივლინებაში წასულად და მე ვასრულებ მის მოვალეობას. დებულებით არის განსაზღვრული, რომ როგორც კი გეწაძე გადადგამს ფეხს, წავა ქუთაისიდან, უფრო სწორად, იმერეთს გაშორდება, მე ვარ მოვალეობის შემსრულებელი,"** - აცხადებს რწმუნებულის პირველი მოადგილე ზურაბ ქაჯაია "24 საათთან" საუბარში.

ქუთაისში გავრცელებული ინფორმაციით, გია გეწაძე თბილისში შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, ის იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან გუბერნატორის რანგში სატელეფონო კავშირზე რჩება.

**"გია გეწაძემ გუშინ და გუშინწინ რამდენჯერმე დამირეკა და ისეთ საკითხებზე მკითხა, რომ არ ჰგავს იგი წასულ კაცს. ვნახოთ, რა იქნება,"** - ამბობს ზურაბ ქაჯაია.

პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ გეწაძის სავარაუდო შემცვლელების შესახებ ინფორმაცია არა აქვს, თუმცა იცის, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ქუთაისელობას მიენიჭება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დეპუტატები მთავრობას და ერთმანეთს ეომებიან

### ორმაგი დაპირისპირება პარლამენტში

*საპარლამენტო უმრავლესობის რიგებში არეულობაა - პრეზიდენტის მხარდამჭერ პოლიტიკოსთა ურთიერთდაპირისპირება სააშკარაოზე გამოდის და განხეთქილება დეპუტატებს შორის იმდენად თვალშისაცემი ხდება, რომ მის უარყოფას აზრი არ აქვს.*

თამარ ასათიანი

გუშინდელი დღე ამის ნათელი დასტური იყო. უმრავლესობის რიგებში არეულობის მორიგი სიგნალი პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გაისმა, როცა ერთმანეთს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი დაუპირისპირდნენ.

კონფლიქტის გაგრძელებას ჟურნალისტები უკვე უმრავლესობის დახურულ სხდომაზე ელოდნენ. მართლაც, სხდომა საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა, ოღონდ, არა იმიტომ, რომ ბიუროზე ამტყდარი სკანდალი ამ შეკრებაზე გაგრძელდა. პირიქით - დეპუტატებმა თითქოს დაივიწყეს ურთიერთწყენა და, საერთო ძალებით, უკვე ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს შეუტიეს, რომელიც ამ სხდომაზე საგანგებოდ იყო მიწვეული.

თავდაპირველი ვერსიით, მას პასუხი უნდა გაეცა იმ კითხვებზე, რომელიც ე.წ. დიზელის სკანდალს უკავშირდება. თუმცა, ამ თემაზე საუბარი სხდომის მიწურულს გაიმართა. პრემიერ-მინისტრი მხოლოდ ორიოდე ფრაზით შემოიფარგლა და მთავრობის ქმედება სრულიად და სავსებით გაამართლა. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, საქართველოს მთავრობამ დიზელის საწვავი იმ ფასად შეიძინა, რომელიც იმ დღეებში იყო. ამით ეს კონკრეტული თემა ამოიწურა.

გაცილებით მწვავე იყო დახურული სხდომის პირველი ნაწილი, როდესაც დეპუტატებმა პრემიერ-მინისტრს იმ კანონპროექტის თაობაზე მოსთხოვეს განმარტება, რომელიც ბენზინის და სიგარეტის ლიცენზირებას ეხება. როგორც დეპუტატები აცხადებენ, ამ კანონის მიღების შემთხვევაში, მეწარმეებს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნებათ, რადგან ნავთობპროდუქტებისა და სიგარეტის ქვეყანაში შემოტანის მსურველ ბიზნესმენებს, მიზნის მისაღწევად, საკმაოდ ბევრი და ძვირი პროცედურების ჩატარება მოუწევთ. პირველ რიგში, დეპოზიტზე, მინიმუმ, ასი ათასი ლარის დადებაა აუცილებელი.

ამ კანონპროექტის ავტორი მთავრობის ეკონომიკური გუნდია. პარლამენტს კი დაუშვებლად მიაჩნია ისეთი კანონპროექტის განხილვა, რომელიც თავისთავად გულისხმობს ქვეყანაში კონტრაბანდის ზრდას. ამის თაობაზე პრემიერ-მინისტრს გუშინ არა მხოლოდ უმრავლესობის ლიდერებმა, არამედ რიგითმა დეპუტატებმაც მიუთითეს. თუმცა, ზურაბ ნოღაიდელი შეუვალი აღმოჩნდა - მისი თქმით, ამ კანონის მიღების შემთხვევაში, კონტრაბანდა ქვეყანაში არ გაიზრდება და იგი ხუთ-ექვს პროცენტს არ ასცდება. "მე თავად ავიღებ პასუხისმგებლობას, რომ კონტრაბანდის ზრდა ქვეყანაში არ იქნება," - განუცხადა პრემიერ-მინისტრმა დეპუტატებს, რაც, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არავინ დაიჯერა.

გუშინვე, პრემიერ-მინისტრმა დეპუტატებს სამწუხარო რეალობა ამცნო - ქვეყანაში ენერგოკრიზისი კვლავაც გაგრძელდება. თუმცა, მას არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა აგოს პასუხი ასეთ არასახარბიელო პერსპექტივაზე.

დაბოლოს: უმრავლესობის დახურულ სხდომაზე ერთი პატარა სკანდალიც მოხდა - შეკრება საკმაოდ ხმაურიანად დატოვა პარლამენტარმა გია თორთლაძემ.

ჟურნალისტებთან საუბარში თორთლაძემ არ დააკონკრეტა, თუ რა საკითხთან დაკავშირებით მოუვიდა მას უკმაყოფილება საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან, თუმცა განაცხადა, რომ ქვეყანაში ჯერ პენსიები უნდა გაიზარდოს, შემდეგ კი სხვა საკითხები უნდა მოგვარდეს.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამ ბოლო დროს გია თორთლაძეს უმრავლესობის ლიდერებთან უთანხმოება რამდენჯერმე მოუვიდა. პირველად მაშინ, როდესაც თორთლაძემ პარლამენტს "წიაღის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა მოსთხოვა, მეორედ კი - ბიუჯეტის განხილვის დროს. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის ტენდენციები, რომელიც მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში შეინიშნება და რომლის თანახმადაც, საქართველოში პენსიებისა და ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

ჯერჯერობით, თორთლაძე უმრავლესობის რიგების დატოვებას არ აპირებს, მაგრამ, ჩვენი ინფორმაციით, გუშინ მასზე "ნადირობა" "კონსერვატორებმა" დაიწყეს.

# უფასო სასწრაფო დახმარება მთელი საქართველოსთვის



*სასწრაფოს ერთ-ერთ ზარს პრეზიდენტმა უპასუხა.*

26 მაისისთვის სასწრაფო სამედიცინო მომსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით უფასო და სათანადოდ აღჭურვილი იქნება. სასწრაფო დახმარება "03"-ის სამსახურს, გუშინ პრეზიდენტის თანდასწრებით, "მერსედესის" ფირმის 24 ახალი ავტომანქანა გადაეცა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, თვის ბოლოსთვის "03"-ის ავტოპარკი 40-მანქანამდე გაიზრდება. ასევე, იგეგმება ტექნიკური და მედპერსონალის ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდაც. ჯანდაცვის მინისტრი კი სასწრაფო დახმარების სამსახურის თანამშრომლებს 2001-2002 წლებში დაგროვილი სახელფასო დავალიანების დაფარვას შეჰპირდა.

*24 საათი*

# პოლიტიკურ-პარტიული ბრძოლების სერიალი პარლამენტში

პირველი გვერდიდან


*ხათუნა გოგორიშვილმა განაცხადა, რომ ტოვებს ყველა საპარლამენტო კომიტეტს.*

ნინო ბურჯანაძეს მხოლოდ დეპუტატებთან როდი აქვს სასაყვედურო. მის აღშფოთებას ისიც იწვევს, რომ მთავრობამ პარლამენტში შემოიტანა კანონპროექტი, რომელიც ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებისთვის საიდუმლო ბრძანებების გამოცემის უფლების მინიჭებას ითვალისწინებს.

**"რაღაც სუპერსამინისტროებს ვქმნით, რომლებსაც შემდეგ უკვე ვეღარ გავაკონტროლებთ,"** - პარლამენტის თავმჯდომარე მთავრობის ახალ საკანონმდებლო ინიციატივაში დემოკრატიული ფასეულობებისთვის სერიოზულ საფრთხეს ხედავს.

ნინო ბურჯანაძის მხრიდან აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკა ამით არ მთავრდება. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი აღმასრულებლებს იმაშიც ადანაშაულებს, რომ მთავრობის გამოისობით, **"პარლამენტს ერთი სასესიო კვირის განმავლობაში, ერთი და იგივე სფეროში, ურთიერთგამომრიცხავი კანონპროექტების მიღება უხდება."** სპიკერი მოითხოვს, რომ მინისტრთა კაბინეტმა პარლამენტში ისეთი გაწონასწორებული სამოქმედო გეგმა წარმოადგინოს, რომელზეც მთავრობა და საკანონმდებლო ორგანო ერთად აიღებენ პასუხისმგებლობას.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძეს მძაფრი "შინაომის" გადატანაც მოუხდა. პარლამენტის სპიკერს "გაერთიანებული დემოკრატების" გუნდის წევრები დაუპირისპირდნენ. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც დეპუტატმა ხათუნა გოგორიშვილმა პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა საატესტაციო-საკონკურსო კომისიის წევრობაზე უარი განაცხადა. საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ თავისი პროტესტი იმით ახსნა, რომ **"კომისიის შემადგენლობაში მისი შეყვანის თაობაზე არსებობდა პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება, რომელიც არ შესრულდა."**

პარლამენტის თავმჯდომარეს "დემოკრატებმა" ისიც უსაყვედურეს, რომ საკონკურსო კომისიის დებულების პროექტზე ხელი არ მიუწვდებოდათ და ეს დოკუმენტი მათთვის მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ საბოლოოდ დაამტკიცა.

ისედაც გამწვავებული სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის განცხადებამ, რომ **"კომისიის შემადგენლობაში არიან ადამიანები, ვისაც აქვს წინასწარი სია, თუ ვინ უნდა გახდეს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი."** აღნიშნული განცხადების პასუხად, ნინო ბურჯანაძემ კატეგორიულად მოითხოვა კომისიის იმ წევრთა გვარების დასახელება, ვისაც "წინასწარი სია" გააჩნია. აქვე, ვითომ სასხვათაშორისოდ, პარლამენტის სპიკერმა შენიშნა, რომ მიზანშეუწონელია, როდესაც ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად რამდენიმე კომისიის წევრია.

ეს რეპლიკა ხათუნა გოგორიშვილმა თავის თავზე მიიღო და მორიგი საპასუხო სვლა გააკეთა - განაცხადა, რომ ტოვებს ყველა საპარლამენტო კომისიას, რომელშიც ის არის გაწევრიანებული.

ასეთი დაძაბული შიდაპოლიტიკური დაპირისპირების ფონზე იწყება საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების მორიგი ციკლი, რომლის მთავარი მოვლენაც, წესით, საბიუჯეტო ცვლილებების მიღება უნდა გახდეს. ამ საკითხის განხილვას დეპუტატები დღეიდან შეუდგებიან და პარასკევს კენჭისყრის პროცედურით დაასრულებენ.

ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, ნინო ბურჯანაძემ ბიუროს სხდომაზე ერთი საყურადღებო განცხადება გააკეთა.

**"ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ყველა პრიორიტეტი შეიძლება გვერდზე გადაიდოს და მთელი ძალისხმევა ენერგეტიკის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოსაგვარებლად წარიმართოს. ამასთან, გასარკვევია, რამდენად მართებულია ის სქემა, რომლითაც მთავრობა ენერგეტიკის პრობლემის გადაჭრას აპირებს,"** - აღმასრულებელი ხელისუფლების კურსის კორექტირებას ითხოვს პარლამენტის თავმჯდომარე.

# ქუთაისის მერიას საკადრო წმენდის მორიგმა ტალღამ გადაუარა

პირველი გვერდიდან


*ბესო გულორდავა საკადრო წმენდის გაგრძელებას აპირებს.*

**"ჭორები შემიძლია გითხრათ. ამბობენ, რომ გეწაძეს ქუთაისის საგადასახადოს უფროსი დავით ჯავახაძე შეცვლის. ასევე, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეზე მამუკა მამალაძეზე მითხრეს. ბეჟან ხურციძეო, ვინმე მაღლაკელიძეო. დავით კირკიტაძეც დასახელდა. ეს ყველაფერი არის ჭორი. ამ ეტაპზე პრეზიდენტის დონეზე არც ერთი არ არის განხილული,"** - აცხადებს ქაჯაია.

სამხარეო ადმინისტრაციაში არსებული გაურკვევლობის ფონზე რადიკალური საკადრო ცვლილებები გრძელდება ქუთაისის მერიაში. ბესიკ გულორდავა ამბობს, რომ ნინო ბურჯანაძისგან მჭიდრო თანამშრომლობის პირობა მიიღო.

**"ამიერიდან ქალბატონ ნინოსთან მე აღარ მეყოლება შუამავალი, რომლებიც ხშირად ამღვრევდნენ წყალს პირადი მიზნებით. მე მექნება მასთან პირადი კონტაქტი ქალაქის პრობლემების მოგვარების გზებზე,"** - აცხადებს გულორდავა.

მაჟორიტარი დეპუტატის მხარდაჭერის იმედით, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ძველ და მოქმედ ჩინოვნიკებთან დაპირისპირებას აღარ ერიდება. რამდენიმე ვიცე-გუბერნატორის ლობირების მიუხედავად, გულორდავამ სამსახურიდან დაითხოვა საორგანიზაციო განყოფილების უფროსი კახა ქორიძე, სამეურნეო ნაწილის უფროსი გია ფხაკაძე და ბუღალტერი დარეჯან მხეიძე.

**"ეს გადაწყვეტილება იმ დარღვევების გამო მივიღეთ, რაც შიდა მოკვლევის შედეგად აღმოვაჩინეთ. კერძო ფირმები ისე აკეთებდნენ მერიაში სარემონტო სამუშაოებს, რომ არ დგებოდა დეფექტური ქმანები, მიღება-ჩაბარების აქტი. ბუღალტერი ურიცხავდა ფულს ამ ფირმებს, მიუხედავად იმისა, რომ იქ უნდა ყოფილიყო მიღება-ჩაბარების აქტი და ამის საფუძველზე უნდა გადაერიცხა,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა "24 საათთან" საუბარში.

ტრანსპორტის სამსახურის უფროსი დავით დოლაბერიძე ბესიკ გულორდავამ თანამდებობაზე მოსვლისთანავე გაათავისუფლა. ახალი კადრი კი მხოლოდ დღეს დანიშნა.

**"ვეძებდი პროფესიონალს. მე ვთვლი, რომ მამუკა ჩიხლაძე არის პატიოსანი ადამიანი. ტრანსპორტის სამსახურში სრული რეფორმა მოხდება და იმედი მაქვს, რომ ტრანსპორტის მაფიას ამ ქალაქში ერთხელ და სამუდამოდ გავტეხავ წელში. ტრანსპორტის მაფიაში ვგულისხმობ ხელისუფლების წარმომადგენლებს სხვადასხვა რგოლებიდან. ბიზნესს არავის არ ვუშლი, მაგრამ ან ერთ სკამს დაემშვიდობონ, ან მეორეს,"** - ამბობს გულორდავა.

რეფორმის მიუხედავად, გულორდავას მთავრობა ქუთაისში ამ კუთხით გასულ წელს ჩატარებული ტენდერის შედეგების გადახედვას არ აპირებს, თუმცა ამბობს, რომ ტენდერით შემოსული 26 ათასი ლარის ხარჯებში მნიშვნელოვანი დარღვევებია აღმოჩენილი.

დღესვე ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მთავრობაში კიდევ ერთი ჟურნალისტი დანიშნა. ზვიად ხუჯაძე სათავეში კულტურის სამსახურს ჩაუდგა. თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დაწერილი აქვს მერიის იურიდიული სამსახურის უფროსსაც. ბესიკ გულორდავა მერიაში კიდევ უფრო მასშტაბური ცვლილებების განხორციელებას სამი თვის შემდეგ გეგმავს, როცა ქუთაისის მთავრობის სტრუქტურული რეფორმის საბოლოო გეგმას რეფორმების კომისია წარმოადგენს. კომისია ქუთაისელი არასამთავრობოელებითაა დაკომპლექტებული.

**"ამ კომისიამ უნდა გააკეთოს ის, რაც წლების განმავლობაში არავის გაუკეთებია ქუთაისში: უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი სამსახურები, რომლებიც იქნება მობილური და მათ მუშაობას შეიგრძნობს ქალაქი. ქუთაისის მერია იქნება ძალიან მცირერიცხოვანი, ამავე დროს - დასაქმებული და დაკავებული ადამიანებით დაკომპლექტებული,"** - ამბობს მერის მოვალეობის შემსრულებელი.

რეფორმების კომისიის რეკომენდაციით, ქუთაისის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად შემცირდა კულტურისა და სპორტის ღონისძიებების დაფინანსება. მაგალითად, კულტურული ღონისძიებებისთვის გამოყოფილ 150 000 ლარს 90 000 ლარი მოაკლდა.

ახალი ხელისუფლება ეჭვქვეშ აყენებს ქუთაისში გრანდიოზული სპორტული კომპლექსის მშენებლობასაც, რომელსაც წინა მთავრობა გეგმავდა.

**"საქმე ის გახლავთ, რომ წარმოდგენილი პროექტის განხორციელება იმ თანხით, რაც არის დასახელებული, წარმოუდგენელია. 67-68 დოლარადაა შეფასებული კვადრატული მეტრის მშენებლობა, რაც აბსურდია. ასევე, გამოყოფილ ნაგებობაზე ამ კომპლექსის დაშენება არ შეიძლება, რადგან ის არის კოროზიული,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა.

მერის მოვალეობის შემსრულებელი სპორტული კომპლექსისთვის განსაზღვრული თანხის გამოთავისუფლებით ფასადების შეკეთებას აპირებს.

მერიის ახალი კაბინეტის ინიციატივებს განსახორციელებლად საკრებულოს თანხმობა სჭირდება, რაც ბესიკ გულორდავასთვის, საკრებულოსთან აქამდე არსებული გამოცდილებით, საკმაოდ რთული მოსაპოვებელი იქნება.

## მოკლედ

### მიხეილ სააკაშვილი მარნეულის რაიონს ეწვევა

დღეს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს დაგეგმილი აქვს მარნეულის რაიონს ეწვიოს და მოსახლეობისთვის დიზელის საწვავის დარიგების პროცესს დაესწროს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მთლიანად საქართველოს მასშტაბით, გლეხები მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოებისთვის 20-20 ლიტრ დიზელის საწვავს უსასყიდლოდ მიიღებენ. პრეზიდენტმა გლეხებისთვის დიზელის საწვავის დარიგების პროცესის გაკონტროლება თავად იკისრა.

მისივე თქმით, პირველ რიგში დიზელის საწვავი კახეთისა და ქართლის რეგიონებში მცხოვრებ გლეხებს დაურიგდებათ, შემდეგ - იმერეთში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთში და სვანეთში. **ინტერ-პრესი**

### გელა ჩარკვიანი: ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებზე საბოლოო დასკვნის გაკეთება მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი

საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სპიკერის გელა ჩარკვიანის აზრით, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებზე საბოლოო დასკვნის გაკეთება მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი და მიზანშეწონილი.

"პრემიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ამერიკის საგამოძიებო ფედერალური ბიუროსა და ქართული მხარის დასკვნები ერთმანეთს ემთხვევა და ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ რაციონალურად მოაზროვნე ადამიანს ეჭვები აღარ უნდა გაუჩნდეს, თუმცა ადამიანი თავისუფალია და ეჭვის შეტანა ყოველთვის ყველაფერში შეუძლია", - განაცხადა გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე ჩარკვიანმა.

გარდაცვლილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას ძმა გიორგი ჟვანია, ისევე როგორც, რაულ უსუპოვის მამა იაშა უსუპოვი, ეჭვქვეშ აყენებს ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის საბურთალოს N53-ში გარდაცვალების ფაქტს. მისი განცხადებით, "ეს ეჭვი ბუნებრივად მომდინარეობს იქიდან, რომ ბინაში ნაპოვნი არ არის არც ერთი გარდაცვლილის თითის ანაბეჭდი. საერთოდ, ყველა ანაბეჭდი, რაც ბინაშია ნაპოვნი არის ძველი, არა იმდღევანდელი, არამედ უფრო ადრინდელი".

გარდა ამისა, ზურაბ ჟვანიას ოჯახის წარმომადგენელმა სიგარეტის ის ნამწვავებიც ნახა, რომელიც გამოძიებას აქვს. "ზურას სიგარეტის მოწევის ძალიან სპეციფიკური მანერა ჰქონდა. არასდროს ეწეოდა სიგარეტს ბოლომდე. ნახევრამდე ეწეოდა და რაღაც დამახასიათებლად გრეხდა ხოლმე. სიგარეტის ათეულობით ნამწვავია გამოძიებაში და მხოლოდ ერთი შეიძლება დაახლოებით მივამსგავსოთ მის მიერ მოწეულს", - აცხადებს გიორგი ჟვანია. გარდა ამისა, მისივე თქმით, ეს ნამწვავები არა საფერფლიდან, არამედ ნაგვის ყუთიდანაა ამოღებული და ჩანს, რომ "იმ საღამოსთან აშკარად არავითარი კავშირი არ აქვს". **ინტერ-პრესი**

### საქართველოს სასაზღვრო უწყება სოხუმის განცხადებას ეხმაურება

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სოხუმს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ქართული გემების ჩაძირვის შესახებ აფხაზური მხარის მუქარა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებისგან თავის არიდებას ემსახურება.

სასაზღვრო უწყება გუშინ ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების განცხადებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ის თავის საზღვაო აკვატორიაზე კონტროლის გაძლიერებას იწყებს, რაც განპირობებულია მარტის თვეში ქართული კატარღების მიერ "აფხაზეთის ტერიტორიული წყლების" დარღვევით.

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი კიდევ ერთხელ აფიქსირებს, რომ საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და იურისდიქციის განხორციელება მხოლოდ საქართველოს და მისი სახელმწიფო ორგანოების პრეროგატივაა. გარდა ამისა, საქართველოს, როგორც გაერო-ს წევრ ქვეყანას გააჩნია სუვერენული უფლება, დაადგინოს მისი საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმი და უზრუნველყოს მის შესრულებაზე კონტროლი. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში სამი დღის წინ პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბზე შეიარაღებულ თავდასხმას "აფხაზეთის უსაფრთხოებაზე თავდასხმად" აფასებს.

ბაგაფშის შეფასებით, ანქვაბზე პერმანენტული თავდასხმებით გარკვეული პოლიტიკური ძალები აფხაზეთის ახალი ხელისუფლების დაშინებას ცდილობენ. მისივე მტკიცებით, იგივე პოლიტიკური ძალები ანქვაბზე თავდასხმებით განაგრძობენ ხელისუფლებისთვის "უკანონო და არაცივილიზებული მეთოდებით ბრძოლას". **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

— ეკა კვესიტაძის სვეტი —

## სიმართლე კანონს მიღმა

საქართველოს სიყვარულით - ემსახურეთ სამშობლოს! - ამ ლოზუნგით თავად პრეზიდენტი მოუწოდებს ახალგაზრდებს ჯარში წასვლას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ოცნებას. მაგრამ, პრეზიდენტის პატრიოტული მოწოდებების მიუხედავად, ჯარისკაცებს ენთუზიაზმი და ოცნების სურვილი, ალბათ, მალე დაეკარგებათ.

რკინის კაცი - ამ სახელით თავის დროზე თავს კახა თარგამაძე იწონებდა. მისი დრო წარსულს ჩაბარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, პოსტ-რევოლუციურ ეპოქას თავისი რკინის კაცი ისევ გამოუჩნდა. დღეს ირაკლი ოქრუაშვილი ამ ტიტულის ყველაზე სერიოზული პრეტენდენტია (თუმცა, კარგად უნდა ახსოვდეს, როგორ ამთავრებენ "რკინის კაცები" თავიანთ პოლიტიკურ კარიერას.).

საგურამოს სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტის შემდეგ მის მიერ გაკეთებული განცხადებები, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ახალ ქართულ ჯარში, რომელიც პრეზიდენტისთვის პრესკონფერენციების საამაყო თემაა, ჯარისკაცის სიცოცხლე არაფრად ფასობს. თავდაცვის მინისტრს, როგორც ჩანს, ის უფრო ანაღვლებს, შეინარჩუნებს თუ არა თანამდებობას კაპიტანი ლომსაძე, ვიდრე ის, გადარჩება თუ არა რიგითი არკადი კუკავა.

"კაპიტანი ლომსაძე, რა თქმა უნდა, შეინარჩუნებს თავის ადგილს და მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს," - ოქრუაშვილის ამ განცხადებაში განსაკუთრებული ცინიზმით ეს "რა თქმა უნდა" ჟღერდა. ჯარისკაცები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათი უფროსი ღამით მთვრალი შედიოდა ხოლმე ყაზარმაში, აგინებდა მათ და იარაღს ისროდა, უნდა დაისაჯონ "ჩაშვებისა" და ჯარის იმიჯის შელახვისათვის. ლომსაძე კი, რა თქმა უნდა, თავის ადგილზე დარჩება - ეს არის თავდაცვის მინისტრის ლოგიკა.

პირად მე და, ალბათ, ძალიან ბევრს ეჭვი არ შეპარვია ჯარისკაცების გულწრფელობაში, მაგრამ სანამ გამოძიება არ დასრულებულა, მანამდე დანამდვილებით ვერავინ იტყვის, სად არის სიმართლე. სამაგიეროდ, ოქრუაშვილს სულ არ სჭირდება არც გამოძიების დასრულება და არც მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი. რადგან მას დიდი ხანია, ამ ქვეყანაში თავი პროკურორიც ჰგონია და მოსამართლეც - ხელშეუხებელი თავდაცვის მინისტრი, რომელიც თავს იმდენის უფლებასაც აძლევს, რომ ომბუდსმენის სამხედრო ნაწილში შეშვება-არშეშვებასაც თავად წყვეტს.

ის, რომ სოზარ სუბარი გუშინ საგურამოს სამხედრო ნაწილში პირველი მცდელობისას არ შეუშვეს, კიდევ ერთხელ ადასტურებს - ჯარისკაცებმა სრული სიმართლე თქვეს და ოქრუაშვილს სულაც არ ანაღვლებს ეს სიმართლე. როგორც ჩანს, სიმართლე არც პრეზიდენტს აწუხებს. საერთოდ, მას შემდეგ, რაც ტელევიზიით ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელის ახალი სატელეფონო ჩანაწერები გაუშვეს, ხოლო კანცელარია გვიმტკიცებს, რომ კეზერაშვილისნაირი პატიოსანი მუშაკი ცოტა თუ მოიძებნება - სერიოზული ეჭვი ჩნდება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება შევარდნაძის ხელისუფლების გზას დაადგა.

რამდენიმე ხნის წინ, როცა პრეზიდენტმა სატელეფონო მოსმენები შიდა ქართლის პოლიციაში წმენდის დასაწყებად გამოიყენა, განაცხადა, რომ ის კრიმინალური ლექსიკით მოლაპარაკე პოლიციელებს ვერ აიტანდა. საინტერესოა, რატომ არ აღელვებს სააკაშვილს ფინანსური პოლიციის უფროსის კრიმინალური ლექსიკა?

დღეს აქტუალურ საკითხებზე პრეზიდენტი კომენტარს არ აკეთებდა, ის ჩვეულებრივ მოკლე, მაგრამ ეფექტური პიარ-კამპანიით იყო დაკავებული, ამჯერად სასწრაფო დახმარების ოფისში.

სამაგიეროდ, დღეს ძალზე საინტერესო კომენტარი გააკეთა ბადრი პატარკაციშვილმა. ის ჩანაწერები, რომელიც "კონსერვატორებმა" სპეციალურ პრესკონფერენციაზე მოასმენინეს ჟურნალისტებს, გუშინ "იმედის" ეთერით გადაცემა "დროებაში" უნდა გასულიყო, მაგრამ ის არხის მფლობელის დაჟინებული მოთხოვნით დაიბლოკა - ასე განაცხადა თავად გადაცემის წამყვანმა და ეს საკმაოდ თამამი განცხადება იყო კონფორმისტული ქართული მედიის ფონზე. დღეს პატარკაციშვილი თავის გადაწყვეტილებას უცნაურად ხსნიდა - მას არ სურდა ხელისუფლების წინააღმდეგ კომპრომატების ომში ჩაბმა. თუ ხელისუფლებაზე არსებულ კომპრომატებს მედია არ გამოაქვეყნებს - მაშინ რა არის მედიის ფუნქცია? როგორც ჩანს - მხოლოდ ხელისუფლებასთან მეგობრობა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია "იმედის" მფლობელის ლოგიკა და არა მარტო "იმედის" მფლობელის.




# „საზღვარი უნდა ჰქონდეს იმას, რაც ქართულ ჯარში ხდება!"

პირველი გვერდიდან

ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოს" დირექტორი დავით დარჩიაშვილი ხელისუფლებას შეახსენებს, რომ **"დისციპლინა არ ნიშნავს, ჯარისკაცს ყოველგვარი უფლება ჩამორთმეული ჰქონდეს."**

მუხროვანის ინციდენტისგან განსხვავებით, საგურამოში მომხდარის გამო, სახალხო დამცველის ოფისმა ხელისუფლებისგან განსხვავებული პოზიცია გამოხატა. გუშინ სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა სამხედრო ჰოსპიტლის რეანიმაციულ განყოფილებაში საგურამოს ბატალიონის ჯარისკაცი არკადი კუკავა მოინახულა, რომლის ავადმყოფობაში ნაწილის ჯარისკაცები ასმეთაურს გელა ლომსაძეს ადანაშაულებდნენ.

ამის შემდეგ სუბარმა ბატალიონში სტუმრობაც მოიწადინა, თუმცა ნაწილის უფროსმა ლეიტენანტმა რუსიშვილმა სახალხო დამცველს განუმარტა, რომ მას მიღებული აქვს ბრძანება, რომლის მიხედვითაც, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ნებისმიერი პირის შეშვება ეკრძალება. რუსიშვილმა სახალხო დამცველს ტერიტორიაზე შესაშვებად შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოფიციალური ნებართვა მოსთხოვა.

სუბარის თქმით, მის მიმართ უკანონობა ჩაიდინეს და დაარღვიეს "სახალხო დამცველის შესახებ კანონის" მე-18 მუხლი, რომლის თანახმადაც, სახალხო დამცველს შეუძლია, დაუბრკოლებლად შევიდეს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, სამხედრო ნაწილში და ციხეებში. **"სამხედროებს ჰგონიათ, რომ ისინი ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენენ, რომელიც კანონს არ უნდა ემორჩილებოდეს. ამგვარი ბრძანება რომც არსებობდეს, ის მაინც უკანონოდ ჩაითვლება,"** - განაცხადა პრესასთან კომენტარისას სოზარ სუბარმა. სახალხო დამცველი იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასმას აპირებს, ვინც ამგვარი ბრძანება გასცა და ვინც მას ასრულებს.

**"ამით ჩანს, რომ ჩვენ ჯარის აშენება კი არ გვსურს, არამედ ჯარისკაცების ნაცვლად ყურმოჭრილი მონები გვჭირდება, რომლებიც უკანონო ბრძანებებს შეასრულებენ. ეს არ არის წესრიგი. არ შეიძლება, არმიის მშენებლობა და ადამიანის უფლებები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს, რადგან, შესაბამისად, ეს სახელმწიფოს ინტერესებსაც ეწინააღმდეგება,"** - განაცხადა სოზარ სუბარმა. ომბუდსმენი აპირებს, აღნიშნული ფაქტის შესახებ პარლამენტის სხდომაზე განაცხადოს და, შესაბამისად, სამართლებრივი რეაგირება მოითხოვოს.

სახალხო დამცველს გუშინ ზუსტად ისე მოექცნენ, როგორც შარშან დეკემბერში მაშინდელ სამხედრო ომბუდსმენს ირაკლი სესიაშვილს (მუხროვანის ინციდენტის დროს, სახალხო დამცველის აპარატმა არა მარტო ჯარისკაცის უფლებების, არამედ თავიანთი თანამშრომლის - სამხედრო ომბუდსმენის დაცვაზე თქვა უარი).

სესიაშვილის გადადგომის შემდეგ სახალხო დამცველმა სამხედრო ომბუდსმენის ფუნქციები შეუთავსა თავის მოადგილეს ბაჩო ახალიას, რომელმაც მუხროვანში მომხდარი პროტესტის დროს საზოგადოებას განსაკუთრებულად დაამახსოვრა თავი და მაშინ მის შესახებ არერთგზის დაისვა შეკითხვა: "ეს ადამინის უფლებების დამცველია თუ პროკურორი?" დღემდე, სახალხო დამცველის აპარატის ეგიდით, საქართველოში ჯარისკაცების უფლებებს ბაჩო ახალაია "იცავს". ამ საკითხთან დაკავშირებით თინა ხიდაშელმა "24 საათს" განუცხადა: **"დღეს სამხედრო ომბუდსმენის ფუნქციას ახალაია ასრულებს და ეს ბევრ რამეზე მიუთითებს, ბევრ შეკითხვას ბადებს... სამწუხაროდ, ეს იყო ძალინ ცინიკური დამოკიდებულება ჩემი მეგობრის სოზარ სუბარის მხრიდან, როდესაც მან სამხედრო სფეროში ადამიანის უფლებების დაცვა დაავალა ისეთ პირს, რომელმაც მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებით პროკურორის როლი შეასრულა... როგორც ჩანს, ჯარისკაცის უფლებების დაცვა სახელმწიფოსთვის არ არის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული. შესაბამისად, არ გვყავს სამხედრო ომბუდსმენი. პრეზიდენტმა ბევრჯერ, მათ შორის, პარლამენტში გამოსვლისას თქვა, ამ თემაზე შეკითხვები არ უნდა დაისვასო. და არც არავინ სვამს კითხვებს."**

დავით დარჩიაშვილის აზრით, **"ჯერჯერობით, ვითარებას ეტყობა, რომ ეს სტრუქტურა არ ასრულებს თავის ფუნქციას. ნორმალურ ქვყანაში დამატებით უნდა არსებობდეს ჯარისკაცთა ასოციაციები, ოფიცერთა კავშირები, სამოქალაქო საბჭოები... დღევანდელი ჯარისკაცი არ არის 300 წლის წინანდელი ჯარისკაცი, ისე, როგორც საქართველოში არ არსებობს ბატონყმობა. ეს ყველაფერი წესდებაში უნდა იყოს დაწერილი. ერთ მაგალითს მოვიყვან ჰოლანდიის ჯარიდან: ახალწვეულებმა პროტესტი გამოხატეს იმის გამო, რომ ისინი ცუდ აბანოში დაჰყავდათ, ხოლო ნამსახურები ჯარისკაცები - უკეთესში. ამგვარი პროტესტი დისციპლინის დარღვევად არ ჩაითვალა. დისციპლინა და ჯარისკაცის უფლებები ერთმანეთისგან განსხვავდება."**

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუ ქართული ჯარის მშენებლობა დემოკრატიულ, ცივილიზებულ ღირებულებებს არ დაეფუძნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე გვექნება ფეოდალური ტიპის ჯარი ან ახალი მხედრიონი, რომელიც მოკლე ხანში დაიშლება.

**"ნატო და ევროკავშირი, რომელთა სახელებსაც ხშირად იმეორებს ჩვენი ხელისუფლება, არა ჯარისკაცის, ტანკის და თვითმფრინავის სიმრავლეზეა ორიენტირებული, არამედ დემოკრატიულ ღირებულებებზე. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ არა თუ ნატო-ს მივუახლოვდებით, იმ სიიდანაც კი ამოგვშლიან, რომელშიც უკვე ჩაწერილები ვართ,"** - დასძენს თინა ხიდაშელი.




# ბაზების საკითხმა ახალქალაქელებს სოციალური პრობლემები გაახსენა


"ნორ სერუნდის" წარმომადგენლები ახალქალაქისთვის მინიმალური ყურადღების მიქცევას ითხოვენ.

*"ახალქალაქში არავინ ითხოვს ავტონომიას, მაგრამ თუ ხელისუფლება კვლავ წაუყრუებს ამ რეგიონის პრობლემებს, შესაძლოა, ჯავახეთში ასეთი ლოზუნგიც გაჩნდეს," – აცხადებენ საქართველოს სომეხთა გაერთიანების "ნორ სერუნდის" წარმომადგენლები.*

სოფო ბუკია

რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას სამცხე-ჯავახეთში საპროტესტო აქციების ტალღა მოჰყვა. ახალქალაქში უკვე გაიმართა ორი ფართომასშტაბიანი მიტინგი. როგორც ქართველ სომეხთა გაერთიანების "ნორ სერუნდის" წარმომადგენლები აცხადებენ, იგეგმება მორიგი გამოსვლაც, თუმცა ზუსტი თარიღი, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის.

ჯავახეთში საპასპორტო სამსახურის გახსნა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სომხეთის ისტორიის ქართული ისტორიის დონეზე სწავლება, ქართული ენის არცოდნის გამო ხელისუფლებასთან სომხურ და რუსულ ენებზე ურთიერთობა, ადგილობრივი თვითმართველობის საარჩევნო ორგანოების დაფუძნება, ადგილობრივი სამსახურის შექმნა მიწის გადასახადის გადამხდელთათვის, ელექტრომომარაგება, ჟდანოვაკანში საბაჟო სამსახურის შექმნა, "ახალციხე-ახალქალაქი-ნინოწმინდა-ჟდანოვაკანის" გზის შეკეთება – ეს ის მოთხოვნებია, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის სომხური მოსახლეობის სახელით საზოგადოებრივმა მოძრაობამ "ერთიანი ჯავახკი" საქართველოს ხელისუფლებას გაუგზავნა.

ამ ჩამონათვალში, რატომღაც, ვერ მოხვდა ახალქალაქში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზის საკითხი, რამაც რამდენიმე დღის წინ სამცხე-ჯავახეთის რამდენიმეათასიან მიტინგებს მისცა საბაბი.

გაერთიანება "ნორ სერუნდის" წარმომადგენლების განცხადებით, რუსეთის სამხედრო ბაზები ახალქალაქური მიტინგების "მხოლოდ უკანასკნელი აქცენტი იყო". როგორც გაერთიანების წარმომადგენლები ირწმუნებიან, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობის უკმაყოფილება მხოლოდ "სოციალური სიდუხჭირით" არის ნაკარნახევი და პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია. **"ცხადია, ახალქალაქის მოსახლეობისთვის დიდი დარტყმა იქნება რუსეთის სამხედრო ბაზის გასვლა, რადგან იქ ასზე მეტი ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული. შესაძლოა, ეს იყო ბოლო წვეთი იმ აუტანელი ვითარებისა, რომელიც ახალქალაქში შეიქმნა,"** – აღნიშნეს გაერთიანების წევრებმა, რომელთა თქმით, ამ საპროტესტო მღელვარების უკან "ნამდვილად არავინ დგას".

ასე არ ფიქრობს სომხური დიასპორის წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის წევრი ვან ბაიბურთი, რომლის აზრითაც, ახალქალაქში შექმნილი ვითარება ხელოვნურადაა დაძაბული. **"რა თქმა უნდა, სამცხე-ჯავახეთში ხალხი ძალიან მძიმე სოციალურ პირობებშია და საპროტესტო აქციებით ხელისუფლების ყურადღების მიქცევას ცდილობს... ამავე დროს, ცხადზე ცხადია, რომ ვიღაც ძალიან დაინტერესებულია საქართველოში მცხოვრები სომხების გააქტიურებით. არ გამოვრიცხავ, რომ ვითარების დაძაბვას ახალქალაქში განლაგებული რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზის მოსამსახურეებმა შეუწყვეს ხელი. ცხადია ისიც, რომ ეს საკითხები ახალქალაქში არ წყდება. რუს სამხედროებს სომხური მოსახლეობის მეხუთე კოლონად გადაქცევა უნდათ, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ მიმართავენ,"** – აცხადებს ბაიბურთი.

არარეგისტრირებული პარტიის "ვირქის" თანათავმჯდომარე დავიდ რსტაკიანი რუსული საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში ადასტურებს, რომ ახალქალაქში განლაგებული სამხედრო ბაზის ბედი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სომხური მოსახლეობისთვის. **"ჩვენთვის გაურკვეველია, ვინ შეცვლის რუსულ სამხედრო ბაზებს. იქნებ საქართველომ თურქი სამხედროები მოიყვანოს? აქედან გამომდინარე, რუსული ბაზის დასაცავად ჩვენ ჩვენი უსაფრთხოება გვიბიძგებს. და კიდევ დათვალეთ რამდენი ადამიანია დასაქმებული რუსულ სამხედრო ბაზაზე... ეს დასაქმების ერთადერთი ადგილია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისთვის,"** – აცხადებს რსტაკიანი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მიმართ სრულ უყურადღებობაში სდებს ბრალს. **"რატომ გაგიკვირდათ მიტინგი? ნახეთ რა სოციალური ფონია,"** - იკითხა რსტაკიანმა.

ახალქალაქის სოციალური ფონის პირობებში იქ მრავალათასიანი გამოსვლებიც არავის გაუკვირდებოდა, რომ არა ამ საპროტესტო გამოსვლების დაწყების პერიოდი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას დაემთხვა. ზოგნი ამას მართლაც უბრალო დამთხვევად მიიჩნევენ.

**"ჩვენ ჩვენი თვალით ვნახეთ და მოვისმინეთ ის ლოზუნგები და მოთხოვნები, რაც იქ მოსახლეობას აქვს. ეს არის რეგიონი, სადაც ივლისშიც თოვს... ეს არის რეგიონი, რომელსაც ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მოსახლეობის მთავარი ლოზუნგი ჯავახეთში ასეთია – დავიღალეთ! ახალქალაქში არავინ ითხოვს ავტონომიას, მაგრამ თუ ხელისუფლება კვლავ წაუყრუებს ამ რეგიონის პრობლემებს, შესაძლოა ჯავახეთში ასეთი ლოზუნგიც გაჩნდეს,"** – განაცხადეს გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ნორ სერუნდის" წარმომადგენლებმა. მათი თქმით, გამოსავალი მხოლოდ ერთია – **"ხელისუფლების მხრიდან მინიმალური ყურადღება".**

საქართველოს ხელისუფლებამ ამჯერად "მინიმალურზე" მეტი გააკეთა და სამცხე-ჯავახეთში შექმნილ ვითარებას საკმაოდ მაღალ - საპრეზიდენტო დონეზე მიაქცია ყურადღება. კოჩარიანი-სააკაშვილის შეხვედრის მთავარი თემა სწორედ სამცხე-ჯავახეთი გახდა. სომხეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ოფიციალური პოზიცია, რომელიც მან აქამდეც არაერთხელ გააჟღერა და აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა-არგაყვანის საკითხი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია. სომხეთის პრეზიდენტის არაოფიციალური ვიზიტი დადებითად შეფასდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კოჩარიანის ვიზიტს საინტერესო უწოდა. **"სომხეთის პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ სამხედრო ბაზები საქართველოს საშინაო საკითხია და იგი ამ საკითხის კომენტირებისგან თავს შეიკავებს,"** – განაცხადა ბურჯანაძემ.

# მეოთხე სამშობიარო სახლში კვლავ გაურკვევლობაა

*უკვე რამდენიმე თვეა, რაც ქორიძის სახელობის მეოთხე სამშობიარო სახლში მთავარ ექიმსა და კოლექტივს შორის დაპირისპირება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ექიმი დალი გაბიძაშვილი 18 მარტს თანამდებობიდან გადადგა, დაძაბულობა კვლავ გრძელდება. ექიმები მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსის ლევან ალაფიშვილის გადაწყვეტილებას უპრეცედენტოს უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ მთავარი ექიმი კოლექტივმა უნდა აირჩიოს და არა კომისიამ. ისინი ეჭვობენ, რომ კომისიის ხელშეწყობით, მაისში მათი მთავარი ექიმი კვლავ დალი გაბიძაშვილი გახდება.*

თამარ დვალი

**"ჩვენი დაპირისპირება დალი გაბიძაშვილთან მისი მოსვლის დღიდანვე დაიწყო. მან დირექტორის სკამის დაპატრონებისთანავე ჩათვალა, რომ განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება შეუძლია. თანამშრომლების მიმართ მის არაკორექტულ ქცევასა და გამონათქვამებს, ფინანსური მაქინაციები და თანხების არამიზნობრივი განკარგვაც ემატება,"**– აღნიშნეს "24 საათთან" საუბრისას მეოთხე სამშობიარო სახლის თანამშრომლებმა. მათივე თქმით, ისინი იმიტომ დუმდნენ წლების განმავლობაში, რომ გაბიძაშვილს მაშინდელი მთავრობის წევრები უმაგრებდნენ ზურგს. **"ახლა იმიტომ გამოვთქვით ჩვენი აზრი, რომ გვეგონა, ახალი ხელისუფლება გაგვიგებდა, თუმცა ისეთივე იგნორირება მივიღეთ, რისიც წინა ხელისუფლების დროს გვეშინოდა,"** – აღნიშნეს მათ.

ექიმების ნაწილი, რომლებმაც მთავარი ექიმის გადადგომის მიზნით, ჯერ იშიმშილეს და შემდეგ მერიის შენობასთან აქციები გამართეს, მათ სამსახურში შესული კომისიის მუშაობას უნდობლობას უცხადებენ.

**"ჩვენი საჩივრის საფუძველზე შემოსულმა რამდენიმე კომისიამ საქმე ერთმანეთს გადააბა და, საბოლოო ჯამში, ჩატარდა დაწესებულების ე.წ რიგითი "კომპლექსური კომისია." ამ ფაქტმა იმთავითვე გახადა ნათელი, რომ გაბიძაშვილს ქალაქის დღევანდელ მთავრობაში ახალი მფარველი გამოუჩნდა. აღნიშნულმა კომისიამ ჩვენ მიერ მიწოდებული, დარღვევის არც ერთი ფაქტი არ მოიძია. ალაფიშვილი საუბარში ადასტურებდა, რომ დარღვევები იყო. მის გაოცებას იწვევდა ის, რომ დირექტორის ყოველთვიური ხელფასი 40 000 ლარს შეადგენდა. კიბის უჯრედის შესაკეთებლად 57 000 ლარი, ხოლო მთლიანი სამშობიარო სახლის რემონტისთვის 400 000 ლარი დაიხარჯა, თუმცა ბოლოს უარყო ყველაფერი და მადლობა გადაუხადა ქალბატონ დალის. ჩვენ გვაინტერესებს, რატომ შეირჩა ახალი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გაბიძაშვილის ახლობლობის ნიშნით, ან რატომ არავინ დააყენა ძველი სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც ოთხი წლის მანძილზე მათ არაფერი გაუკეთებიათ და მხოლოდ 2005 წლის იანვარში დარეგისტრირდნენ ოფიციალურად?"** – კითხულობენ ექიმები.

მას შემდეგ, რაც 18 მარტს დალი გაბიძაშვილს თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დაატოვებინეს, მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებლად მეორე სამშობიარო სახლის დირექტორი თამაზ ჭანტურია დანიშნეს, რომელმაც დალი გაბიძაშვილი იმავე დღეს ექიმად გააფორმა. როგორც მეოთხე სამშობიარო სახლის ექიმები ამბობენ, ჭანტურია გაბიძაშვილის ახლობელია და სწორედ ამიტომ დაუშვეს გამონაკლისი, რომ მას ორი სამშობიარო სახლისთვის ერთდროულად ეხელმძღვანელა. კოლექტივის მოთხოვნით, ჭანტურია გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან.

**"ჭანტურიას, რომელსაც ერთ სამშობიარო სახლში ვერ მოუგვარებია თავისი პრობლემები, ორ დაწესებულებას როგორ უხელმძღვანელებდა? ჩვენ გვაინტერესებს, ვისი ინტერესები დგას ამ ყველაფრის უკან. ან ვის აწყობს იმ სამშობიარო სახლში ექსპერიმენტების ჩატარება, რომელსაც ქალაქის ბიუჯეტში ყოველწლიურად 350 000 ლარი შეაქვს. რატომ არის გამზადებული გასათავისუფლებელი ექიმების სია? ვფიქრობთ, იმიტომ, რომ რეორგანიზაციის წესით გაყარონ "ამბოხებული" ექიმები და კონკურსის წესით უკან დააბრუნონ გაბიძაშვილი. არის თუ არა ყოველივე ეს თბილისის ქონების მართვის სამსახურის ერთპიროვნული გადაწყვეტილებები? რატომ უგულებელყოფენ კოლექტივის აზრს?"** – ამ კითხვებით მიმართავენ ქალაქის მთავრობას და საკრებულოს მეოთხე სამშობიარო სახლის ექიმები.

ამჟამად, ქორიძის სახელობის მეოთხე სამშობიარო სახლში მთავარი ექიმის მოვალეობას თემურ მირაქიშვილი ასრულებს. იგი კოლექტივისთვის მისაღები კანდიდატურა აღმოჩნდა. რაც შეეხება მაისის თვეში გასამართ კონკურსს, რომლის მიხედვითაც მთავარი ექიმი უნდა შეირჩეს, ექიმები უნდობლობას უცხადებენ.

**"ჩვენი ინფორმაციით, წინასწარვე ცნობილია, რომ დირექტორი კვლავ დალი გაბიძაშვილი გახდება. ბევრი შეიძლება იყოს კანდიდატი, მაგრამ დალის გაიყვანენ. ამის შესახებ თავად დალიც ამბობს, მაისში ისევ მე დავბრუნდებიო. ჩვენთვის უცნობია, ვინ არიან კომისიის წევრები. არ გვინდა ასეთი კონკურსის წესით დანიშნული დირექტორი, ჩვენ გვინდა ფარული კენჭისყრით თავად ავირჩიოთ უფროსი,"** – აცხადებენ ექიმები.

დალი გაბიძაშვილი მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია მის თანამდებობას უკავშირდება. **"ეს იყო დირექტორის სკამისთვის დაწყებული ბრძოლა, რასაც გაფიცულებს შორის არსებული განხეთქილებაც ადასტურებს. როგორც კი ჩემი თანამდებობა გათავისუფლდა, მაშინვე ერთმანეთში მოუვიდათ უსიამოვნება,"** - აცხადებს გაბიძაშვილი. იგი უარყოფს გავრცელებულ ხმებს დირექტორის თანამდებობაზე დაბრუნების შესახებ. **"ღირს კი ამ კოლექტივში დაბრუნება? მე ჯერ არ ვიცი, მივიღებ თუ არა მონაწილეობას კონკურსში. ასე რომ, გავრცელებული ხმები ჩემი დირექტორად დანიშვნის შესახებ, გადამეტებულია,"** – აღნიშნა მან.

# სკანდალი ფოთის საგამოფენო დარბაზის გარშემო

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

დაპირისპირება საგამოფენო დარბაზის ხელმძღვანელობაში ფოთში სკანდალის საბაბი გახდა. ერთმანეთს დარბაზის ყოფილი და ამჟამინდელი ხელმძღვანელების თანამოაზრეებიც დაუპირისპირდნენ. საქმეში ადგილობრივი ხელისუფლება და მმართველი პარტიის ფოთის ორგანიზაციაც ჩაერთო.

დაპირისპირება გამოიწვია დარბაზის დირექტორის გოგი გაგუასა გადაწყვეტილებამ, მისი მოადგილის მერაბ ძველაიას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

შვიდი წლის წინ საგამოფენო დარბაზს მერაბ ძველაია ხელმძღვანელობდა. საზღვარგარეთ ხანგრძლივი დროით გამგზავრების გამო, მან თანამდებობა დატოვა და, ფოთის მერის ბრძანებით, შემცვლელად გოგი გაგუა დაინიშნა. ქალაქში დაბრუნებული ძველაია კი საგამოფენო დარბაზის დირექტორის მოადგილე გახდა.

საქართველოს მხატვართა კავშირის ფოთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ალექსანდრე რურუამ ადგილობრივ ხელისუფლებას მერაბ ძველაიასა და სხვა შვიდი მხატვრის ხელმოწერილი განცხადება აახლა, სადაც ნათქვამია, რომ **"დირექტორის, გოგი გაგუას საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო, საგამოფენო დარბაზი თავისი სამუშაო გეგმით დაკისრებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. იმისათვის, რომ ქალაქში არ დაკნინდეს სახვითი ხელოვნების კერა, საგამოფენო დარბაზი რეორგანიზაციას საჭიროებს."** მხატვრები შექმნილი ვითარების კომისიურ შემოწმებას ითხოვენ.

**"დირექტორი უნდა იყოს შემოქმედებითად მოაზროვნე, მხატვრების მხარდამჭერი პიროვნება. მან უნდა შეძლოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების სწორი განკარგვა, და არა ისე, როგორც ხდება, გაუმჭვირვალედ და მიკერძოებულად,"** - ამბობს ალექსანდრე რურუა.

საგამოფენო დარბაზის დირექტორი კი მხატვართა კავშირის ადგილობრივ თავმჯდომარეშიც თავისი სავარძლის მეწილეს მოიაზრებს: **"რურუამ ხელოვნებაში ვერაფერს მიაღწია. იგი გაიყინა, როგორც მხატვარი. ახლა დირექტორობა უნდა. აწყობილი საქმის გაგრძელებას როგორმე შეძლებს და სახელმწიფოდან გარანტირებული ხელფასიც ექნება,"** - აცხადებს გაგუა, რასაც ალექსანდრე რურუა, თავის მხრივ, აბსურდს უწოდებს.

"განდგომილ" მხატვართა ჯგუფს თანამოაზრედ კულტურის საქალაქო სამსახური მოევლინა. სამსახურის მთავარი სპეციალისტი შორენა ჭანტურია საგამოფენო დარბაზის დირექტორს გამოფენების მიკერძოებულად მოწყობასა და ფერწერული ტილოების ნაცნობ-მეგობრობით შესყიდვაში ადანაშაულებს, რასაც გაგუა კატეგორიულად უარყოფს. **"გარდა გეგმიურისა, წინასწარი განაცხადის საფუძველზე ხდება პერსონალური გამოფენების მოწყობა. ჩემი მხრიდან მხატვრებს წინააღმდეგობა არასოდეს შეხვედრიათ. ნამუშევრების შესაძენად ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დაახლოებით 4 ათასი ლარი გვაქვს გამოყოფილი. ტილოების შესყიდვას არა მე, არამედ ხუთკაციანი კომისია ახდენს. ყველა ნახატი დაცულია ფონდში. კულტურის სამსახურის, სამთავრობო შენობის ინტერიერს ჩვენს ბალანსზე არსებული ნახატები ამშვენებს,"** - ამბობს გაგუა.

მთავარი, რაზეც აქამდე ღიად არავინ საუბრობდა, საგამოფენო დარბაზის წლების მანძილზე დებულების გარეშე ფუნქციონირება და, შესაბამისად, ბიუჯეტიდან მისი კანონდარღვევით დაფინანსებაა.

მთავრობაში წარდგენილ, მერაბ ძველაიას მომხრეთა განცხადებას, ცოტა მოგვიანებით, მხატვართა მეორე ჯგუფმა წერილობით გამოთქმული საპირისპირო მოსაზრებაც დაურთო. მხატვართა ეს ჯგუფი მხარს უჭერს საგამოფენო დარბაზის მუშაობის პრინციპებსა და მისი დირექტორის საქმისადმი დამოკიდებულებას.

მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ და საგამოფენო დარბაზის დირექტორის გათავისუფლებულმა მოადგილემ მხარდაჭერა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარესაც სთხოვეს. თავის მხრივ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით შურღაია აცხადებს: **"სიტუაციით იმ მარტივი მიზეზის გამო დავინტერესდით, რომ არ გვსურს, რომელიმე სამსახურში დაპირისპირების კერა არსებობდეს. მოვუსმინეთ ერთ მხარეს, მეორემ შეხვედრის სურვილი არ გამოთქვა, რადგან ფიქრობს, რომ ჩვენი მიზანი თანამდებობიდან ვინმეს გათავისუფლება ან, პირიქით, დანიშვნაა. ეს არა პარტიის, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციაა. თანამდებობა არავის აქვს პრივატიზებული. ყველა უწყება პროფესიონალებით უნდა დაკომპლექტდეს. რაც შეეხება დებულების არქონას, ეს არა მარტო გაგუას, არამედ კულტურის სამსახურის ძველი და ახალი უფროსების დანაშაულიცაა. მიკვირს, რა პრინციპით ერიცხებოდა ბიუჯეტიდან თანხა დებულების გარეშე ფუნქციონირებად ორგანიზაციას."**

გაგუას კონფლიქტის წარმოშობაზე თავისი ვერსია აქვს და მიზეზს მთავრობის დაკომპლექტებისას კულტურის სამსახურის ახალ უფროსად მისი კანდიდატურის გახმიანებაში ხედავს. **"დღის წესრიგში მართლაც იდგა ჩემი დაწინაურების საკითხი. მეც მქონდა სურვილი, ქალაქს იმ სფეროში გამოვდგომოდი, სადაც მუშაობის მეტი გამოცდილება მქონდა. კულტურის სამსახურის უფროსმა ტარიელ ზარანდიამ კი იფიქრა, რომ თანამდებობას ვართმევდი. მე ვაკანტურ ადგილზე მქონდა პრეტენზია და არა უკვე დაკავებულ თანამდებობაზე. ყველაფერი სწორედ ამ ინფორმაციის გაჟონვამ განაპირობა,"** - ამბობს გაგუა.

**"აღნიშნულს რეალობასთან კავშირი არა აქვს,** - ირწმუნება ტარიელ ზარანდია, - **ჩემთვის პრობლემა არაა თანამდებობის დაკავება ან დატოვება. თემის ინიცირება თვითონ საგამოფენო დარბაზში მოხდა. სამართლებრივი ფორმის დარეგულირების შემდეგ დირექტორი, სავარაუდოდ, კონკურსის წესით შეირჩევა. ალბათ, გაგუაც მიიღებს მონაწილეობას და ყველაზე მეტი შანსიც მას ექნება."**

როგორც მერის მოადგილე პაატა ფიფია აცხადებს, საკითხს ადგილობრივ მთავრობასთან შექმნილი კომისია შეისწავლის. საბოლოო დასკვნაც მოგვიანებით გაკეთდება. სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული დირექტორი სამომავლო გეგმებს უკვე ახალ მოადგილესთან, გრაფიკოს გიგლა გვიჩიასთან ერთად აწყობს და ამბობს, რომ კომისიური შემოწმება, ატესტაცია არ აშინებს და მუშაობას კვალიფიციურ კადრებთან სიამოვნებით გააგრძელებს. მერაბ ძველაია სასამართლოში ჩივილს არ აპირებს და, თავის მხრივ, ფიქრობს, რომ რეორგანიზაციით ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

# კოოპერატივების წევრებს ინვენტარიზაციის მიზანი აეჭვებთ

*ფინანსთა სამინისტრომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ვალის (დანარჩენ შიდა ვალთან ერთად) ინვენტარიზაცია 2-3 თვის წინათ დაიწყო და, წესით, პირველ მაისამდე უნდა დაასრულოს. ხელისუფლება შიდა ვალის დაფარვის მექანიზმს მხოლოდ მევალეთა ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ განსაზღვრავს. თუმცა, როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, კოოპერატივების წევრები რეგისტრაციას თავს არიდებენ და ინვენტარიზაციის პროცესს აჭიანურებენ.*

ნანა ქადაგიშვილი

შეგახსენებთ, რომ 1990 წელს დაწყებული კოოპერატიული ბინების მშენებლობა 1992 წელს, ქვეყანაში არსებული არეულობის გამო შეჩერდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ კოოპერატივებს სთხოვა, მშენებლობების ხარჯები ბიუჯეტში სრულად ჩაერიცხათ, სამაგიეროდ, ხელისუფლება ყველა დაწყებული მშენებლობის 1995 წლამდე დამთავრებას საკუთარ თავზე იღებდა. მთავრობამ პირობა ვერ შეასრულა და, 1998 წელს სახელმწიფოს შიდა ვალის შესახებ კანონის თანახმად, კოოპერატივების წევრთა მიერ გადახდილი თანხები შიდა ვალად აღიარა. შეიქმნა სახელმწიფო დავალიანების დაფარვის ხელშემწყობ ღონისძიებათა პროგრამაც, რის მიხედვითაც, კოოპერატივების მიერ დაწყებული მშენებლობები ქალაქის ბიუჯეტიდან 2006 წლამდე მთლიანად უნდა დაფინანსებულიყო. თუმცა, ამ პროგრამის დროულად განხორციელებაც ვერ ხერხდება.

ფინანსთა სამინისტრომ თბილისის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ვალის გასასტუმრებლად 2000 წელს 150 ათასი ლარი გამოყო, შემდეგ კი ვალის დაფარვა ქალაქის მთავრობას გადააბარა. თბილისის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მონაცემებით, 1999 წლიდან 2004 წლამდე ქალაქის ბიუჯეტმა კოოპერატიული მშენებლობების დასაფინანსებლად და მათი წევრების კომპენსაციისთვის 5 735 ათასი ლარი გაიღო (აქედან, 4 102 ათასი ლარი კაპიტალური მშენებლობის სამსახურს გამოეყო, 1 633 ათასი ლარი კი - საბინაო-სამშენებლო კოოპარტივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას გადაეცა კომპენსაციის გასაცემად). ამ თანხით სულ 292 ოჯახი დაკმაყოფილდა. გასულ წელს კოოპერატივების წევრთა ვალის გასტუმრებაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტრომაც იზრუნა და ბინათმშენებლობების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას გადასცა იაშვილისა და ჩაიკოვსკის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სასტუმროს დაუმთავრებელი შენობა, რომლითაც 100 ოჯახი დაკმაყოფილდა. ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში კოოპერატიული მშენებლობების დასაფინანსებლად 3 მილიონი ლარი დევს (ბიუჯეტის პროექტში კოოპერატივების წევრთა კომპენსაციისთვის 1 250 ათასი ლარიც იყო გათვალისწინებული, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ბიუჯეტის დამტკიცების წინა დღეს ეს თანხა პროექტიდან ამოიღეს და თავდაცვის ობიექტების რემონტისთვის განკუთვნილ თანხას დაამატეს). რაც შეეხება რეგიონებს, დღემდე 33 ოჯახია გასტუმრებული.

კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის მონაცემებით კი, კუთვნილ ბინას, საქართველოს მასშტაბით, 7 100 ოჯახი ელის და მათ მიმართ სახელმწიფოს დავალიანება 157 მილიონ 253 ათას ლარს აღწევს. თუმცა, ხელისუფლება ამ სტატისტიკას არ ეყრდნობა და ვალის ზუსტი ოდენობის დასადგენად მევალეთა ხელახალ რეგისტრაციას ითხოვს. როგორც ფინანსთა სამინისტროში განგვიმარტეს, წინა წლებში თანხები ხშირად არასწორად ნაწილდებოდა და კოოპერატივების ზოგიერთ წევრს კუთვნილზე ბევრად მეტი აქვს აღებული. **"ინვენტარიზაციის შედეგად, ვალისა და მევალეთა ზუსტ ოდენობას დავადგენთ და მხოლოდ მას შემდეგ გადავწყვეტთ, ეს ვალი რა სახით გავისტუმროთ – ვის კომპენსაცია მივცეთ, ვის - კუთვნილი ბინის სანაცვლო ფართი და ვის - მშენებლობა დავუფინანსოთ. ინვენტარიზაციის პროცესი პირველ მაისამდე უნდა დასრულდეს, თუმცა, კოოპერატივების წევრები ხელახალ რეგისტრაციას თავს არიდებენ, ფულად კომპენსაციას ითხოვენ, თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ შიდა ვალის ინვენტარიზაციის დასრულებას მაინც დათქმულ დრომდე მოვასწრებთ,"** – გვითხრა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გობეჯიშვილმა.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ასოციაციას კი ხელახალი ინვენტარიზაციის მიზანი ვერ გაურკვევია. **"ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობაზე უარს არ ვამბობთ, მაგრამ ჯერ აგვიხსნან, ხელახალი რეგისტრაცია რისთვის არის საჭირო. ჩვენი ვალის ინვენტარიზაცია უკვე ორჯერ ჩატარდა. ფინანსთა სამინისტროს კოოპერატივების თითოეული წევრის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია აქვს, ვის როდის, რა თანხა აქვს გადახდილი, რომელიც, ფინანსური აქტებით დადასტურებული, სამინისტროში დევს. წელს ამ ძველ მონაცემებს მხოლოდ კოოპერატივების წევრთა მიერ თანხის უკანასკნელად შეტანის თარიღს ამატებენ, ამისთვის მესამე ინვენტარიზაციის ჩატარება ღირს? თუ კომპენსაციების არასწორად გაცემას იმიზეზებენ, ყოველი თვის 10 რიცხვამდე სამინისტროს ვუგზავნიდით მონაცემებს, ვისზე რა ოდენობის კომპენსაცია გავეცით,"** – აცხადებს ასოციაციის პრეზიდენტი ნანა წიქარიშვილი.

# რუსთავი თურქეთის ქალაქს დაუძმობილდა

მაია მოსიაშვილი
რუსთავიდან

გუშინ რუსთავისა და თურქეთის ქალაქ ინეგოლის მერებმა ამ ორი ქალაქის დაძმობილების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. იდეა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ რუსთავის მერს, მერაბ ტყეშელაშვილს გაუჩნდა, როცა ქალაქის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად თურქეთში იმყოფებოდა. საკმაოდ მდიდარი თურქული ქალაქის მერი წარმოშობით ქართველი აღმოჩნდა და რუსთაველებს დაძმობილებაზე სიხარულით დათანხმდა.

**"ქალაქ ინეგოლის მოსახლეობის 32 პროცენტი წარმოშობით ქართველები, ანუ იმ აჭარლების შთამომავლები არიან, რომლებიც მოჰაჯირობის დროს თურქეთში გადაასახლეს. ქართველი ხალხი მიყვარს, რადგან მეც ქართველი ვარ. ადრე ჩემი გვარი გოგოლაძე იყო,"** - განუცხადა "24 საათს" ინეგოლის მერმა. ის ამბობს, რომ ძალიან შეძრა რუსთავის დანგრეულმა გზებმა და გაჩერებულმა საწარმოებმა, თუმცა უარესიც შეიძლებოდა ყოფილიყოო.

თურქების რვაკაციანი დელეგაცია რუსთავში სამდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა. მათ ხელშეკრულების ხელმოწერამდე საფუძვლიანად დაათვალიერეს ქალაქი და იმაზეც იფიქრეს, რამდენად რეალური იქნებოდა არა მხოლოდ სოციალურ-კულტურული, არამედ ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. რუსთაველებმა სტუმრებს თავი "აზოტითა" და "ყაზბეგის" ლუდის ქარხნით მოაწონეს. ეს უკანასკნელი თურქებს განსაკუთრებით მოეწონათ და განაცხადეს, რომ ასეთი დონის საწარმოს ბევრი მაღალგანვითარებული ქვეყანა ისურვებდა.

რუსთავისა და ინეგოლის კულტურული ურთიერთობა სკოლის მოსწავლეების გაცვლითი პროგრამით დაიწყება და ამისთვის უკვე კონკრეტული სკოლაც შეირჩა. გარდა ამისა, თურქები დაინტერესებულნი არიან რუსთავში არსებული ქართული ხალხური ანსამბლებისთვის გასტროლების მოწყობით.

**"ჩვენს ქალაქში კარგად არის განვითარებული მსუბუქი მრეწველობა. ძირითადად ტექსტილს და ავეჯს ვაკეთებთ და მთლიანი წარმოების წლიური ბრუნვა 7 მილიარდ დოლარს აღემატება. ინეგოლის მერია და ადგილობრივ ბიზნესმენთა დიასპორა ერთად ვმუშაობთ. ჩავალ თუ არა თურქეთში, მოვიწვევ მათ და დავილაპარაკებთ. შემდეგში რუსთავს ბიზნესმენებთან ერთად ვეწვევი. ჩვენი სოციალურ-კულტურული ურთიერთობა ბოლოს კარგი რომ გამოვა, მჯერა. დიდი სამუშაოების ჩატარება მოგვიწევს, მაგრამ ეგ არაფერი, ჩვენ მუშაობა გვიყვარს და ყველაფერს შევძლებთ,"** - ასე დაემშვიდობა ინეგოლის მერი თავის რუსთაველ კოლეგას.

## ლამაზი ბორჯომი
## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

გაეროს განვითარების პროგრამა
"ლამაზი ბორჯომის" კომპონენტის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს 2 ლოტად, სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად ქალაქ ბორჯომში პროექტის ფარგლებში შერჩეული ობიექტების ფასადების შეკეთების მიზნით.

**შესყიდვის ობიექტია:**
ლოტი N1. ქ. ბორჯომი,
- ბორჯომის მე-6 სკოლა (რუსთაველის ქ.N55);
- ბორჯომის საბავშვო ბაღი (რუსთაველის ქ.N83)
- ბორჯომის მე-3 სკოლა (რუსთაველის ქ.N97);

ლოტი N2. ქ. ბორჯომი
■ საცხოვრებელი სახლი (რუსთაველის ქ.N117);
■ საცხოვრებელი სახლი (რუსთაველის ქ.N123);
■ საცხოვრებელი სახლი მე-2 სართული (რუსთაველის ქ.N129);
■ საცხოვრებელი სახლი (რუსთაველის ქ.N137);
■ სავაჭრო-საცხოვრებელი ობიექტი (რუსთაველის ქ.N133);
■ საცხოვრებელი სახლი (რუსთაველის ქ.N143);
■ საცხოვრებელი სახლის მე-2 სართული (რუსთაველის ქ.N145);

**სამუშაოების შესრულების ვადა**: 2005 წლის 15 მაისიდან 2005 წლის 15 ოქტომბრამდე.

**საკვალიფიკაციო მონაცემები** უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;
ბ) სასამართლოს დადგენილება ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (რაიონული სასამართლოდან);
დ) ცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე Yყადაღის არარსებობის შესახებ (საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან)
ე) სამშენებლო სამუშაოების წარმოების ლიცენზია (სამუშაოების მიხედვით შესაბამისი ჩამონათვალი);
ვ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადაგასული ვალდებულებების შესახებ სახელმწიფოსა და კრედიტორების წინაშე (საგადასახადო ინსპექციიდან);
ზ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ;
თ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტის მიერ დამოწმებული);

ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილ უნდა იქნას ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე ეგზემპლარი ქსეროასლის სახით;

**სატენდერო დოკუმენტაცია** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც სრულად წარმოადგენენ ზემოთჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებს. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართებზე:
**ქ. თბილისში:** მელიქიშვილის გამზირი N12, მე-3 სართული, ოთახი N303. საკონტაქტო პირი ელენე მიქაბერიძე. 22-14-11.
**ქ. ბორჯომში:** რუსთაველის N147, "სახალხო ბანკის" ბორჯომის ფილიალის შენობა, მე-2 სართული. საკონტაქტო პირი ვასილ ჟვანია.

**სატენდერო წინადადების ჩაბარების წესი და ბოლო ვადა:**
სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად დალუქული სახით წარმოდგენილ უნდა იქნეს 2005 წლის 22 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზირი N12, მე-3 სართული, ოთახი N303..

**ტენდერში მონაწილეობის გადასახადია 200 ლარი**, რომელიც უკან არ დაბრუნდება. გადასახადი უნდა გადაირიცხოს გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშზე. ანგარიშის ნომერია: თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: 220101830, ანგარიშის ნომერი: 609300. გადარიცხვის დანიშნულებაში მიუთითეთ: "ლამაზი ბორჯომი"და ტენდერში მონაწილე კომპანიის სახელი. სატენდერო წინადადება მიიღება მხოლოდ სატენდერო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (საგადასახადო დავალება) წარმოდგენის შემთხვევაში.

პრეტენდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ორივე ლოტზე.
ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთაღნიშნულ მისამართებზე გიორგი ედილაშვილისაგან - პროექტის კოორდინატორი. ტელეფონი 899 55-86-50.

## ნარინჯისფერი რევოლუციის ლიდერი აშშ-ს ეწვია

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო 3 აპრილს აშშ-ს ეწვია. ვიზიტის მეორე დღეს ნარინჯისფერი რევოლუციის ლიედრის ჯორჯ ბუშთან თეთრ სახლში შეხვედრა, რომელიც, დაახლოებით, საათნახევარს გაგრძელდა, პრესკონფერენციით დასრულდა.

თეთრი სახლის პრესსამსახურის ხელმძღვანელის თქმით, მოლაპარაკების უმთავრესი თემა იყო აშშ-სა და უკრაინას შორის მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება. საუბარი შეეხო აღმოსავლეთ ევროპაში თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვას, ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას და იარაღის გაუვრცელებლობის სფეროში თანამშრომლობას.

როგორც უკრაინული დელეგაციის წარმომადგენლები ჯერ კიდევ შეხვედრის დასაწყისამდე აღნიშნავდნენ, სწორედ ამ შეხვედრაზე იყო დაგეგმილი სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ერთობლივ პოლიტიკურ დეკლარაციაზე აშშ-სა და უკრაინის პრეზიდენტების ხელის მოწერა.

ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 7 აპრილამდე გაგრძელდება, ვიქტორ იუშენკო, ამერიკელ კოლეგასთან მოლაპარაკებების გამართვის გარდა, აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციის სხვა ოფიციალურ პირებსაც შეხვდება. უკრაინის პრეზიდენტი სიტყვით გამოვა აშშ-ს სენატსა და კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში დაგეგმილ ერთობლივ სხდომაზე. იუშენკო, ასევე, ეწვევა ჩიკაგოსა და ბოსტონს; ჯორჯთაუნისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში შეხვდება სტუდენტებსაც.

*24 საათი*

## ასკარ აკაევი გადადგა

ყირგიზეთის დამხობილმა პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა გადადგომის შესახებ განცხადებას დღეს მოსკოვში მოაწერა ხელი. საპრეზიდენტო უფლებამოსილება მას 5 აპრილიდან უწყდება. ამის შესახებ გუშინ ყირგიზეთის პარლამენტის დელეგაციის წევრმა სადიკ ჯაფაროვმა განაცხადა.

როგორც რადიოსადგური "ეხო მოსკვი" იუწყება, ეროვნული ტელევიზიის ვიდეოკამერის წინ, პარლამენტის წარმომადგენელთა თანდასწრებით, ასკარ აკაევმა 18-წუთიანი მიმართვა წაიკითხა ყირგიზი ხალხისადმი, რის შემდეგაც ხელი მოაწერა განცხადებას გადადგომის შესახებ.

"ეს მწუხარე მიმართვა იყო", - თქვა სადიკ ჯაფაროვმა.

ერისადმი ასკარ აკაევის მიმართვას დღეს ყირგიზეთის პარლამენტის სესიაზე წაიკითხავენ. აკაევის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის ცერემონიას, რომელიც მოსკოვში ყირგიზეთის საელჩოში გაიმართა, მასმედიის წარმომადგენლები არ დაასწრეს.

ყირგიზეთის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას ასკარ აკაევმა და პარლამენტის სპიკერმა ომურბეკ ტეკებაევმა კვირას, მოსკოვში ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ მიაღწიეს. ხელი მოეწერა ოქმს, რომელშიც ნათქვამია სახელმწიფოს მეთაურის მიმართ კონსტიტუციის დაცვის აუცილებლობაზე, ვადამდელი არჩევნების დანიშვნასა და საერთაშორისო გარანტიებზე, რომელსაც აკაევს, როგორც ჩანს, რუსეთი და ყაზახეთი მისცემენ.

*ინტერპრესი*

## ზიმბაბვეს ოპოზიცია ახალ არჩევნებს ითხოვს

ზიმბაბვეს მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ, მოძრაობა დემოკრატიული ცვლილებებისათვის, ქვეყანაში ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვა. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ წინა კვირას ჩატარებული არჩევნების შედეგები გაყალბებული იყო. პარტიის ლიდერმა მორგან ცვანგირაიმ განაცხადა, რომ ახალი არჩევნები შეცვლილი წესებით უნდა ჩატარდეს, თუმცა არ დაუზუსტებია, როგორი უნდა იყოს ქვეყნის მომავალი კონსტიტუცია. არჩევნების ოფიციალური შედეგების თანახმად, ზიმბაბვეს მმართველმა პარტიამ, რომელსაც პრეზიდენტი რობერტ მუგაბე ხელმძღვანელობს, პარლამენტში ხმათა ორი მესამედი მოიპოვა. დასავლეთის დამკვირვებლებმა ამ არჩევნებს ფარსი უწოდეს, თუმცა კოლეგებმა სამხრეთ აფრიკის ქვეყნებიდან განაცხადეს, რომ არჩევნები ზიმბაბვეს ხალხის ნებას ასახავს.

# შეხვედრა სოჭში



*საუბრის თემა: ეკონომიკურ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და პოსტსაბჭოთა სივრცეში შეცვლილი სურათი.*

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ბელარუს კოლეგასთან ალექსანდრ ლუკაშენკოსთან სოჭში შეხვედრისას, ეკონომიკურ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების გარდა, საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის რევოლუციების შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილ მდგომარეობაზეც ისაუბრა. რევოლუციების შემდეგ ორი ქვეყნის ლიდერები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს და, ცხადია, შეხვედრის უშუალო თემასთან ერთად პოსტსაბჭოთა სივრცეში მომხდარი ცვლილებები და ახალი პირობებიც განიხილეს.

მასმედიისთვის გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში ლიდერებმა აღნიშნეს, რომ ისინი რუსეთისა და ბელარუსის ურთიერთობებში პრობლემას ვერ ხედავენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს ზემოაღნიშნული ქვეყნების ურთიერთობებს ექსპერტები, რატომღაც, ნაკლებად პოზიტიურად განიხილავდნენ; პირიქით, საკმაოდ ხმამაღლა საუბრობდნენ კიდეც რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობების გაციებაზე, რასაც ხელი შეუწყო მოსკოვის მიერ ოფიციალური მინსკისთვის მიწოდებულ რუსულ გაზზე დაწესებულმა მაღალმა საფასურმა.

რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროში არსებული უთანხმოების სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტს – ერთიანი ვალუტის (რუსული რუბლის) შემოღებას, ვლადიმირ პუტინის თქმით, ეს საკითხი დღის წესრიგიდან ჯერ არ მოხსნილა, უბრალოდ, 2006 წლის იანვრამდე გადაიდო. **"ამ პროექტს რუსეთისა და ბელარუსისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, გადაწყვეტილება ძალიან კარგად უნდა იყოს მომზადებული"**, - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა. ამ შეხვედრამ ისიც ცხადყო, რომ პუტინსა და ლუკაშენკოს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ რუსეთ-ბელარუსს შორის ვაჭრობის სფეროში საგადასახადო სისტემის ცვლილებების შედეგებისადმი.

ერთი სიტყვით, როგორც ექსპერტები ადრევე ვარაუდობდნენ, შეხვედრისას პუტინი და ლუკაშენკო შეეცადნენ, დანარჩენი მსოფლიოსთვის დაენახებინათ, რომ დსთ-ს სივრცეში ინტეგრაციული პროცესები ჯერ კიდევ ძალაშია. თუმცა, რამდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა მათ მიერ დემონსტრირებული ერთიანობის იმიტაცია, ძნელი სათქმელია. როგორც გაზეთ "კომერსანტ"-ისთვის გაკეთებულ კომენტარში ბელარუსის ყოფილმა პრეზიდენტმა სტანისლავ შუშკევიჩმა აღნიშნა, საეჭვოა, რომ ერთიანი ვალუტის შემოღების იდეამ გაამართლოს:**"რუსული რუბლის ერთიან ვალუტად შემოღების შემდეგ მე დადებით შედეგებს არ ველი. ჩვენ რუსეთისგან მკვეთრად განსხვავებული ეკონომიკური სისტემა გვაქვს. იმ დროს, როცა რუსეთი კერძო ბიზნესს ეყრდნობა, ჩვენთან სახელმწიფო კაპიტალიზმია გაბატონებული"**.

დამოუკიდებელი ექსპერტებისა თუ ყოფილი მაღალჩინოსნების ვარაუდების მიუხედავად, შეხვედრამდეც და შეხვედრის შემდეგაც პუტინი და ლუკაშენკო მაინც ოპტიმისტურ განწყობას ამჟღავნებდნენ. **"სოჭის მოლაპარაკებებმა ურთიერთკეთილგანწყობას კიდევ უფრო მეტი დადებითი იმპულსი უნდა შესძინოს, რათა ხალხმა არ იფიქროს, რომ ჩვენი შეხვედრა ურთიერთობებში არსებული პრობლემებითაა განპირობებული. დიდი პრობლემები აქ არ არსებობს; მეტიც - მე ვერ დავასახელებდი მცირე მასშტაბის პრობლემებსაც"**, - აღნიშნა ალექსანდრ ლუკაშენკომ. ბელარუს კოლეგას დაეთანხმა ვლადიმირ პუტინიც. მისი თქმით, ენერგეტიკულ სფეროსთან დაკავშირებული, გახმაურებული პრობლემები მხოლოდ გაბუქებული განცხადებებია და სხვა - არაფერი. **"ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების დასტურად, ჩვენ ერთობლივი გაზის ტრანსპორტირების კონსორციუმის შექმნაზეც ვფიქრობთ"**, - დაამატა პუტინმა.

# მოლდოვას „ძველი" ახალი პრეზიდენტი

*მოლდოვას რევოლუციური გარდაქმნები და ხელისუფლების ცვლა არ დასჭირვებია, ისე გახდა "ევროპული" ორიენტაციის ქვეყანა. მართალია, საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ პრეზიდენტის დამოუკიდებლად ასარჩევად საჭირო ხმების რაოდენობა ვერ მოიპოვა, ვლადიმირ ვორონინს მაინც არ გასჭირვებია ქვეყნის სათავეში მეორე ვადით მოსვლა. ქვეყანაში ისევ კომუნისტები არიან სათავეში, თუმცა ოთხი წლის წინანდელი "ბოლშევიკური" მისწრაფებებიდან, თითქმის, აღარაფერი დარჩა. ოფიციალური კიშინიოვი დღეს უკვე ევროპასთან ინტეგრაციაზე ოცნებობს.*

ნიკა თარაშვილი

მოლდოვას პარლამენტმა გუშინ ქვეყნის პრეზიდენტად სახელმწიფოს მოქმედი მეთაური ვლადიმირ ვორონინი აირჩია. რა გასაკვირიც უნდა იყოს, ვლადიმირ ვორონინის მეორე ვადით არჩევას მხარი დაუჭირეს არა მხოლოდ კომუნისტებმა და საპარლამენტო არჩევნების წინ პრორუსული ძალების აქტივობით შეკოწიწებულმა "დემოკრატიული მოძრაობის" ზოგიერთმა წარმომადგენელმა (სიმართლე ითქვას, ამაში ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი), არამედ დღემდე შეურიგებელ ოპოზიციად ცნობილმა ქრისტიან-დემოკრატებმა. თუმცა, უკანასკნელთა გადაწყვეტილებაზე, შესაძლოა, ვორონინისადმი დასავლეთის ცხადად გამოხატულმა მხარდაჭერამ იმოქმედა.

ასე რომ, ორშაბათს პარლამენტმა კვალიფიციური უმრავლესობით (75 ხმა) კიდევ ერთი ვადით ანდო ვლადიმირ ვორონინს და მასთან ერთად კომუნისტებს ქვეყნის ხელმძღვანელობა.

გუშინდელი დღე, უდავოდ, ვორონინის სრული გამარჯვების ამსახველი იყო. ქვეყნის კანონმდებლობით, პრეზიდენტობის კანდიდატს ასარჩევად 101 დეპუტატიდან 61-ის მხარდაჭერა ესაჭიროება. ვორონინმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა გეგმას. სხვათა შორის, მას კიდევ უფრო მეტი ხმის მიღებაც შეეძლო, მაგრამ ორი ხმა ბათილად ცნეს. მეორე კანდიდატმა – გეორგი დუკამ სულ ერთი ხმა მიიღო.

არც ეს უნდა ყოფილიყო გასაკვირი - ვორონინის და დუკას კანდიდატურები პრეზიდენტის პოსტზე ერთი და იგივე, კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არჩევნების ალტერნატიულობის პრინციპი ყოფილიყო დაცული. შეგახსენებთ, საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გაჩნდა საშიშროება, რომ ოპოზიცია ბოიკოტის გზით შეეცდებოდა საპრეზიდენტო კენჭისყრის ჩაშლას და საერთოდ არ წამოაყენებდა საკუთარ კანდიდატურას.

პარლამენტში გასული ორივე ოპოზიციური პარტია აქამდე ხმამაღლა აცხადებდა, რომ მათი მიზანი საპრეზიდენტო კენჭისყრის ჩაშლა იყო და თითქოს ჰქონდათ კიდეც ამის შანსი – მათ განკარგულებაში არსებული 45 ხმა საკმარისი უნდა ყოფილიყო კომუნისტთა კანდიდატურის დასაბლოკად. მაგრამ, მოვლენები სრულიად საპირისპირო სცენარით განვითარდა - როგორც გუშინდელი კენჭისყრით გაირკვა, ვორონინს, ბუნებრივია, მხარი დაუჭირა მისი პარტიის 56 წევრმა, თერთმეტმა, დღეს უკვე ყოფილმა "დემოკრატიული მოლდოვას" წარმომადგენელმა (პარლამენტში მოხვედრისთანავე კიშინიოვის მერის, სერაფიმ ურეკიანუს ბლოკი დაიშალა – მას გამოეყო დემოკრატიული პარტიის 8 დეპუტატი და სამიც - სოციალ-ლიბერალური პარტიიდან). კენჭისყრაში მონაწილეობდა პარლამენტში მოხვედრილი ათივე ქრისტიან-დემოკრატიც. გუშინდელ სხდომას არ ესწრებოდა "დემოკრტიული მოლდოვას" 23 დეპუტატი (ამის შესახებ თავიდანვე იყო გაცხადებული).

ხელახლა არჩეული პრეზიდენტი სიხარულს არ მალავდა. "ძველი" ახალი პრეზიდენტი უახლოეს მომავალში პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას დაასახელებს და მთავრობის ახალ შემადგენლობას წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.

ვლადიმირ ვორონინი გუშინ ირწმუნებოდა, რომ ვადის გასვლის შემდეგ პრეზიდენტობას აღარ შეეცდება. "ეს ჩემი მეორე და უკანასკნელი საპრეზიდენტო ვადა იქნება. მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არავითარი სურვილი არ მაქვს, შუააზიელი მმართველების მსგავსად, რაიმე საბაბი ვეძებო საპრეზიდენტო უფლებამოსილების გასაგრძელებლად. მე არჩეული ვარ ოთხი წლის ვადით და მეტად აღარ ვიყრი კენჭს", – ხმამაღლა დაადასტურა პრეზიდენტმა დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი "მესიჯი", რომელიც გუშინ მოლდოვას პარლამენტის დარბაზში გაისმა, დაახლოებით, ასე ჟღერდა: მოლდოვას კომუნისტური ხელისუფლების მიზანი ქვეყნის ევროპაში ინტეგრაცია იქნება. თუ როგორ შეძლებს ამ მიზნის მიღწევას ვორონინის დღეს ფერშეცვლილი, ადრე კი "წითელი" მთავრობა, მომავალი გვიჩვენებს.

# რომის პაპის როლი კომუნიზმის დამარცხებაში

**იოანე-პავლე მეორეს პარასკევს, 8 აპრილს დაკრძალავენ. ასეთი გადაწყვეტილება გუშინ რომში შეკრებილმა კარდინალთა კონგერეგაციამ მიიღო. დაკრძალვის ცერემონია წმინდა პეტრეს ტაძარში დილის 10 საათზე დაიწყება. ამავე ტაძარში ჰპოვებს განსასვენებელს პონტიფიკოსის ცხედარი.**

**გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ გარდაცვლილი პონტიფიკოსის გული, შეიძლებოდა, პოლონეთში, მშობლიურ ქალქში გადაესვენებინათ, ვატიკანმა ოფიციალურად უარყო. წმინდა საყდრის ოფიციალური წარმომადგენლის ხოაკინ ნავარო-ვალსის განცხადებით, პონტფიკოსს არც ანდერძი დაუტოვებია.**

**მთელი მსოფლიო გლოვობს უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში ყველაზე აქტიურ პაპს. გთავაზობთ ბიბისი-ს მიერ გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც ეხება გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჭირის - კომუნიზმის წინააღმდეგ იოანე-პავლე მეორეს ბრძოლას.**

1979 წელს, არჩევიდან ერთი წლის შემდეგ პოლონელი რომის პაპი სამშობლოში ჩავიდა, რითაც ქვეყანაში რევოლუციის დაწყებას დაუდო სათავე. მილიონობით ადამიანი მივიდა მის სანახავად. არც ერთ კომუნისტურ ქვეყანაში მსგავსი რამ არ მომხდარა. მანამდე ხალხის მასობრივი თავშეყრა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ნებადართულ ღონისძიებას წარმოადგენდა ხოლმე, ისიც - არსებული სისტემის მხარდასაჭერად და ყოველგვარ სპონტანურობას გამორიცხავდა. იოანე პავლე მეორე ხელისუფლებას არ აკრიტიკებდა; მან, უბრალოდ, ადამიანებს იმედი და საკუთარი ღირსების გრძნობა ჩაუსახა. კაროლ ვოიტილას მშობლიურ ქალაქ ვადოვიცეს პარკში მის მოსასმენად უამრავი ხალხი შეგროვდა. როგორც მოგვიანებით უნივერსიტეტის მასწავლებელმა კრჟიშტოფ გურბამ განაცხადა, სიტყვა, რომლითაც რომის პაპმა იქ შეკრებილთ მიმართა, შთამაგონებელ იდეად იქცა. "ეს იყო მარცვალი, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ გაღვივდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მომდევნო წელს "სოლიდარნოსტის" ამბოხების საყრდენი წერტილი გახდა", - იხსენებს გურბა.

"სოლიდარნოსტი" კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში პირველი თავისუფალი პროფკავშირი იყო, რომელიც 1980 წელს გდანსკის გემთსაშენ საამქროებში ლეხ ვალენსას მიერ წამოწყებული გაფიცვების დროს ჩამოყალიბდა. ლეხ ვალენსამ "სოლიდარნოსტის" შექმნის დოკუმენტს რომის პაპის მიერ სუვენირად ნაჩუქარი კალმით მოაწერა ხელი. ვალენსას თქმით, იოანე პავლე მეორემ პოლონელ ხალხს მორალური ფასეულობები აღუდგინა. "ამ ფასეულობებმა კომუნისტური სისტემა დაამარცხა. კომუნისტებს ამ ფასეულობების ისე შეეშინდათ, როგორც ეშმაკს - ნაკურთხი წყლის. სწორედ ამ მნიშვნელობით გახდა რომის პაპი კომუნიზმზე გამარჯვების არქიტექტორი", - ამბობს ვალენსა.

კომუნისტებთან დადებული "ზავი" მყიფე იყო და მალე "სოლიდარნოსტი" აკრძალეს. თუმცა, გენერალ ვოიცეხ იარუზელსკისაც კი (ადამიანი, რომელმაც 1981 წლის დეკემბერში სამხედრო მდგომარეობა შემოიღო, "სოლიდარნოსტის" დასამშვიდებლად) ესმოდა, რომ პაპის გავლენამ ისეთი ცეცხლი გააჩაღა, რომლის ჩაქრობა უკვე შეუძლებელი იყო. "რასაკვირველია, პროტესტების მასაზრდოებელი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო, მაგრამ პაპის ქადაგებებმა დეტონატორის როლი შეასრულა, რამაც საზოგადოებას სულიერი თავისუფლება და ძალა შეჰმატა", - იხსენებდა იარუზელსკი მოგვიანებით.

1987 წელს, პოლონეთში მესამე ვიზიტის დროს რომის პაპმა გდანსკში კომუნისტური რეჟიმის მიერ მოკლული მუშების მონუმენტთან ილოცა. როგორც ჩანს, რომის პაპმა პოლიტიკურ არენაზე გაცნობიერებულად გამოიყენა მოძღვრის ტრიბუნა. 750 ათას ადამიანს, რომელთა უმეტესობას ხელში "სოლიდარნოსტის" დროშა ეკავა, პაპი მათი ბრძოლის შესახებ ესაუბრა. "არ არსებობს უფრო ეფექტური ბრძოლა, ვიდრე სოლიდარობა", - განაცხადა პაპმა, რის შემდეგ ხალხმა მოწონების ყიჟინა დასცა. ყველაფერი მზად იყო რევოლუციისთვის, თანაც - არა მხოლოდ პოლონეთში, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპაშიც. შინაგანი თავისუფლების განცდამ, რომის პაპის წყალობით, მთელი კომუნისტური ბლოკი მოიცვა; ხოლო, რადგან ეს ყველაფერი სსრკ-ს ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლას დაემთხვა, რომელმაც "ბრძოლა შეასუსტა", ხალხის სწრაფვა თავისუფლებისკენ უკვე მხოლოდ დროის საქმე იყო. 1989 წლის ბოლოს (აღმოსავლეთ ევროპაში რევოლუციის წელი) გორბაჩოვი ვატიკანში ჩავიდა. შედგა ისტორიული შეხვედრა - ადამიანისა, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპას თავისუფლებისკენ უბიძგა, ადამიანთან, რომელმაც ამ თავისუფლებას ნება დართო (ან წინააღმდეგობა ველარ გაუწია). 1989 წლის ივნისში პოლონეთში "სოლიდარნოსტის" მიერ მოგებულმა თავისუფალმა არჩევნებმა დასაბამი დაუდო ჯაჭვურ რეაქციას, რომელმაც მთელს სოციალისტურ ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმის დამხობა გამოიწვია და 1989 წლის დეკემბერში ბერლინის კედელის დაცემით დასრულდა. ეს ყველაფერი ისედაც უთუოდ მოხდებოდა, თუმცა პოლონელი რომის პაპის გარეშე, გაცილებით დიდი დრო დასჭირდებოდა.

*მოამზადა*
*კოტე ელიზბარაშვილმა*




## სირიამ ლიბანიდან ჯარების გაყვანის თარიღი დააზუსტა

სირია ლიბანიდან თავის ჯარებსა და სპეცსამსახურების წარმომადგენლებს 2005 წლის 30 აპრილისთვის მთლიანად გაიყვანს. გაზეთი "გარდიანის" ინფორმაციით, ამის შესახებ გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ტერიე რუდ-ლარსენმა განაცხადა დამასკოში პრეზიდენტ ბაშარ ასადსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ფარუქ შარაასთან მიმდინარე მოლაპარაკების შემდეგ. "მე მოლაპარაკებები გავმართე სირიის პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. მოლაპარაკებების დროს სირიის ხელმძღვანელობამ შემატყობინა, რომ დღეისათვის სირიის ყველა სამხედრო ძალა ბექაას ველზეა გაყვანილი. ლიბანის ტერიტორიიდან სირიის სამხედრო და სპეცსამსახურების ძალების სრული გაყვანა 2005 წლის 30 აპრილს მოხდება; აგრეთვე შემატყობინეს, რომ სირიამ უკვე გაიყვანა 4 ათასი სამხედრო თავის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ბეირუთში სირიის სპეცსამსახურების ოფისები დაიკეტა", - განაცხადა რუდ-ლარსენმა. თავის მხრივ, სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფარუქ შარაამ დადებითად შეაფასა რუდ-ლარსენის საქმიანობა და განაცხადა, რომ, მისი დახმარებით, ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ამინდი უკეთესობისკენ იცვლება. მან აღნიშნა ისიც, რომ "ლიბანიდან სირიელი სამხედროების გაყვანა მთლიანად ეთანხმება გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1559-ე რეზოლუციის მოთხოვნებს". სირიის მხარის მიერ შეთავაზებული გაყვანის გრაფიკი ახლა ლიბანის ხელისუფლებამ უნდა მოიწონოს. გაერო-ს უშიშროების საბჭო არაერთხელ მოუწოდებდა სირიას ლიბანიდან 15-ათასიანი კონტინგენტის გაყვანისაკენ, რომელიც იქ 1976 წელს იქნა შეყვანილი. 5 მარტს დამასკო ჯარების გაყვანას შეუდგა. 4 ათასი სირიელი სამხედრო უკვე სამშობლოში დაბრუნდა. დანარჩენები კი ბექაას ველის აღმოსავლეთ ნაწილში, სირიის საზღვართან ახლოს დისლოცირდნენ.

## ისრაელში მოკლული პრემიერის საფლავი წაბილწეს

იერუსალიმში ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინისა და მისი მეუღლის საფლავი ვანდალებმა წაბილწეს. პოლიციის განცხადებით, ცოლ-ქმარ რაბინების საფლავის ქვაზე ბოროტმოქმედებმა მთელი რიგი სალანძღავი სიტყვები დაწერეს, მათ შორის, ფრაზა – "მკვლელი-ძაღლი"- ივრითზე. იცხაკ რაბინი 1995 წელს მემარჯვენე შეხედულებების მქონე რადიკალმა ებრაელმა მოკლა, რომელიც ოსლოში პალესტინელებთან მიღწეული შეთანხმების წინააღმდეგ გამოდიოდა. გასულ კვირას ვანდალებმა თეოდორ გერცლის (სიონიზმის პოლიტიკის დამფუძნებელი) და ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრის დავიდ ბენ გურიონის საფლავები წაბილწეს. ნაცისტური წარწერები გაჩნდა ისრაელის 12 ჯარისკაცის საფლავებზეც. იერუსალიმის პოლიციაში ამ ინციდენტების გამოსაძიებლად სპეციალური განყოფილება ჩამოყალიბდა. საფლავების შელახვა უკანასკნელ ხანებში იერუსალიმის ქუჩებში ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის იმ სალანძლავ სიტყვებს მოჰყვა, რაც ღაზას სექტორიდან ისრაელის ჯარების წასვლის გეგმას შეეხებოდა. ისრაელის საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ, ამ გეგმის გამო, შარონის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდება. ისრაელი ამა წლის 20 ივლისიდან ღაზას სექტორიდან 7 ათასზე მეტი მოსახლის და მათი დამცავი ჯარისკაცების ევაკუაციის დაწყებას გეგმავს. გარდა ამისა, ისრაელის ჯარები ღაზას სექტორის საზღვრებზე, მის სანაპირო ზოლსა და საჰაერო სივრცეზე კონტროლს შეინარჩუნებს.

## კარზაიმ არასამთავრობოები ფულის გაფლანგვაში დაადანაშაულა

"ავღანეთის ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ავღანეთის აღდგენისათვის გამოყოფილი ფულის გაფლანგვაში დაადანაშაულა", - იუწყება ბრიტანული "გარდიანი". ქვეყნის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ განაცხადა, რომ პასუხს აგებს "არასამთავრობო ორგანიზაციების კორუმპირებულობის, თავნებობისა და ფინანსური მაქინაციების შეჩერებაზე". მან კომენტარი გაუკეთა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ კანონს, რომელიც ქვეყნის რამდენიმე მსხვილ პროექტში არასამთავრობო ორგანიზაციებს მონაწილეობას უკრძალავს. კარზაის აზრით, სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიუძღვით ბრალი კორუფციის ფართოდ გავრცელებასა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ ავღანეთის ინფრასტრუქტურის აღსადგენად გამოყოფილი სახსრების არამიზნობრივ გამოყენებაში. ავღანეთის დახმარების სააგენტოების საკოორდინაციო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელიც 88 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, აცხადებენ, რომ კარზაის ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამება. მათი აზრით, ავღანეთის ხელისუფლებას არასამთავრობოები კერძო კონტრაქტორებში ეშლება, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე სამუშაოებს აწარმოებენ და რომელთა უმეტესობაც აშშ-ს ხელისუფლებამ დაიქირავა. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ავღანეთის ტერიტორიაზე მოქმედი 2400 არასამთავრობო ორგანიზაციიდან ბევრი მართლაც კომერციულ საქმიანობას ეწევა, საკუთარი სტატუსის გამოყენებით, საკმაოდ ხელსაყრელი კონტრაქტების ხელში ჩასაგდებად. მსგავსი კომპანიების თანამშრომლები მაღალ ხელფასებს იღებენ (დღეში ათას დოლარამდე), დაცვის ქვეშ არსებულ კომპლექსებში ცხოვრობენ და ავღანეთში ძვირფასი ავტომობილებით გადაადგილდებიან. დასავლეთის სააგენტოებმა, რომლებიც ადრე ახალ კანონს მხარს უჭერდნენ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ კანონი "ყალბ" არასამთავრობო ორგანიზაციებს შეზღუდავდა, შეხედულება შეიცვალეს და შიშობენ, რომ ამ კანონის მიღება, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს ნამდვილ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებსაც ავღანეთის აღდგენისათვის გამოყოფილი ფონდებიდან შეავიწროვებენ.



# სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდა

გუშინ, დღის პირველ საათამდე, თბილისის ელექტრომომარაგება შეუზღუდავად ხორციელდებოდა. თუმცა, 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "ალავერდის" გათიშვამ და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტამ ქალაქის ენერგომომარაგებას ზურგში მახვილი ჩასცა. აღდგენითი სამუშაოები დღეს დასრულდება, თუმცა იმპორტის აღდგენა დღეს შეიძლება ვერ მოესწროს.

რამდენიმეკვირიანი მწვავე ენერგოკრიზისიდან "გამოსვლის" შემდეგ, პირველივე დღეებში სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტით დენის გარეშე დარჩა თბილისის ცენტრალური უბნები.

"ალავერდის" ხაზით კომპანია "თელასს" სომხეთიდან დაახლოებით 160 მეგავატის ელექტროენერგია შემოაქვს. შესაბამისად, ხაზის გამორთვის შედეგად, სისტემაში ამდენივე დეფიციტი შეიქმნა, აქედან, 40 მეგავატით დედაქალაქის ელექტრომომარაგება შეიზღუდა, ხოლო დანარჩენით - რეგიონები.

როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განაცხადეს, ელექტროსისტემის მუშა ჯგუფებმა დაზიანება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს - გადამცემი ხაზი ერთ ადგილას გაწყვეტილია, ხოლო ორ ადგილას ელექტროსადენები მიწამდეა დაშვებული.

**"არსებული დაზიანების გამო, თბილისის ელექტრომომარაგებაში შესაძლოა შეფერხებები იყოს, რადგან "ალავერდით" სომხეთიდან თბილისში 160 მეგავატის იმპორტი ხორციელდებოდა. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, რომ თბილისი სრულად დავტვირთოთ, თუმცა ამისთვის ჰიდროელექტროსადგურებმა გამართულად უნდა იმუშაოს,"** - განაცხადეს "ელექტროსისტემაში".

*24 საათი*

# სოფლის მეურნეობის დაფინანსება შეიცვალა

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მისთვის გამოყოფილი თანხები მიზნობრივ პროგრამებზე ხელახლა გადაანაწილა.

გუშინ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი განიხილა. როგორც კომიტეტის სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა განაცხადა, 2005 წლის ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის სექტორისთვის 51 მილიონ 636 ათასი ლარია გათვალისწინებული.

**"აღნიშნული თანხა ბიუჯეტში გადანაწილებული იყო, თუმცა გადაწყდა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას კორექტირება განეცადა და პარლამენტს ხელახლა გადანაწილებული ბიუჯეტი წარვუდგინეთ. შევეცადეთ, გადანაწილება ობიექტური ყოფილიყო და სამინისტროს სექტორში ბალანსი არ დაგვერღვია,"** - განაცხადა სვიმონიშვილმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი 51 636 000 ლარი სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამებისა და სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაიხარჯება.

2005 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, ცვლილება განიცადა კვების პროდუქტების ექსპერტებისა და მონიტორინგის სამსახურის ბიუჯეტმა, რომელიც 250 ათასი ლარით შემცირდა. საქმე ეხება მიზნობრივ პროგრამას "კვების პროდუქტების ხარისხის ექსპერტიზისა და მონიტორინგის მექანიზმის სრულყოფა-ჩამოყალიბების შესახებ."

როგორც სვიმონიშვილმა განაცხადა, აღნიშნული პროგრამის განხორციელება ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის, რადგან ამჟამად მუშავდება კანონპროექტი "უვნებლობის შესახებ", რომელიც ამ კვების პროდუქტებთან დაკავშირებულ საკითხებს მოაგვარებს.

**"უნდა შეიქმნას ლაბორატორია. 250 ათასი ლარით ყველა ამ სამუშაოს განხორციელება შეუძლებელი იყო და ვამჯობინეთ, ეს პროგრამა სხვა დროისთვის გადაგვეტანა,"** - განაცხადა სვიმონიშვილმა.

ამასთან, 2005 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, 2 988 000 ლარით შემცირდა სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის დაფინანსება. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა განაცხადა, იგი უკმაყოფილოა წლების განმავლობაში სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სამუშაოებით. ამიტომ, მან მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული დეპარტამენტის დაფინანსების შემცირება.

**"ჩვენ ვამჯობინეთ, რომ თანხები მეთესლეობის განვითარებისთვის დაგვეხარჯა. სჯობს, საქმე ხარისხიანად გაკეთდეს, ვიდრე თანხები დაიხარჯოს და შედეგი ვერ მივიღოთ,"** - განაცხადა სვიმონიშვილმა.

2005 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს, სოფლის მეურნეობის მინისტრად მიხეილ სვიმონიშვილი ახალი დანიშნული იყო. ამიტომ, ბიუჯეტში სექტორისთვის გამოყოფილი თანხის საკუთარი შეხედულებისამებრ გადანაწილება მან მაშინ ვერ მოასწრო.

*24 საათი*

# ნავთობის ფასი მორიგ რეკორდებს ამყარებს

*"ოპეკის" დაპირების მიუხედავად, ნავთობის ფასი განუწყვეტლივ იზრდება. გუშინ, ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ნავთობის ფასმა მორიგ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია - "ლაითის" მარკის ერთ ბარელ ამერიკულ ნავთობში 58 დოლარს და 10 ცენტს იძლეოდნენ, რაც მაქსიმალური ნიშნულია ნიუ-იორკში ფიუჩერსებით ვაჭრობის ისტორიაში.*

გუშინ, ლონდონის ნედლეულის ბირჟაზე "ბრენდის" მარკის ერთი ბარელი ნავთობის ფასმა 57 დოლარს გადააჭარბა. აზიის ბირჟებზე კი "შავი ოქრო" 57 დოლარი და 79 ცენტი ღირდა.

სპეციალისტთა აზრით, ნავთობის ფასების ზრდაზე გავლენა მოახდინა კომპანია "Goldman Sachs"-ის ანალიტიკოსების ხმამაღალმა პროგნოზებმა, რომლის მიხედვითაც, ერთი ბარელი ნავთობის ფასი შესაძლოა 105 დოლარამდე გაიზარდოს.

2005 წლის დასაწყისიდან ნიუ-იორკის ბირჟებზე ნავთობის ფასი 30 პროცენტით გაძვირდა. ამ ზრდის მთავარ ხელშემწყობ ფაქტორებს ინდოეთის და ჩინეთის ეკონომიკის მკვეთრი ზრდა და დოლარის კურსის ვარდნა წარმოადგენს.

კორპორაცია "Global Investment Research"-ის ექსპერტები მიმდინარე პერიოდს გასული საუკუნის 70-იან წლებში ნავთობის ბაზარზე არსებულ სიტუაციას ადარებენ. მაშინ, არაბული ქვეყნებიდან დასავლეთში ნავთობის ემბარგოსა და ირანში მომხდარი რევოლუციის შედეგად, ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფასებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ამ ფაქტმა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შენელება და ნავთობზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვია. "Global Investment Research"-ის ექსპერტების პროგნოზებით, უახლოეს მომავალში ნავთობის ფასები 50-105 დოლარს შორის იქნება.

ოპეკს განზრახული აქვს, წლის ბოლოსთვის ნავთობის მოპოვება დღეში 30 მილიონ ბარელამდე გაზარდოს. თუმცა, ნავთობის მსოფლიო ბაზრის მოთამაშეები თვლიან, რომ შესაძლოა, საქმეს ვერც ამან უშველოს. **"ოპეკ-ის ქვეყნები ისედაც შესაძლებლობის ზღვარზე მუშაობენ და კვოტების გაზრდა სიტუაციას ვერ შეცვლის,"** - აცხადებენ ისინი.

*24 საათი*

ქალაქ თბილისის მერიის
სამოქალაქო მონაწილეობისა
და ინტეგრაციის
**საქალაქო სამსახური - თბილისის
კორპუსი**
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პრივატიზება, მობინადრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უჯრედების, სხვენის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე -
www.tbilisicorps.ge
მისამართი: აღმაშენებლის 89/24,
"თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული.
ტელ.: 952034**

# "ენგურჰესის" რეაბილიტაცია კიდევ ერთხელ გადაიდო

### მთავრობა "ენგურჰესის" გაჩერებას ვერ რისკავს

მარიამ ჭაჭავაძე

*"ენგურჰესის" რეაბილიტაციის დაწყება უკვე მეოთხედ გადაიდო, თუმცა ამჯერად, ჰესზე შესასრულებელი სამუშაოების დაწყების ზუსტი თარიღი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ასეთ გაურკვევლობაში ყოფნის მიზეზი კვლავაც ელექტროენერგიის დეფიციტია.*



ზაურ გაფრინდაშვილის ფოტო

"ენგურჰესზე" ამჟამად მხოლოდ ორი აგრეგატი მუშაობს.

როდის შეიძლება დაიწყოს "ენგურჰესის" რეაბილიტაცია? ამ კითხვაზე პასუხი არც ერთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურას ჯერჯერობით არ გააჩნია, ამაზე მთავრობაში ჯერ კიდევ ბჭობენ. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიის დეფიციტი კვლავაც გრძელდება, მთავრობა ჰესის გაჩერებას ვერ რისკავს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ უკვე რამდენიმე დღეა, "კავკასიონის" ელექტროგადამცემი ხაზი მწყობრიდან არის გამოსული და გამორთულია. "კავკასიონზე" აღდგენითი სამუშაოების დაწყება კოდორის ხეობაში, სავარაუდოდ, მაისამდე ვერ მოხერხდება. შესაბამისად, ვერ განხორციელდება ელექტროენერგიის დამატებითი იმპორტი რუსეთიდან - ამ ხაზის საშუალებით დღე-ღამეში 360-400 მეგავატის ოდენობით ელექტროენერგია შემოდიოდა.

"ენგურჰესზე" ამჟამად ორი აგრეგატი მუშაობს, რომელიც პიკის საათებში მხოლოდ 410 მეგავატს გამოიმუშავებს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბოლო მონაცემებით, ქვეყნის მთლიანი მოხმარება 1467 მეგავატი იყო, ენგურჰესის გამორთვა ქვეყნის ენერგომომარაგებას კიდევ უფრო რთულ მდგომარეობას შეუქმნის.

როგორც "საქჰიდროენერგომშენის" გენერალური დირექტორის მოადგილე მერაბ დავითაია აცხადებს, "ენგურჰესის" გაჩერების შედეგად, ენერგოსისტემაში კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება. ამიტომ, ჰესის გაჩერება მთავრობამ, სავარაუდოდ, 15-20 აპრილისთვის გადადო.

**"ჰესის გაჩერებისა და სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის ვადები ამ დღეებში დაზუსტდება. ამის გამო, გვირაბის რეაბილიტაცია ყოველდღე გვიანდება. ჰესის ტექნიკური ექსპლუატაციის პროგრამაში წერია, რომ ჰესი 1 მარტიდან უნდა გაჩერდეს, რათა წყალსაცავში შემოდგომისთვის წყლის შემოდინება მოესწროს,"** - განაცხადა დავითაიამ.

მისივე ინფორმაციით, უკვე გარკვეულია, რომ სადერივაციო გვირაბის სარემონტო სამუშაოები, გეგმის მიუხედავად, სამ თვეს ვერ გაგრძელდება, რადგან ივნისიდან ჰესში წყლის შემოდინება იწყება და ამ დროისთვის "ენგურჰესის" გაჩერება ტექნიკურად დაუშვებელია.

**"ჩვენ ვითხოვთ, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 55 დღე მაინც მოგვცენ, რათა ამ დროის განმავლობაში სამუშაოების 30 პროცენტის შესრულება მაინც მოვახერხოთ. ამ ხნის განმავლობაში შევაკეთებთ საკეტებს. ეს კი აგრეგატების მუშაობის სტაბილურობისთვის აუცილებელია,"** - აღნიშნა დავითაიამ.

შეგახსენებთ, რომ "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. თუმცა, ამისათვის ჰიდროელექტროსადგურის სამი თვით გაჩერებაა საჭირო.

"ენგურჰესის" გვირაბის შეკეთება, როგორც წესი, ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა ხდებოდეს, თუმცა ხსენებულ გვირაბზე სარეაბილიტაციო სამუშაოები უკანასკნელად 1997 წელს შესრულდა. სხვათა შორის, ჰესის გაჩერება და გვირაბის შეკეთება, 1998 წლიდან მოყოლებული, თითქმის ყოველ წელს იგეგმება, თუმცა ენერგოსისტემაში არსებული დეფიციტის გათვალისწინებით ეს დღემდე ვერ ხერხდებოდა.

კიდევ ერთი დეტალი: ცოტა ხნის წინ, ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის ერთ-ერთ გაფართოებულ სხდომაზე განაცხადა, რომ ძველ მთავრობას "ენგურჰესის" გასაჩერებლად "ვაჟკაცობა არ ეყო", ახალი ხელისუფლების პირობებში კი, გვირაბში დაგეგმილი სამუშაოები შეუფერხებლად ჩატარდებოდა.

გილაურის უწყებამ "ენგურჰესის" გაჩერების ვადები გუშინ უკვე მეოთხედ გადადო.

# აფხაზეთში რუსი ბიზნესმენები იმყოფებიან

### მოსკოვის მთავრობა აფხაზეთში ეკონომიკურ ექსპანსიას აგრძელებს

*რუსეთის სამთავრობო დელეგაცია რამდენიმე ბიზნეს-კომპანიასთან ერთად, უკვე მეორე დღეა, აფხაზეთში ვიზიტით იმყოფება და თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებს ხვდება. შეხვედრების მთავარი თემა ერთობლივი ბიზნეს-პროექტებია, რომლის განხორციელებასაც მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, უკვე კარგა ხანია, ღიად ლობირებს.*

მარიამ ჭაჭავაძე

თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში რუსულ დელეგაციას იური ლუჟკოვი მეთაურობს და შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის მთავრობის სახელით აფხაზეთში ეკონომიკურ ექსპანსიას აგრძელებს.

გუშინ, აფხაზეთის თვითალიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა და პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა მოსკოვის მთავრობისა და საინვესტიციო კომპანია "C-ჰოლდინგის" წარმომადგენლები მიიღეს.

შეხვედრაზე მხარეებმა, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, საკურორტო ინფრასტრუქტურაში, ადგილობრივ გადამამუშავებელ წარმოებაში, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროებში ერთობლივი წინადადებები განიხილეს.

სხვათა შორის, ეს ის სფეროებია, სადაც უკანასკნელი რამდენიმე წელიწადია, რუსეთის სამთავრობო და კერძო სტრუქტურები მილიონობით რუსულ რუბლს აბანდებენ და, შესაბამისად, კარგადაც ხეირობენ. ბიჭვინთის, სოხუმის, გაგრისა და ოჩამჩირის სანაპირო ზოლზე მდებარე საკურორტო ინფრასტრუქტურის ძალიან დიდი ნაწილი რუსულმა ბიზნეს და სამთავრობო წრეებმა ძალიან დიდი ხნის წინათ აითვისეს. აფხაზეთში გადამამუშავებელი მრეწველობა - ეს კიდევ ერთი სფეროა, რომელშიც ბოლო რამდენიმე წელია, რუსები ასევე დიდი წარმატებით საქმიანობენ, ტრანსპორტი და კომუნიკაციები კი ერთ-ერთი ის სფეროა, სადაც რუსულმა კაპიტალმა ყველაზე ნაკლებად შეაღწია.

გუშინვე, სოხუმში ვიზიტით მყოფმა მოსკოვის მთავრობის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ანატოლი სოროკინმა და საინვესტიციო კომპანია "C-ჰოლდინგის" პრეზიდენტმა ალექსანდრ შეპელმა საკურორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები და გადამამუშავებელი სფეროს საწარმოები მოინახულეს, რომლებშიც, სავარაუდოდ, მხარეები ერთობლივი პროექტების განხორციელებას გეგმავენ.

გუშინ რუსული და აფხაზური ინტერნეტ-გამოცემები აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშის ადმინისტრაციის ინფორმაციას ავრცელებდნენ, რომლის თანახმადაც, აფხაზეთში მოსკოველ სტუმართა ვიზიტი მოსკოვის მერსა და აფხაზეთის პრეზიდენტს შორის ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის დედაქალაქში მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის ფარგლებში განხორციელდა.

იმავე ადმინისტრაციის ინფორმაციით, გუშინდელ შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსკოვის მერიისა და რუსული კერძო კაპიტალის აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტირების შესახებ.

ბაგაფშმა მადლობა გადაუხადა რუსულ მხარეს აფხაზეთის ეკონომიკის რეაბილიტაციით დაინტერესებისთვის და აღნიშნა, რომ ვიზიტი მასსა და მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგია.

აფხაზური ინტერნეტ-გამოცემების თანახმად, რუსეთის დელეგაცია თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში კიდევ რამდენიმე დღე დარჩება, თუმცა მომდევნო დღეების პროტოკოლის თაობაზე ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ ვრცელდება.

# "Forbes"-ის რეიტინგს "Citigroup" ლიდერობს

ამერიკულმა ჟურნალმა "Forbes"-მა მსოფლიოს 2000 უმსხვილესი კომპანიის სია გამოაქვეყნა. კომპანიების გლობალურ რეიტინგში ამერიკული საბანკო კორპორაცია "Citigroup" ლიდერობს.

სხვა რეიტინგებისგან განსხვავებით, სადაც კომპანიები ერთი მაჩვენებლის მიხედვით ირჩევა, "Forbes" კომპანიებს ოთხი მაჩვენებლით აფასებს - შემოსავლები, მოგება, აქტივები და კომპანიის კაპიტალიზაცია.

რეიტინგის პირველი ოთხი ადგილი ამერიკულ კომპანიებს უჭირავთ - საბანკო კორპორაცია "Citigroup"-ს, მრავალპროფილიან "General Electric"-ს, სადაზღვევო კომპანია "AIG"-ს და "Bank of America"-ს. რეიტინგში ამერიკული კომპანიები დომინირებენ. სიის 2000 ადგილიდან აშშ-ს კომპანიებს 711 ადგილი ეკუთვნით.

რეიტინგის მეხუთე ადგილზე ბრიტანული საბანკო ჯგუფი "HSBC"-ია. მას მოსდევენ ნავთობკომპანიები - "ExxonMobil", "Royal Dutch/Shell" და "BP". რეიტინგის მეცხრე და მეათე ადგილებს "ING Group" და "Toyota Motor" ინაწილებენ.

"Forbes"-ის რეიტინგში სულ 13 რუსული კომპანიაა შესული. რეიტინგში მოხვედრილ რუსულ კომპანიებს შორის "გაზპრომი" 67-ე ადგილით ლიდერობს. მას გარდა, სიაში მოხვდნენ ნავთობკომპანია "ლუკოილი" (161), "რაო ეესი" (252), "სურგუტნეფტეგაზი" (360), "სბერბანკი" (409), "სიბნეფტი" (452) და "მტს" (759). "იუკოსი" უმსხვილესი კომპანიების სიიდან საბოლოოდ გამოვარდა.

კომპანიების შესარჩევად "Forbes" "Worldscope"-ის მონაცემთა ბაზას იყენებს. ამ უკანასკნელს მსოფლიოს 32 ათასი კომპანიის შესახებ გააჩნია ინფორმაცია. **24 საათი**

## განცხადება
## საკონსულტაციო მომსახურეობის შესყიდვის შესახებ

საქართველოს მთავრობის კანცელარია,
საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი
სტრუქტურული რეფორმის მხარდაჭერის პროექტი
კრედიტი N 3264 GE GE

საქართველოს მთავრობის კანცელარია და საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი, სტრუქტურული რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში განმეორებით იწვევს გამოცდილ ადგილობრივ არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმებს, მთავრობის კანცელარიის (მდებარე ქ. თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N7-ში) I-III სართულების რეაბილიტაციისათვის საჭირო არქიტექტურული დიზაინისა და პროექტის შესამუშავებლად.

არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:
შეიმუშაოს არქიტექტურული დიზაინი;
დაამუშაოს პროექტის არქიტექტურული და საინჟინრო ნაწილები;
მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების, აგრეთვე სპეციალური საინჟინრო სამუშაოების ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3(სამი) წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 2(ორი) მსგავსი ტიპის განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის ძირითადი პერსონალის გამოცდილება შესაბამის დარგში;
4. ნახაზების შესრულების გამოცდილება არქიტექტურულ-კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad/ AutoCad-ში)

სამუშაოების ხანგრძლივობა 1 (ერთი) თვე.

ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკის მსესხებლის მიერ " შერჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით", 1997 წლის იანვარი(შესწორება -1997წ სექტემბერი, 1999წ იანვარი).

რამდენადაც კანდიდატთა შეფასება მოხდება ფირმის კვალიფიკაციის მიხედვით, ინტერესის არსებობის შემთხვევაში კონკურსში მონაწილეობის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს:

1. მოკლე ინფორმაცია ფირმის შესახებ;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, მოკლე აღწერა და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები და ა.შ.)
3. სახელმწიფო ლიცენზია პროექტირებაში;
4. ინფორმაცია ფირმის ძირითადი პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა- CVs).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეირჩევა საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე ფირმა.

დაინტერესებულმა ფირმებმა განცხადებები უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 აპრილს 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. N42, მე-5 სართული, ოთახი N501, საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი. ტელ: 95 08 65, 95 52 68 ფაქსი: 24 13 64

# ორმაგი სტანდარტი ბორის ბერეზოვსკის მიმართ

სოფიკო ჩხაიძე

*კანონი ერთია და მის წინაშე ყველა თანასწორია. ქართულმა რეალობამ კი აჩვენა, რომ არა მხოლოდ შეიძლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევა, არამედ ერთი და იმავე ადამიანის მიმართ კანონმდებლობის ორმაგი სტანდარტით გამოყენებაც დასაშვებია, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი სხვადასხვა სტატუსით სარგებლობს - მაგალითად, ბორის ბერეზოვსკი.*



2 აპრილს საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი რუსი ოლიგარქი, რუსეთის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ძებნილად გამოცხადებული, ამჟამად დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური დევნილის სტატუსით მცხოვრები ბორის ბერეზოვსკი. მან საქართველოს საზღვარი დაუბრკოლებლად გადმოლახა და უკანაც უპრობლემოდ გაემგზავრა. საქართველოში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მისი გამგზავრების შემდეგ გავრცელდა. ბერეზოვსკის უშუალო მასპინძლის, მისი დიდი ხნის მეგობრის, ბადრი პატარკაციშვილის განცხადებით, ამ ვიზიტის შესახებ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები სიტყვიერად ინფორმირებულნი იყვნენ და არავითარი წინააღმდეგობა მათი მხრიდან არ გამოთქმულა. აქედან გამომდინარე, არც მისი საქართველოდან გამგზავრების შემდეგ გაკეთებულა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რაიმე განსაკუთრებული განცხადება - სხვათა შორის, ბერეზოვსკის პირველი ვიზიტისგან განსხვავებით. საქმე ის გახლავთ, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ბორის ბერეზოვსკი უკვე მეორედ ესტუმრა საქართველოს და მის პირველ ვიზიტს, რომელიც, უკანასკნელის არ იყოს, მხოლოდ მისი გამგზავრების შემდეგ გახმაურდა, დიდი აურზაური, საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან აღშფოთების გამომხატველი განცხადებები და მეტიც - საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის დაკავება მოჰყვა.

მაშინაც და ახლაც ბორის ბერეზოვსკიმ საქართველოს საზღვარი დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ გაცემული პასპორტით გადმოლახა. ამ პასპორტით ის პლატონ ელენინია. თავად ბერეზოვსკი-ელენინის განმარტებით, პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებასთან ერთად დიდმა ბრიტანეთმა ცნო რუსეთის მხრიდან დევნისგან მისი დაცვის უფლებაც და დათანხმდა სხვა სახელითა და გვარით მისთვის სამგზავრო დოკუმენტის გაცემას, რაც მას სხვადასხვა ქვეყანაში გადაადგილების უფლებას ანიჭებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბერეზოვსკის მიერ საქართველოს საზღვარზე წარდგენილი დოკუმენტები არც ყალბი იყო, ხოლო პლატონ ელენინი საერთაშორისო ძებნილი არ გახლავთ, შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ და ატეხილმა აჟიოტაჟმა სამართალდამცველებს უბიძგა, ამ საქმის გამო, ვინმე დაეპატიმრებინათ. პროგნოზები საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის დაპატიმრების შესახებ არ გამართლდა; სამაგიეროდ, დააკავეს და გაასამართლეს დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი, მაიორი ირაკლი პაპავა. სამართალდამცველთა განმარტებით, მან ბერეზოვსკის ჩამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე ძებნილთა სიიდან ამოიღო მისი გვარი.

იყო თუ არა ორი დღის წინათ ძებნილთა სიაში ბერეზოვსკის გვარი ჩამატებული, არავის შეუმოწმებია. ის, რომ თბილისის აეროპორტში ბორის ბერეზოვსკის უპრობლემოდ მისცეს საქართველოს ვიზა, პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, არც გენერალურ პროკურორს გაუპროტესტებია და არც - საქართველოს პრეზიდენტს. შესაბამისად, კორექტული იყო თავად ბერეზოვსკიც. პირველი ვიზიტის შემდეგ "ბიბისი-სთვის" მიცემულ ინტერვიუში ის მიხეილ სააკაშვილის მიმართ საკმაოდ კრიტიკულად გახლდათ განწყობილი და ამბობდა: **"ძალიან გამაკვირვა სააკაშვილის რეაქციამ. მე გადმომცეს, რომ სააკაშვილი აღშფოთებულია და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. თურმე კიდეც ითხოვდა, რომ... მოთხოვნა მან მას შემდეგ დაიწყოს, რაც საქართველოს პრეზიდენტი გახდება. მგონი, ჯერ არ აურჩევიათ. აღშფოთება კი მისი პირადი საქმეა."** ახლა მან საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის დემოკრატიულად მმართველად აღიარა და მის მიმართ სიმპათია არ დაუმალავს.

ასეთი ორმხრივი ტრანსფორმაციის მიზეზები, სავარაუდოდ, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების ცვლილებებში უნდა ვეძიოთ. მაგრამ, პოლიტიკური სარჩულის გარდა, არსებობს კანონი, რომელიც არ შეცვლილა, მაგრამ ბერეზოვსკისთან მიმართებაში სხვადასხვაგვარად ამოქმედდა. დემოკრატიულად და სამართლებრივად მართულ სახელმწიფოებში კი ასე არ ხდება.

როდის იყო საქართველოს ხელისუფლება მართალი – როცა, ბერეზოვსკის მალულად ჩამოსვლისა და წასვლის გამო, გულზე ხელებს იბაგუნებდა, თუ ახლა, როდესაც რუსი ოლიგარქის ვიზიტი ყურადღების ღირსად არ ჩაუთვლია – კერძო პირის კერძო ვიზიტი რა ხელისუფლების საქმეა? აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება დეკემბერში შეცდა.

სხვადასხვაგვარი მიდგომა ბერეზოვსკის ამა თუ იმ ქვეყანაში შეშვება-არშეშვების მიმართ მართლაც არსებობს - მაგალითად, დეკემბერში საქართველოდან გამგზავრებულ ბერეზოვსკის ამერიკის შეერთებული შტატების ვიზის გაცემაზე უარი უთხრეს, თებერვალში კი ბორის-პლატონ ბერეზოვსკი-ელენინი ლატვიაში დიდი პატივით მიიღეს. სამაგიეროდ, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს, თითქმის ერთი თვეა, არ გაუცია პასუხი ბერეზოვსკის მხრიდან უკრაინის ვიზის მოთხოვნაზე. უკრაინის ხელისუფალთა განცხადებით, ისინი გაურკვევლობაში არიან, რადგანაც ბერეზოვსკის უკრაინაში მიღების საკითხს ქვეყანაში მოქმედი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კონვენცია არეგულირებს. ერთის – პოლიტიკური დევნილების დაცვის შესახებ კონვენციის თანახმად, ბრიტანეთში პოლიტიკური დევნილის სტატუსმინიჭებულ ბერეზოვსკის უკრაინის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება აქვს; სამაგიეროდ, მეორე კონვენცია უკრაინის ხელისუფლებას ძებნილების იმ ქვეყნისთვის გადაცემას ავალდებულებს, სადაც მას დანაშაული აქვს ჩადენილი.

რა კანონმდებლობა არეგულირებს საქართველოში ერთდროულად ორი სტატუსის – პოლიტიკური დევნილისა და სხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირის მიღებას? ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ანა დოლიძე ამ საკითხს ასე განმარტავს: **"საქართველოცა და დიდი ბრიტანეთიც მიერთებული არიან 1951 წლის კონვენციას ლტოლვილთა შესახებ, რომლის თანახმადაც, დიდი ბრიტანეთის მიერ პოლიტიკურ დევნილად შერაცხულ პირს საქართველო წარმომავლობის ქვეყანას არ გადასცემს. ეს კონვენცია გაცილებით მაღლა დგას მინსკის კონვენციასა და რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელთა თანახმადაც, წევრი ქვეყნები ერთმანეთს ძებნილებს გადასცემენ. თუ ბერეზოვსკიმ ყველა წესის დაცვით აიღო საქართველოს ვიზა, მისი გადაცემა რუსეთისათვის, საქართველოს მხრიდან, დანაშაული იქნებოდა".**

ცხადია, ასეთი დანაშაული საქართველოს საერთაშორისო სკანდალს მოუტანდა. 2003 წლის დეკემბერში კი, რუსეთის წინაშე თავის მოსაწონებლად საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთი თანამდებობის პირის საჩვენებელ, მაგრამ, როგორც ახლა აღმოჩნდა, ტყუილ-უბრალოდ დაკავებას და პასუხისგებაში მიცემას მცირე ხმაურიც კი არ გამოუწვევია.

## შემზარავი მკვლელობა იყალთოში

*თელავის რაიონის სოფელ იყალთოში შემზარავი მკვლელობა მოხდა - რვა თვის ფეხმძიმე მარინა სიდამონიშვილი, ახლობლების მტკიცებით, მეუღლემ მოკლა. სამართალდამცველები მომხდარს, ჯერჯერობით, მკვლელობის კვალიფიკაციას ვერ აძლევენ, რადგან ექსპერტიზის დასკვნები ჯერ არ მისვლიათ. გარდაცვლილის ახლობლები მკვლელის ლინჩის წესით გასამართლებას აპირებენ.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

როგორც გარდაცვლილის მამიდა იხსენებს, ძმიშვილის მძიმე ავადმყოფობის შესახებ ღამის ოთხ საათზე მას მარინას მეუღლემ, ზაზა სიდამონიძემ შეატყობინა. ამ ამბის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში მყოფი რვა თვის ფეხმძიმე ქალბატონი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადიყვანეს. მართალია, მომაკვდავს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ მისი გადარჩენა თბილისში გადაყვანის შემდეგაც კი ვერ მოხერხდა. თელავის სამშობიარო სახლის დირექტორი ავთანდილ ყამბარაშვილი იხსენებს: **"როცა ავადმყოფი ჩვენთან შემოიყვანეს, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა - მძიმე ტრავმები აღენიშნებოდა თავის ქალის არეში, ერთი თირკმელი გახეთქილი ჰქონდა, ელენთა ოთხი სანტიმეტრის სიგრძეზე იყო გადმოსული, ღვიძლზე სილურჯეები აღენიშნებოდა; ასევე, სხეულზე ჰქონდა ტრავმების ძველი კვალიც. ერთადერთი ორგანო, რომელიც არ ჰქონდა დაზიანებული, იყო საშვილოსნო. მისი გადარჩენა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ".** როგორც აღმოჩნდა, მარინა სიდამონიშვილის მშობიარობა საავადმყოფოში მიყვანის დროს უკვე დასრულებული იყო, მაგრამ ბავშვი გარდაიცვალა.

სოფელ იყალთოს მოსახლეობის ნაწილი მომხდარზე საუბარს თავს არიდებს, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ ფაქტს ასახელებენ. ვახტანგ ნაროსლიშვილი იყალთოს მკვიდრია. მას ამ ოჯახთან მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს. იგი ამბობს, რომ მან კარგად იცოდა, სიდამონიშვილების ოჯახში რაც ხდებოდა. **"მიუხედავადა იმისა, რომ ძმაკაცები ხშირად ვარიგებდით, მეუღლეს უდიერად არ მოპყრობოდა, მაინც ხშირად სცემდა მას. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ვიცი, რომ მარინა ძლიერ იყო ნაცემი,"** - ამბობს ვახტანგ ნასროლიშვილი.

მარინა სიდამონიშვილის მეუღლე მალვაში იმყოფება. დანაშაულში ეჭვმიტანილის ოჯახის წევრები და ნათესავები მკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ და ამბობენ, რომ დიასახლისი კიბიდან გადმოვარდა და მკვლელობა სოფლელების მონაჭორია.

### მოკლედ

## კონტროლის პალატა რევიზიის შედეგებს ახმაურებს

კონტროლის პალატამ შპს "საქართველოს რკინიგზაში" 2002 წელს ჩადენილი ორი სისხლის სამართლის დანაშაული გამოავლინა. როგორც კონტროლის პალატაში აცხადებენ, აღნიშნული საქმეები რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას დაუყოვნებლივ გადაეგზავნა.

საქმე ეხება შპს "საქართველოს რკინიგზასა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2002 წელს დადებულ ხელშეკრულებას; აგრეთვე - "საქართველოს საზღვაო ბანკს", "აჭარტერმინალექსპედიტორსერვისსა" და "საქართველოს რკინიგზას" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს. კონტროლის პალატა ზუგდიდის რაიონში 15 ობიექტის პრივატიზების პროცესში აღმოჩენილ დარღვევებზეც აპირებს განცხადების გაკეთებას. აღმოჩენილი დარღვევების შესახებ მოპოვებული მასალები რეაგირებისთვის უკვე გადაეცა გენერალურ პროკურატურას.

ცნობილი გახდება, ასევე, თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის რევიზიის შედეგები.

*ინტერ-პრესი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცველებმა გუშინწინ გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორის თანაშემწე ვახტანგ თორდია ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. გენერალური პროკურორის მოადგილის კახა კობერიძის განცხადებით, მძიმე კვალიფიკაციის მუხლის მსუბუქით შეცვლის სანაცვლოდ, რაიონის პროკურორის თანაშემწე მოქალაქეს 1000 აშშ დოლარს სძალავდა. გენერალური პროკურორის მოადგილის განცხადებით, სახელმწიფო მოხელის მიერ ქრთამის აღების მცდელობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია და თორდია კანონის მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს. დაკავების დროს ამოღებულია თანხა, რომელიც თორდიას ქრთამის სახით უნდა გადასცემოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ვალერი ცერცვაძის განცხადებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისციპლინარულმა კომისიამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში 30-მდე მოსამართლის მიმართ დისციპლინარული დევნა აღძრა.

ცერცვაძის განცხადებითვე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ობიექტურად განიხილავს ყველა საქმეს და შეეცდება მოსამართლის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მანამ, სანამ საბჭო ამა თუ იმ მოსამართლეზე საბოლოო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს. ცერცვაძე აღნიშნავს, რომ საბჭო უმკაცრესად მოეკიდება ყველა იმ მოსამართლის საკითხს, ვინც კანონს დაარღვევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ დილით ქუთაისში სამი საეჭვო პირი დააკავეს, რომლებიც, სავარაუდოდ, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არიან. ლადო ასათიანის ქუჩაზე პოლიციამ საეჭვოდ მოძრავი ავტომანქანა "ვაზ 2106" შენიშნა, რომლის მძღოლი სამართალდამცველებს არ დაემორჩილა და გაქცევა სცადა. როგორც იმერეთის კრიმინალური პოლიციის უფროსი ზაზა გონგაძე აცხადებს, მათ ავტომანქანის გაჩერება და სამი მგზავრის – თევდორე ჟორჟოლიანის, კოტე გაბუნიას და გივი გიორგაძის დაკავება შეძლეს. ჩხრეკის შედეგად დაკავებულებს ამოუღეს ნაგანის" ტიპის რევოლვერი და "აკაესის" სისტემის ორი ავტომატური იარაღი მჭიდებითა და ვაზნებთურთ. ავტომანქანაში, ასევე, შავი ფერის ნიღბები და ე.წ. "სკოჩები" აღმოჩნდა. სამივე დაკავებული წინასწარი პატიმრობის იზოლატორშია მოთავსებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბეში მცხოვრებნი - ნასამართლევი, 25 წლის ზაქარია ქოქაშვილი, 32 წლის ჯუმბერ ქოქაშვილი და თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერში მცხოვრები, ნასამართლევი, 31 წლის ალეკო ეგუტიძე, რომლებიც 18 საათსა და 30 წუთზე სოფელ ჩალაუბანში თავს დაესხნენ ფირმა "ნუკოილის" ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორს - იმავე სოფელში მცხოვრებ, 40 წლის პაატა შაკიაშვილს; პისტოლეტის ტარით თავში მიაყენეს დაზიანება და, პისტოლეტისა და დანის გამოყენების მუქარით, გაიტაცეს 380 ლარი. არარეგისტრირებული საფანტის პისტოლეტი "მაგნიუმი" ამოღებულია. **მედიანიუსი**

## "კონსერვატორების" მიერ ბრალდებული დავით კეზერაშვილი პოზიციებს მყარად ინარჩუნებს

*პარტია "კონსერვატორების" ლიდერთა მიერ საეჭვო საქმიანობაში უკვე მეორედ დადანაშაულებული ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის ფავორიტის სტატუსით სარგებლობს, პოზიციებს, ჯერჯერობით, მყარად ინარჩუნებს.*

ინგა ალავიძე

კონსერვატიული პარტიის წევრები ფინანსური პოლიციის უფროსს დავით კეზერაშვილს ამჯერად კორუფციაში ადანაშაულებენ. კობა დავითაშვილმა ჟურნალისტებს კეზერაშვილის სატელეფონო საუბრების აუდიოჩანაწერის ასლებიც კი დაურიგა, რომლებიც კომპიუტერის დისკებზეა ჩაწერილი. აუდიოჩანაწერის მიხედვით, ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი ამავე უწყებიდან ნარკოტიკების მოხმარებისთვის გათავისუფლებულ ერთ-ერთი სამმართველოს ყოფილ უფროსს ზურაბ წეროძეს "ბე-ემ-ვე"-ს მარკის ავტომობილების ტენდერთან დაკავშირებით ესაუბრება. დავით კეზერაშვილი ფინანსთა მინისტრ ვალერი ჩეჩელაშვილისთვის გადასაცემ "ჯიპზეც" საუბრობს, რომელსაც, ჩანაწერის თანახმად, სანომრე ნიშნები არ გააჩნია.

**"ერთი ცალი "ჯიპი" სპეცნაზმა გაატაროს ჩეჩელაშვილისთვის... ეგ ყ... ხო, ის დადის იმით, ჩვენი ოპერები რომ დადიან - "რენოებით". ეხლა სირცხვილია რა, პროსტა, რა უბედურებაა, მარა ეგ ბეგიაშვილს პირობა დავუყენე, რომ ამ ოთხივეს ბალანსზე აიყვანს სასწრაფოდ და მიაკითხე, თორემ დედის... თუ ნომრებს არ გაუკეთებს. ყველას გაუკეთეთ დროზე!"**

**"ფირმა ვიპოვე, ვებაზრე, მაქსიმუმ 3-4 დღეში ნაწილი მანქანების სურათებს მომაწოდებენ. სერიოზული ფირმაა, ბაზრობაზე მუშაობენ, დიდი მაღაზია აქვთ ახალ ბაზრობაზე გახსნილი. მეორე ფირმა ცოტა ნაკლებად სერიოზულიაო, მოვიკითხავ ჩემებშიო, გერმანიაში დავრეკავო ჩემ აგენტებთანო. ეხლა ეს ფირმა მომეწონა რა, - პირველი. სერიოზულად აწყობილი სისტემა აქვთ, როგორც ამერიკიდან, ისე ჰოლანდიიდან და გერმანიიდან. ამერიკაშიც არიო "ბე-ემ-ვე"-ბიო და გაცილებით ნავაროჩენიაო და იაფი ჯდებაო. ახლა შეიძლება ამერიკაში 30 ვერ ვიშოვოთო, მაგრამ ავაწყობთო,"** - ეუბნება ტელეფონით საუბარში კეზერაშვილს თანამოსაუბრე.

"კონსერვატორების" განცხადებით, სატელეფონო საუბრების თანახმად, კეზერაშვილი რამდენიმე ფირმაზე საუბრობს, რომლებიც "ბე-ემ-ვე"-ს მარკის მანქანების ჩაწყობილ ტენდერში მიიღებენ მონაწილეობას, საიდანაც კეზერაშვილსა და მის გუნდს „დიდი ფული დარჩებათ". კობა დავითაშვილმა კეზერაშვილი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. თუმცა, ზვიად ძიძიგურის თქმით, პრეზიდენტი სააკაშვილი, ყველაფრის მიუხედავად, ხელს აფარებს კეზერაშვილს, რაც ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლებაში არსებობს გარკვეული გუნდი, რომელსაც ხელშეუხებლობის გარანტია აქვს.

ფინანსური პოლიცია არ ადასტურებს იმ სატელეფონო საუბრის შინაარსს, რომელიც გუშინ პარლამენტში ოპოზიციონერმა დეპუტატმა, "კონსერვატორმა" კობა დავითაშვილმა გაავრცელა.

"კონსერვატორების" ბრალდების გასაბათილებლად ფინანსურმა პოლიციამ გუშინვე ორი საპასუხო სვლა გააკეთა. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ ოპერატიულად გავრცელებული განცხადებით, "აუდიო-მასალა მონტაჟის საშუალებითაა ჩაწერილი, კონტექსტიდანაა ამოღებული სხვადასხვა სიტყვა და ფრაზები, რასაც სინამდვილესთან არანაირი კავშირი არ აქვს."

ფინანსური პოლიციის მიერ, ასევე, სასწრაფოდ გავრცელებულ მეორე ინფორმაციაში კი, რომელიც ჟურნალისტებს "შეუგდეს", საუბარი იყო კობა დავითაშვილის მეუღლის საქმიანობაზე; ანუ, მას შემდეგ, რაც კობა დავითაშვილმა დავით კეზერაშვილი სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოაცხადა, კეზერაშვილის უწყებამ დავითაშვილის ცოლის კომპრომეტირება დაიწყო. სხვათა შორის, დავითაშვილის ცოლის „დანაშაულებრივი ქმედების" შესახებ მასალა „24 საათშიც" მოხვდა. თუმცა, ამ მასალებში დავითაშვილის მეუღლის ინგა ბიწაძის „დანაშაულებრივი ქმედება" არ ჩანდა.

"კონსერვატორების" ლიდერთა სკანდალური პრესკონფერენციის დასრულებისთანავე დავით კეზერაშვილის მეგობრებმა, ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონის წარმომადგენლებმა, ფინანსური პოლიციის უფროსი დაიცვეს და დავითაშვილ-ძიძიგურის განცხადებები ფინანსური პოლიციის წარმატებულ საქმიანობაზე დარტყმად მონათლეს. **„დავით კეზერაშვილი თანამდებობაზე მუშაობას კვლავაც გააგრძელებს",** – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა. მისი თქმით, დავით კეზერაშვილი კარგად მუშაობს და არ არსებობს არავითარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას ჩადენილი აქვს დანაშაული. **„ამიტომ, იგი მუშაობას გააგრძელებს; და თუკი ვინმეს ეჭვი აქვს, ეს კანონის ფარგლებში გაირკვევა",** - განაცხადა გელა ჩარკვიანმა, რომელმაც, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის პოზიცია გაახმოვანა.



## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

### ანკეტა

**სახელი, გვარი**.....................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.....................................

**საკონტაქტო ტელეფონი**.............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

## ღია წერილი

### ბატონ ბადრი პატარკაციშვილს, გურიის გუბერნატორს ბატონ ჟანი კალანდაძეს, გაზეთ "24 საათის" რედაქციას

ბატონო ბადრი, საქართველოს ყველა მცხოვრებისათვის სათაყვანებელი და საოცნებო პიროვნება ხართ, თქვენი და თქვენ მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდის გაკეთებული საქმეები სცილდება უბრალო ღვთისნიერი ადამიანის შესაძლებლობებს, თუნდაც, დაბა ურეკში "იმედის ქალაქის" შენების იდეა. თქვენი ძალისხმევით, ურეკი უფრო კეთილმოწყობილი ხდება, შენდება და მშვენდება, უკვე ქალაქს ემსგავსება. ურეკში თქვენმა ყოფნამ და "იმედის ქალაქის" შექმნის იდეამ დიდად იმოქმედა კურორტის ავტორიტეტზე და მისი განვითარების გარანტი გახდით.

ამ წერილის დამწერნი, ქვეყნის მოსახლეობასთან ერთად, ყოველივე იმას, რაც თქვენ გააკეთეთ და რასაც აკეთებთ, ნათლად ვხედავთ, მაგრამ ადგილობრივი კორუმპირებული ხელმძღვანელებისა და თქვენი მენეჯერის მიერ დაშვებულმა ერთ-ერთმა უპირობო მცდარმა გარიგებამ, რომელმაც ჩვენთვის და კურორტისთვის ცუდი შედეგი გამოიღო, იძულებული გაგვხადა, დაგვეწერა ღია წერილი.

როგორც ცნობილია, კურორტ ურეკის 80 პროცენტი განთავსებულია სოფ. შრომის ტერიტორიაზე, სანატორიუმ “მეგობრობიდან” ყვავილნარამდე (სუფსის ხიდამდე) ორი კილომეტრის მანძილზე ზღვის სანაპიროზე, 150 მ სიფართით, ჩვენი სოფლის მოსახლეობის მიერ გაშენებულია ფიჭვის ტყე-პარკი. სოფლის მიწის რეფორმის კომისიამ გაითვალისწინა 1500-კომლიანი მოსახლეობის ინტერესები, კურორტის განვითარების პერსპექტივები და დაუნაწილა ამ ტყე-პარკზე მიბჯენილი სასიმინდე ფართობები 500-დან 1000 მეტრამდე თითოეულ კომლს (იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში გამოიყენებდნენ სააგარაკო მშენებლობისათვის). მიწის პრივატიზაციიდან ორი წლის შემდეგ გავიგეთ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას, მოსახლეობისგან დაუკითხავად, პირობების გაუთვალისწინებლად 400 ჰექტარი ტყე-პარკი გაუსხვისებია, თუ არენდით მიუცია. მიწის ყველა მფლობელს გაგვიხარდა თქვენთან მეზობლობა, მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. დაიწყო გასხვისებული ტყე-პარკის შეღობვის პროცესი. ჩვენი მრავალი ცდის მიუხედავად, რატომღაც არ ისურვეთ სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რის გამოც თქვენი მენეჯერი, ბატონი ოთარი, პირველი შეხვედრის დროს შეგვპირდა, რომ შეღობავდა გამჭოლი ღობით და, თანაბარი მანძილის დაცვით, გაკეთდებოდა ოთხი შესასვლელი პლაჟზე. მაგრამ მოხდა განსაცვიფრებელი რამ - შემოღობვა დაიწყეს აეროპორტის საფრენი მოედნის რკინა-ბეტონის ფილებით (ადამიანი ზღვასთან ახლოს იმიტომ აშენებს აგარაკს და მიდის დასასვენებლად, რომ ზღვიდან მონაბერი ჰაერით ისუნთქოს, რომელიც გალავანმა ჩაკეტა).

თქვენთან შეხვედრის მცდელობა კვლავ უშედეგო აღმოჩნდა და მეორე შეხვედრაზეც ბატონი ოთარი გვეუბნება: ამ მიწის მესაკუთრე ჩვენ ვართ, პლაჟიც ჩვენ გვეკუთვნის, რითიც გვინდა, იმით შემოვღობავთო. თუ ვინმემ შიგნით დაანაგვიანა ან მოიპარა, იმავე დღეს ოთხივე შესასვლელს გავაუქმებთო. და დღეს ორმოცი ჰექტარი ტყე-პარკი პლაჟით მოსახლეობისგან გამიჯნულია 2,5 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის გალავნით. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, საქართველოს არც ერთ კურორტზე ჰაერ და ქარგაუმტარი გალავნით პლაჟები არსად არ არის შემოღობილი, პლაჟები არსად არ არის გაყიდული და გასხვისებული (თუნდაც, ის მაგალითი გვეყოფა, რომ ბათუმის სანაოსნოს რკინა-ბეტონის ღობე იმიტომ შეცვალეს გამჭოლი ღობით, რომ ქალაქში ზღვის მონაბერი ჰაერი შემოსულიყო).

ადრე ვიყავით ყოფილ გუბერნატორთან, წერილობითაც მივმართეთ. ვითომ თხოვნა ყურად იღეს, შეიქმნა კომისია, გუბერნატორთან ერთად კომისიამ კურორტის ცენტრში, პლაჟზე გასასვლელი გზისთვის, ორ მცხოვრებს დაუშალა აგარაკი, დაიგეგმა ზემოთ აღნიშნული გალავნის შეცვლაც, მაგრამ გავიდა დრო, შეიცვალა გუბერნატორი, გალავანიც გაარემონტეს და უფრო აამაღლეს. შედეგი...???

აღნიშნული პლაჟით, სოფელ შრომის მოსახლეობასთან ერთად, სოფელ წყალწმინდის მოსახლეობაც სარგებლობს.

ბატონო გუბერნატორო, გვჯერა თქვენი ახალგაზრდული პრინციპული შემართების, გვჯერა იმის, რომ არავითარი წინა კორუფციული გარიგების მონაწილე არა ხართ, წერილს გულისყურით წაიკითხავთ, ბატონ ბადრისა და მოსახლეობის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დასახავთ საჭირო ღონისძიებას.

მოვითხოვთ:

1) რკინა-ბეტონის "გალავნის" შეცვლას გამჭოლი ქარგამტარი ღობით.

2) ოთხივე შესასვლელიდან პლაჟამდე ორმხრივი ღობის (რა თქმა უნდა, გამჭოლი) გაკეთებას, რათა პლაჟზე შემსვლელებს არ შეეძლოთ მესაკუთრის ტერიტორიაზე "გავლა" და "დანაგვიანება".

3) ოთხივე შესასვლელის იურიდიულად დაკანონებას.

4) ნუ მიგვიყვანთ იქამდე, რომ "მაგდანას ლურჯას" პერსონაჟის როლი გავიზიაროთ სასამართლოს კარებზე. ორი სოფლის მოსახლეობამ, რომლის კომლთა რიცხვი 2000-ს შეადგენს, ძალით ვანგრიოთ გალავანი, ან მასობრივი აქციები მოვაწყოთ.

ბატონო ბადრი, გვჯერა, რომ ამ წერილს გულისყურით წაიკითხავთ და ხალხის სასარგებლო, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ.

გფარავდეთ მაღალი ღმერთი.

*სულ 82 ხელმოწერა.*

# ქართული პროდუქტის პერსპექტივა მსოფლიო ბაზარზე

### ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში

პაატა კოღუაშვილი
*საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

მე-20 საუკუნის 50-70-იან წლებში, სურსათის წარმოების ზრდა ხშირ შემთხვევებში უგულებელყოფდა ხარისხსა და ვარგისიანობას. ეს ტენდენცია გამართლებული იყო, რადგან ომის შემდგომი მსოფლიო სურსათის უმწვავეს დეფიციტს განიცდიდა. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ადამიანის საკვებზე ენერგეტიკული მოთხოვნილების უზრუნველყოფას და ამ მიზნით მაღალკალორიული სურსათის წარმოება იზრდებოდა. ფართოდ გამოიყენებოდა მინერალური სასუქები და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დაცვის, თუ ცხოველთა ზრდის ქიმიური საშუალებები. ჯიშობრივი გაუმჯობესების სამუშაოების უმთავრესი პოსტულატიც წარმოებული პროდუქციის რაოდენობის გაზრდა-შენარჩუნება იყო. ამგვარმა მიდგომამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი რიგ განვითარებულ ქვეყნებში გაამწვავა ეკოლოგიური მდგომარეობა, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე აისახა. მათ მართალია გადაწყვიტეს სურსათის "რაოდენობის" პრობლემა მაგრამ წააწყდნენ არანაკლები სიმწვავის – სურსათის ვარგისიანობის (უვნებლობის) პრობლემას, რომლის გადასაწყვეტად ამჟამად მუშავდება ჯანსაღი კვებისა თუ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის კონცეფციები.

ტერმინი "ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობა" საყოველთაოდ არ არის აღიარებული და მას სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად მოიხსენიებენ. მაგალითად, ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, იტალიაში იყენებენ "ბიოლოგიურ სოფლის მეურნეობას"; შვეციაში, ნორვეგიაში, დანიასა და ესპანეთში "ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობას"; ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში "ორგანულ სოფლის მეურნეობას" ხოლო ფინეთში კი "ბუნებრივ სოფლის მეურნეობას". თუმცა აზრობრივი დატვირთვა ყველგან იდენტურია. ეს არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეთოდი, რომელიც ნივთიერებათა ბუნებრივ ბრუნვას მოიაზრებს. ამ დროს დაბალანსებული უნდა იყოს ნიადაგს, მცენარესა და ცხოველს შორის არსებული კავშირები ისე, რომ ამ სისტემას შეეძლოს გამოყენებულ ნივთიერებათა თვითაღდგენა.

ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო წარმოება მემცენარეობაში რამდენიმე ძირითადი საშუალებით მიიღწევა; ესენია ადგილობრივი პირობებისადმი მაქსიმალურად მისადაგებული თესლბრუნვა, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებებისა და ორგანული სასუქების გამოყენება. ამ დროს კატეგორიულად იკრძალება პესტიციდების, ჰერბიციდების, სხვადასხვა შხამქიმიკატების და მინერალური სასუქების მოხმარება. ზოგჯერ მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაც იზღუდება, გრუნტის და ნიადაგის სტრუქტურის რღვევის თავიდან ასაცილებლად. მეცხოველეობის დარგში ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დოქტრინის ძირითადი მოთხოვნაა ადგილობრივი პირობებისადმი შეგუებული ჯიშების გამოყენება, მათი ეკოლოგიურად სუფთა საკვებით უზრუნველყოფა. დაუშვებელია ზრდის ჰორმონალური საშუალებების გამოყენება და ანტიბიოტიკებით მკურნალობა. ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო წარმოება კატეგორიულად უარყოფს გენმოდიფიცირებულ მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების გამოყენებასაც.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ნედლეულისა და სურსათის წარმოების გადიდებისათვის, რაც არა მარტო უზრუნველყოფს სასურსათო უშიშროების უმაღლესი ეტაპის მიღწევას, არამედ უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმიცაა საზოგადოების კეთილდღეობის დონის შეფასებისათვის. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მოხმარება მიუთითებს არა მარტო ეკონომიკის განვითარების დონეზე, არამედ საზოგადოების განათლების, კულტურისა და ჰუმანიზაციის დონეზეც.

მსოფლიოში შექმნილია ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია. მისი წევრი ორგანიზაციების რიცხვი 100-ზე მეტ ქვეყანაში 550-ს აჭარბებს. რიგ ქვეყნებში ბიომეურნეობების ფუნქციონირება შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოექცა. ასე მაგალითად, ევროგაერთიანებამ მიიღო რეგლამენტი N2092/91 ორგანული წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის შესახებ. ამავე საკითხებზე მუშაობს გაეროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების შესაბამისი კომისიები და ა.შ.

ამჟამად ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების წარმოების მხრივ ლიდერობენ ევროკავშირის ქვეყნები. აქ ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართულია 400 ათას ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. თუმცა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციისადმი წაყენებული მკაცრი სტანდარტების გამო, ამ ტიპის პროდუქციის მოცულობა მსოფლიო ბაზარზე (წლიურად 25 მილიონი ევროდან 30 მილიონ ევრომდე მერყეობს) შეზღუდულია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მომავალში "ბიოპროდუქტების" წარმოება მკვეთრად გაიზრდება და 2010 წლისათვის მისი წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში 4.5 პროცენტს მიაღწევს.

თანამედროვე წარმოებაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს მუდმივად განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ნაცვლად დღემდე არსებული მკაცრად შეზღუდული ტრადიციული ბუნებრივი რესურსებისა. ეს სხვა არაფერია თუ არა სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობისა და საზოგადოებრივ-საწარმოო ურთიერთობათა შესაბამისობაში მოყვანა ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურ კანონებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესის ბიოლოგიზაცია. სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობას შორის დარღვეული ეკოლოგიური, საწარმოო და ეკონომიკური ბალანსის აღდგენა. გამოკვლევები ადასტურებს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთეულზე ენერგორესურსების დანახარჯის (როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლის) შემცირება წარმატებით შეიძლება, არა მარტო პროგრესული ტექნოლოგიების, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების უფრო მაღალი დოზების გამოყენებით, არამედ გამოყენებული წარმოების საშუალებების შეცვლით ფუნქციონალურად ადეკვატური ბიოლოგიური პროცესებით, რომლებიც ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით ეფექტურია.

განსაკუთრებით მაღალია "ბიოლოგიზაციის" ფასი სელექციურ საქმიანობაში, რადგან დაავადებაგამძლე ახალი პროგრესული ვაზის, ხეხილის ან სხვა მრავალწლიანი ნარგავის ჯიშების შექმნის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მიღება შეიძლება, როგორც მატერიალური დანახარჯების (შხამქიმიკატების, პესტიციდების) პირდაპირი შემცირების (ან საერთოდ ხმარებიდან ამოღების), ასევე ბუნების ქიმიური საშუალებებით დაბინძურების ხარისხის შემცირების ხარჯზე.

აღნიშნული ნოვაციების გათვალისწინების ობიექტური აუცილებლობა ნაკარნახევია საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საბაზრო გარემოსთან დროული ადაპტაციის გარდუვალობით, აგრეთვე შესაძლო გლობალური პრობლემებით. მხედველობაში გვაქვს კლიმატის ცვალებადობა. კერძოდ, დღეს უკვე საჭიროა ქვეყანაში ტარდებოდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა მოსალოდნელი გლობალური დათბობის უარყოფითი შედეგები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. ეს მოითხოვს გვალვებისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, მელიორაციული სისტემების მოწესრიგებას და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებას, გვალვაგამძლე ახალი მცენარეთა ჯიშების გამოყვანას. საჭიროა გადაიხედოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის საკითხები რიგ რაიონებსა და რეგიონებში, შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები სელექციური სამუშაოების გასაძლიერებლად და ა.შ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, მაშინ, როცა მსოფლიოში ნაკლებ განვითარებადი (მაგ. სომალი და მისთანები) ქვეყნების მოსახლეობა საკვები პროდუქტების უმწვავესი დეფიციტის გამო, შიმშილისაგან იხოცება, მსოფლიოს რიგ განვითარებულ და განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში მოთხოვნილების ზრდა ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტებზე გაცილებით უსწრებს მისი დაკმაყოფილების ტემპებს. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ქვეყნების მთავრობები უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობენ საკუთარი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მომავალი თაობების მიმართ, რადგან არავინ უწყის გენეტიკური თვალსაზრისით, რა შედეგს მოიტანს გენური ინჟინერიით გამოყვანილი საკვების მიღება. ამ კუთხით საქართველოში შეიმჩნევა ტენდეცია, მოსახლეობის შეძლებული ფენა (ბიზნესმენები, ბანკირები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი და სხვები) ცდილობს ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების შეძენას. რასაც თავის მხრივ მოჰყვა, ნატურალურ გლეხურ მეურნეობაში წარმოებულ რძის პროდუქტებზე, კვერცხზე, ქათმის ხორცზე და ხილზე ფასების ზრდა. ამ მცირე გამონაკლისის გარდა, საქართვეელოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, იმ უხარისხო, ვადაგასული და ფალსიფიცირებული პროდუქციის მომხმარებელია, რითაც გაჯერებულია ჩვენი სამომხმარებლო ბაზარი. ამაში ლომის წილი ქვეყნის ხელისუფლებას მიუძღვის, რომელიც უუნარო აღმოჩნდა, სწორად წარემართა საბაჟო უწყების მუშაობა და დაეცვა საკუთარი ხალხი კონტრაბანდული, უვარგისი და ფალსიფიცირებული საქონლის ქვეყანაში შემოდინებისაგან. თუმცა ეს საკითხი სულ სხვა წერილის თემაა. სახელმწიფო არასწორად დაგეგმილი ბიუჯეტის გამო, რომლის შემოსავლის ნაწილს საბაჟო შემოსავლები წარმოადგენს, იმ კრიმინალების მძევალი აღმოჩნდა, რომლებსაც მილიონობით ღირებულების უვარგისი პროდუქცია შემოაქვს ბაზარზე. გამონაკლისს არც ის წარმატებული ბიზნესმენები წარმოადგენ, რომლებსაც ის სიგარეტი შემოაქვთ ბაზარზე, რომლის ხარისხიც ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.

საქართველოს ეკოლოგიურად უსაფრთხო სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის, აგრეთვე სურსათის წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვები და რესურსები გააჩნია. კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების შესანიშნავი პირობები საქართველოს მთისა და მთისწინეთის პრაქტიკულად ყველა რაიონს გააჩნია. დღეს აქ ცნობილი მიზეზების გამო ისედაც უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყენება (ან საერთოდ არ გამოიყენება) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ისეთი ფაქტორი როგორც ქიმიზაციაა. ამიტომ მათი გადაყვანა ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოებაზე უფრო ადვილია, მით უმეტეს, რომ ასეთი სახის პროდუქციის წარმოება ეკონომიკურად რენტაბელურია. რაც პრაქტიკულად მის მწარმოებელს უნაზღაურებს იმ დანაკლისს, რომელიც მან წარმოების ზრდის ინტენსიური საშუალებების უგულებელყოფით მიიღო.

საქართველოში არსებობს ყველა ძირითადი პირობა ბიომეურნეობის ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელ მეურნეობათა გაფართოებისა და განვითარებისათვის. ამ მიმართულებით ქვეყანაში აქტიურად მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია "ელკანა", რომელიც 1996 წლიდან ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფედერაციის წევრია. საქართველოში დღეს 2000-ზე მეტი გლეხური, ფერმერული მეურნეობა აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას ბიომეთოდებით. ამ მიზნით შემუშავებულია და აპრობირებულია სამუშაო მეთოდები და მეთოდოლოგიები. ამ მხრივ მუშაობის გააქტიურებას დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონ-პროექტი "ბიოლოგიური აგროწარმოებისა და სერტიფიცირების შესახებ", რომელიც შეტანილია პარლამენტში განსახილველად.

საქართველოში ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოების გადიდების და მისი ექსპორტზე გატანის კარგი შესაძლებლობებია. ჩვენი საწარმოო მასშტაბების მქონე ქვეყანას, მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე. საჭიროა მიზანმიმართული მუშაობა და იმის გათვალისწინება, რომ ბიომეურნეობის მიზანი ბუნების დაცვასთან და ბევრ სხვა დადებით მხარესთან ერთად, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაცაა.



მარად ახალგაზრდა და მოძრავი



B2

ყოველ სამშაბათს



B3

აჭარული სილამაზე



B8

# ოლეგ პანფილოვი აფხაზეთში მხოლოდ თბილისის გავლით ჩავა

პირველი გვერდიდან

**- ვარდების რევოლუციის შემდეგ პირველად ხართ თბილისში... რამე შეიცვალა თქვენთვის?**

- იმთავითვე უნდა გითხრათ, რომ ძალიან სუბიექტური ვიქნები, როცა საქართველოზე ვისაუბრებ. აქამდე ორჯერ ვიყავი საქართველოში და ამ ქვეყნის უსაზღვროდ შეყვარება მოვასწარი.

ჩემთვის ძალიან ძნელია ცვლილებებზე საუბარი. მე ვერ ვკითხულობ ქართულ პრესას და არ მესმის ქართული გადაცემები.

ის, რაც საქართველოში მოხდა, მხოლოდ საქართველოს არ სჭირდებოდა. ქართველებმა პოსტსაბჭოთა ისტორიის ის პერიოდი დაიწყეს, რომელიც აუცილებლად უნდა დაწყებულიყო. და კარგია, რომ სწორედ საქართველოდან დაიწყო. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოს ისტორიას ბევრი ტრაგიკული მოვლენა ახსოვს - ომები, დაკარგული ტერიტორიები და ა.შ.

იმ ღამეს, როდესაც თბილისში ცნობილი მოვლენები დაიწყო, მე პარიზში ჩავფრინდი. როდესაც სასტუმროში დავბინავდი და ტელევიზორი ჩავრთე, ბი-ბი-სი-ზე თბილისი იყო, გადავრთე სი-ენ-ენ-ზე - იქაც თბილისი იყო. თავიდან ვერ მივხვდი, რა ხდებოდა... ვიფიქრე, რა ხდება, საქართველო დედამიწის ჭიპად იქცა-მეთქი? როდესაც ყველაფერი შევიტყვე, ორმაგი გრძნობა დამეუფლა. პირველ რიგში, ძალიან გამიხარდა, რომ ეს ყველაფერი საქართველოში ხდებოდა... მეორე მხრივ კი, შემეშინდა, რადგან ვიცი, რომ კრემლში დღეს ძალიან აგრესიული ხალხია. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა.

როდესაც ყირგიზეთს ვადევნებ თვალს, ვრწმუნდები, რომ ბიშკეკში განვითარებულ მოვლენებს არც საქართველოსთან და არც უკრაინასთან საერთო არაფერი აქვს. ქართული და უკრაინული რევოლუციების შემთხვევაში ძალიან ძლიერი იყო კრემლის, პუტინის საწინააღმდეგო განწყობები და არა ანტირუსული, როგორც ამას ხშირად მოსკოვში ამბობენ.

ყირგიზეთში ეს არ არის. ყირგიზეთის ძველმაც და ახალმა ხელისუფლებამაც კრემლის მიმართ საკუთარი სიმპათიები არაერთგზის გამოხატა.

ქართველებს აუცილებლად უნდა გაეკეთებინათ ის, რაც გააკეთეს. ამით საქართველომ კიდევ ერთხელ ცხადყო საბჭოთა იმპერიის დასამარებისა და მის ადგილას ნამდვილი მეგობრობის ალმოცენების აუცილებლობა. მეგობრობა კი ტანკებისა და მუქარების საშუალებით არ მიიღწევა, ამისათვის ნორმალური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებაა საჭირო.

**- ზოგადად ე.წ. "რევოლუციის ექსპორტს" როგორ უყურებთ? აქვს ამ "ტერმინს" არსებობის რეალური საფუძველი?**

- მე მივესალმები მხოლოდ "კოლგოტების", კარგი მანქანების და კარგი პროდუქციის ექსპორტს. რევოლუცია კი საექსპორტო საქონელი ნამდვილად არ არის. რევოლუციის ექსპორტი შეუძლებელია. რევოლუცია დიდი ხანი მწიფდება და სანამ საბოლოოდ არ მომწიფდება, არაფერი მოხდება. ასე იყო საქართველოში, ასე იყო უკრაინაში. აქვე კიდევ ერთ მიზეზს ვიტყვი, რის გამოც უკრაინული, ქართული და ყირგიზული მოვლენების შედარება არ შეიძლება. საქართველოსა და უკრაინაში მუდმივად მიმდინარეობდა რაღაც პროცესები - ოპოზიციამ შეძლო გაერთიანება, გაჩაღებული იყო საპარლამენტო ბრძოლა, ხორციელდებოდა რაღაც პროგრამები, პროექტები, მსჯელობდნენ ქვეყნის მომავალზე, ანუ სიცოცხლე დუღდა. ყირგიზეთში მსგავსი არაფერი ყოფილა. ყირგიზეთში ნომენკლატურის ერთი ნაწილი მეორე ნაწილს დაუპირისპირდა. ამას შეიძლება დავარქვათ ბუნტი, მაგრამ არა რევოლუცია.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ ყირგიზეთში განვითარებულ მოვლენებს უფრო კრემლის კვალი ატყვია, ვიდრე დასავლეთის, ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ყირგიზეთში ყველაფერი, მართლაც, კრემლის უსიტყვო თანხმობით მოხდა. ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი უკვე აღიარებს და ტრაბახობს, რომ დაახლოებით წელიწადნახევრის წინ ყირგიზული ოპოზიციის წარმომადგენლები, მათ შორის როზა ოტუმბაევაც მოსკოვში იმყოფებოდნენ და კრემლის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ცხადია, მოსკოვმა ყირგიზული მოვლენების შესახებ იცოდა. კრემლში ფიქრობდნენ, რომ აკაევი უნდა წასულიყო და დუმილით დათანხმდნენ აკაევის წასვლას.

აკაევი დიქტატორი არ იყო. ეს იყო ადამიანი, რომელსაც ქვეყნის კონტროლირება არ შეეძლო. აკაევის მმართველობის თხუთმეტწლიანი პერიოდის განმავლობაში კორუფციის დონემ ყირგიზეთში წარმოუდგენელ სიმაღლეს მიაღწია. ეს შეიძლება კორუფციის იმ დონეს შევადაროთ, რომელიც შევარდნაძის მმართველობის ბოლო სამ-ოთხ წელიწადში საქართველოში იყო. მე კარგად ვიცნობ ყირგიზეთს... ვიცი, რომ პირველ რიგში რუსეთი იყო დაინტერესებული, რათა ყირგიზეთის სათავეში აკაევის ნაცვლად სხვა, უფრო პროგრესული ადამიანი მოსულიყო. ვფიქრობ, ყირგიზეთის მომავალი პრეზიდენტიც არ იქნება დიქტატორი. ყირგიზები ძალიან თავისუფლებისმოყვარე ხალხია. ისინი არ დაუშვებენ იმას, რომ მათი პრეზიდენტი თურქმენბაშის ჰგავდეს. თუმცა, ამ თავისუფლებისმოყვარე ხალხს წარმოდგენაც კი არა აქვს, რას ნიშნავს დემოკრატია დასავლური გაგებით. იქ ხშირად ახსენებენ სიტყვის თავისუფლებას და ადამიანის უფლებებს, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია. დამიჯერეთ, რეალურად მათ არ იციან, რას ნიშნავს ეს.

**- დსთ ძალიან იშვიათად რეაგირებს იმ მოვლენებზე, რაც მის წევრ ქვეყნებში მიმდინარეობს. თქვენი აზრით, აქვს თუ არა პერსპექტივა ამ ორგანიზაციას, როგორია მისი მომავალი?**

- დარწმუნებული ვარ, რომ დსთ-ს მომავალი არა აქვს. ეს სრულიად ფიქტიური ორგანიზაციაა. დსთ-ს შექმნა, შესაძლოა, რამდენიმე მიზეზით სჭირდებოდათ: პირველი, ეს გაერთიანება იქნებოდა გარდამავალი ეტაპი საბჭოთა კავშირის საბოლოოდ და უმტკივნეულოდ გარდაცვალებისთვის. ან კიდევ ზოგიერთი რუსი გენერლის სურვილის გათვალისწინებით, ეს იყო საბჭოთა კავშირის ხელახლა აღორძინების მცდელობა.

ცხადია, აქედან არაფერი გამოვიდა. დღეს დსთ-ს წევრი სახელმწიფოები ეუთო-ს, გაერო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები არიან. საგარეო, საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით ამ სახელმწიფოებს უკვე საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები აქვთ. ამ ქვეყნების ლიდერები მიხვდნენ, რომ კრემლმა მხოლოდ სიტყვიერად გამოაცხადა საკუთარი ტრანსფორმაცია, რეალურად კი კვლავინდებურად იმპერიულ ცენტრად რჩება.

ცხადია, დსთ დაიშლება. ეს მოხდება ერთი მარტივი და მთავარი მიზეზის გამო - თანამედროვე მსოფლიოში ასეთი გაერთიანება, უბრალოდ, არ შეიძლება არსებობდეს. ეს არის გაერთიანება, რომელიც დაფუძნებულია არა ადამიანის უფლებების დაცვაზე, არამედ რაღაც კრიმინალურ სამხედრო-პოლიტიკურ პრინციპებზე. და თუ კრემლს უნდა კვლავ ცენტრი იყოს, მან ადამიანის უფლებებზე მეტი უნდა ისაუბროს. მაგრამ კრემლი თავად ზღუდავს საკუთარი მოქალაქეების უფლებებს და, ამდენად, ის ვერ მოსთხოვოს პასუხს ვერც თურქმენბაშის, ვერც ლუკაშენკოს, ვერც ალიევს, რომელთაც პოლიტპატიმრები ჰყავთ ციხეში.

ვინაიდან კრემლი დუმს, დსთ აუცილებლად დაიშლება. ამ ორგანიზაციის წევრები სხვადასხვა პოზიციებზე იმყოფებიან, სხვადასხვაგვარად ვითარდებიან - ვიღაც სწრაფად, ვიღაც უფრო ნელა. საქართველო და უკრაინა წინ გაიქცნენ, თურქმენეთი პირიქით, უკან მირბის. ეს არ არის ორგანიზაცია. მას შეიძლება ძველი საბჭოთა ჯენტლმენების კლუბი ვუწოდოთ.

**- ექსპერტები ამბობენ, რომ ახლა ბელორუსის და ყაზახეთის ჯერია და რომ რევოლუციური ტალღა ნელა, მაგრამ მაინც უახლოვდება დიდ რუსეთს... თქვენც ასე ფიქრობთ?**

- ბევრი რამ არის დამოკიდებული ოპოზიციის აქტიურობაზე, მის ქმედითუნარიანობაზე. ბელორუსში ოპოზიცია არის, მაგრამ ძალიან სუსტი. იგი ცდილობს, გაერთიანდეს, თუმცა ეს არ გამოსდის. თუ რევოლუციების ტალღა გაგრძელდა, მაშინ შემდეგი ალბათ სწორედ ბელორუსი იქნება. თუმცა, იქ არ იქნება რევოლუცია. ყირგიზეთის მოვლენებს მე ბუნტს დავარქმევდი, ბელორუსში ალბათ ამბოხი იქნება. რაც შეეხება ყაზახეთს...



ლევან ხერხეულიძის ფოტო

საეჭვოა, რომ მსგავსი მოვლენები უახლოეს პერიოდში ყაზახეთში განვითარდეს. ყაზახეთი ძალიან მდიდარი ქვეყანაა, რომლის ხელისუფლება ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს სპეცსამსახურების და მილიციის შესანახად. და, რაც მთავარია, ყაზახეთში ძალიან სუსტი ოპოზიციაა, ძალიან სუსტი.

**- რუსეთს რაც შეეხება?**

- ძნელი სათქმელია. ერთი რამ ცხადია, თუ რუსეთში მართლაც დაიწყო რაღაც, მოსკოვიდან ნამდვილად არ დაიწყება. ტალღა პროვინციიდან წამოვა. მიზეზი კი რაღაც უმნიშვნელო შემთხვევა იქნება, რაღაც საპროტესტო აქცია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთშიც არ არის ოპოზიცია.

ის რაც მოსკოვში 1991 წელს მოხდა, ესეც არ იყო რევოლუცია. მაშინ მოსკოველების მცირე ნაწილი ქუჩაში გამოვიდა, დიდი ნაწილი კი სახლში დარჩა. მოსკოვის მაშინდელი და ყირგიზეთის ამჟამინდელი მოვლენები ძალიან ჰგავს ერთმანეთს... ძველი ნომენკლატურა ელცინის მეთაურობით ებრძოდა მოქმედ ნომენკლატურას.

**- თქვენ ტაჯიკეთის მოქალაქე ხართ და ამ ქვეყანას სამშობლოდ თვლით. ამ კითხვას ყველაზე ხშირად ალბათ მოსკოვის აეროპორტებში, საპასპორტო კონტროლის გავლის დროს გისვამენ - რატომ არა აქვს ეთნიკურ რუსს, რომელიც დიდი ხანია მოსკოვში ცხოვრობს, რუსეთის მოქალაქეობა?**

- რატომ უნდა ვიყო რუსეთის მოქალაქე, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსი ვარ? ეს ძალიან რთული კითხვაა. არის რამდენიმე მიზეზი. მოსკოვში მე 1992 წლის ბოლოს აღმოვჩნდი, მას შემდეგ, რაც ტაჯიკეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად ხალხის მტრად გამომაცხადა. 1994 წელს ტაჯიკური მოლაპარაკებების ექსპერტი გავხდი, რომლებიც ირანში, ავღანეთში მიმდინარეობდა. ვინაიდან მოლაპარაკებებზე მე ოპოზიციური დელეგაციის ექსპერტი ვიყავი, არ მქონდა მორალური უფლება, სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ვყოფილიყავი, გარდა ტაჯიკეთისა. დაბოლოს, ტაჯიკეთი ჩემი სამშობლოა, ტაჯიკური ენა ჩემი მეორე მშობლიური ენაა, იქ დაკრძალულია დედაჩემი, იქ ცხოვრობენ ჩემი ნათესავები.

არის კიდევ სხვა მორალური მიზეზები. მე უპრობლემოდ შემიძლია, რუსეთის მოქალაქე გავხდე. მე მართლაც დიდი ხანია, მოსკოვში ვცხოვრობ და მყავს მეუღლე, რომელიც რუსეთის მოქალაქეა. მაგრამ, დღეს მე არ მინდა ვიყო პუტინის სახელობის ქვეყნის მოქალაქე. აეროპორტებთან დაკავშირებით კი თქვენ მართალი ხართ. საპასპორტო კონტროლისას მუდმივად ინტერესდებიან, რა გამიჭირდა მე, რუსს, რომ აი, ასეთი პასპორტი მაქვს.

**- "ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრი", რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, დსთ-ს ქვეყნებში მასმედიის მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებს. პოსტსაბჭოთა სივრცის რომელ ქვეყანაშია ჟურნალისტის პროფესია ყველაზე სახიფათო? როგორია სტატისტიკა?**

- ყველგან სხვადასხვაგვარი სიტუაციაა. ვფიქრობ, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში პრესის მდგომარეობა ბევრად არის დამოკიდებული ამ ქვეყნის პრეზიდენტზე, იმაზე, თუ როგორ ესმის სიტყვის თავისუფლება ამ ქვეყნის პრეზიდენტს.

თურქმენბაშის არ ესმის, რა არის სიტყვის თავისუფლება, მას ეს, უბრალოდ, არ სჭირდება. თურქმენეთში ყველა გაზეთი ერთი და იგივე ლოგოტიპით გამოდის - "დამფუძნებელი თურქმენბაში".

მეეჭვება, რომ უახლოეს პერიოდში პრესის თავისუფლების კუთხით სერიოზული გაუმჯობესება მოხდეს უკრაინაში. ეს ნიშნავს იმას, რომ პრესის თავისუფლება მხოლოდ პრეზიდენტზე არ არის დამოკიდებული, არამედ თავად ჟურნალისტებზეც.

კომპლიმენტად ნუ ჩამითვლით, მაგრამ ყოველთვის ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ საქართველოში ამ მხრივ სხვაზე უკეთაა საქმე. დსთ-ს სივრცეში ყველაზე კარგი მდგომარეობა პრესის თავისუფლების კუთხით საქართველოში და მოლდოვაშია.

**- მოლდოვაში რატომ?**

- იმიტომ არა, რომ იქ ხელისუფლებაში კომუნისტები არიან. უბრალოდ, მოლდოვა ასეა თუ ისე, ცდილობს, ევროპულ ქვეყნად ჩამოყალიბდეს.

**- და საქართველოში რა არის ამის მიზეზი?**

- რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, შევარდნაძე ჟურნალისტებს არ დევნიდა და ეს რომ ახლა სააკაშვილმა გააკეთოს, სხვა თუ არაფერი, მას ალბათ შერცხვება.

დსთ-ს სხვა ქვეყნებში სიტუაცია სხვადასხვაგვარი სირთულისაა. აზერბაიჯანში, მაგალითად, ხშირია ჟურნალისტების ცემის ფაქტები. რუსეთში ბევრია ჟურნალისტების მკვლელობის ფაქტი. ტაჯიკეთში სამოქალაქო ომის დროს 70-ზე მეტი ჟურნალისტი დაიღუპა. ყაზახეთში და ყირგიზეთში ჟურნალისტებს არ სცემენ, მაგრამ პრესას სასამართლო პროცესების საშუალებით ებრძვიან. ბელორუსში პრესას პრეზიდენტის ბრძანებულებებით ანადგურებენ.

**- როგორი ვითარებაა დღეს რუსეთის მასმედიაში?**

- რუსეთში ორი სახის პრესაა: მსუყე მოსკოვური ჟურნალისტიკა, სადაც ჟურნალისტებს კარგი ხელფასები აქვთ და ისინი დაცულები არიან. და არის პროვინციული ჟურნალისტიკა. ეს არის ღარიბი, დაუცველი ჟურნალისტიკა. პროვინციული პრესაც განსხვავებულია.

მაგალითად, პერმის ოლქში არც ერთი სახელმწიფო გაზეთი არ არის, მაგრამ ყალმუხეთის სიტუაცია ძალიან ჰგავს თურქმენეთს, სადაც ყველა გაზეთი სახელმწიფოა. ანუ, სიტუაცია დიდი რუსეთის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაგვარია. აქაც ბევრი რამ გუბერნატორზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორ ესმის მას სიტყვის თავისუფლების არსი. დღეს რუსეთის ტელესივრცეში დარჩა მხოლოდ ერთი ტელეკომპანია, რომელიც გარკვეული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობს.

**- რენ-ტვ?**

- დიახ, რენ-ტვ, რომელსაც რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ უყურებს, რადგან ის დეციმეტრულია. ამ არხის აუდიტორიასაც გუბერნატორები განსაზღვრავენ. თუ უნდა კურსკის ოლქის გუბერნატორს, მაშინ ჩართავს ამ არხს, თუ არ უნდა, მაშინ კურსკში რენ-ტვ-ის ვერ უყურებენ. ამ არხს რუსეთის მოსახლეობის დაახლოებით 8-10 პროცენტი უყურებს.

**- გაზეთ "მოსკოვსკიე ნოვოსტი"-ში მთავარ რედაქტორ ევგენი კისელიოვსა და გაზეთის წამყვან ჟურნალისტებს შორის მომხდარი დაპირისპირებაც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთანაა კავშირში?**

- ეს ამბავი სიტყვის თავისუფლებასთან არავითარ კავშირში არ არის. ეს სკანდალი მთლიანად ერთი ადამიანის, ევგენი კისელიოვის პიროვნებას უკავშირდება.

**- ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ სადაც კისელიოვი მიდის, ყველაფერი იშლება...**

- ასეა. ის დიქტატორული ხასიათის ადამიანია. მასთან ძალიან ძნელია მუშაობა. თუ "მოსკოვსკიე ნოვოსტიში" მომხდარ ფაქტს სხვა კუთხით შევხედავთ, ის ძალიან ცუდად აისახება რუსეთში დარჩენილი თავისუფალი პრესის მომავალზე.

**- რატომ?**

- იმიტომ რომ, ახლა ხელისუფლება იტყვის - თქვენ დამოუკიდებელ პრესას ითხოვთ? აი, ხედავთ, რა ხდება დამოუკიდებელ პრესაში? ხედავთ, დამოუკიდებლობამ როგორ დაშალა გაზეთი? ამას იტყვის ხელისუფლება. გაზეთი მართლაც დაიშალა. "მოსკოვსკი ნოვოსტიდან" წავიდა ყველა მოწინავე ჟურნალისტი - მიშა შეველიოვი, ლიუსია ტემენი და სხვები.

**- საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების შემდეგ, რომელიც საქართველოში განლაგებული რუსული ბაზების კანონგარეშედ გამოცხადებას გულისხმობს, საქართველო-რუსეთის ისედაც დაძაბული ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდა. პოლიტიკური დაძაბულობის პარალელურად იწყება ახალი საინფორმაციო ომი. ამ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს ქართული მხარე, ქართველი ჟურნალისტები? რუსეთს ლეონტიევისა და ჟირინოვსკის ენაზე ესაუბროს, თუ ბრძოლის უფრო რბილი მეთოდები იპოვოს? არსებობს კი საერთოდ რაიმე მეთოდი კრემლის საინფორმაციო ომის წინააღმდეგ თავდასაცავად?**

- ადრე მყავდა ერთი ლოთი მეზობელი, რომელიც დათვრებოდა თუ არა, ჭკუა არ ეკითხებოდა, იწყებდა ყვირილს, ირგვლივ ყველაფერს ამტვრევდა, მეზობლებს გვემუქრებოდა, ყველას დაგხოცავთ, ყელს გამოგჭრითო. ასეთ დროს დედაჩემი მშვიდად ამბობდა ხოლმე - "ცოფებს ყრის და დაწყნარდებაო".

მე პოლიტიკოსი არა ვარ. ვერც იმაზე ვიმსჯელებ, რა ტვინის პატრონები სხედან კრემლში, ამ თემაზე საერთოდ ძნელია ისაუბრო და რამეს მიხვდე. კრემლში არიან სუკ-ის აღსაზრდელები, იქ არიან ახალგაზრდა ადამიანებიც, ვლადისლავ სურკოვის მსგავსი. ძნელი მისახვედრია, რა უნდათ მათ. ისინი ახალგაზრდები არიან და თითქოს სხვაგვარად უნდა აზროვნებდნენ, მაგრამ... რაც შეეხება საინფორმაციო ომს... სიმართლე ვთქვათ, საქართველო ხომ უკვე აღარ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას იტყვიან რუსულ პრესაში. რა თქმა უნდა, ძნელია გულგრილი იყო, როდესაც ტელევიზიით ცოფიანი ჟირინოვსკი გამოდის, არასასიამოვნო გრძნობაა, როდესაც საუბრობს როგოზინი...

**- და როდესაც რუსულ პრესაში ბეჭდავენ საქართველოს პრეზიდენტისა და ჰიტლერის ფოტოებს გვერდიგვერდ...**

- დიახ, დიახ. ეს ყველაფერი ძალიან არასასიამოვნოა. მაგრამ საჭიროა კი, ამ ყველაფერს პასუხი გაეცეს? რუსეთის პროპაგანდა საბჭოთა პროპაგანდის ტრადიციებიდან აღმოცენდა. პუტინმა მოსვლის პირველივე დღიდან ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა პროპაგანდის ასაღორძინებლად. ამ პროპაგანდასთან ბრძოლა შეიძლება, მაგრამ ალბათ მხოლოდ რკინის ფარდით. დამიჯერეთ, ჭკვიანი ხალხი ამგვარ გაზეთებს არ კითხულობს და ასეთ ტელევიზიებს არ უყურებს. მე პირადად, რუსეთის პირველ და მეორე არხებს საერთოდ არ ვუყურებ. კიდევ ერთხელ გავიხსენებ დედაჩემის პოზიციას ჩემს ლოთ მეზობელთან მიმართებაში: "ცოფებს ყრის და დაწყნარდება", - ეს არის ჩემი პასუხი.

**- ასეა თუ ისე, იმპერიული აზროვნებით დაავადებულმა პოლიტიკოსებმა და გენერლებმა, რომლებიც ცდილობენ, ერთმანეთს გადაჰკიდონ ხალხები, ამ საქმეში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს...**

- უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს მიზეზი, რამაც ქართველები და რუსები შეიძლება ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყოს. ბუნებაში ასეთი რამ არ არსებობს. ამგვარ მიზეზს განზრახ იგონებენ. სად წავა რუსი ბაგრატიონის, ჭავჭავაძის გარეშე? სად გაექცევა რუსი ქართულ კინოს, რომელიც ასე უყვარს ყველას? იგივეა საქართველოშიც. თბილისში პუშკინის ძეგლი დიდი მადლიერების ნიშანია იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ძალიან ბევრი სტრიქონი მიუძღვნა საქართველოს. უკრაინის შემდეგ საქართველო ყველაზე ახლობელია რუსეთისთვის. რუსეთს და საქართველოს ბევრი რამ აკავშირებს - ისტორია, კულტურა, ლიტერატურა და მხოლოდ სუკ-ში გამოზრდილ იდიოტებს მოუვიდოდათ აზრად ამ ორი ხალხის დაპირისპირება.

**- იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაბზდოროვის ყაიდის გენერლებს სპეციალურად აგზავნიან საქართველოში?**

- რა თქმა უნდა, ცხადია! განა გენერალი შაბალკინი სპეციალურად არ ლაპარაკობს ჩეჩნეთზე? კრემლში უნდათ, რომ ჩეჩნეთზე ილაპარაკოს სწორედ ასეთმა შეზღუდულმა ადამიანმა, რომელიც ჩეჩნეთში ხუთწლიანი მოღვაწეობის მანძილზე საშინლად გასუქდა და რომელსაც დეზინფორმაციის გავრცელებისთვის გენერლის წოდება მიენიჭა. ეს ყველაფერი სპეციალურად ხდება. ასეთი ხელისუფლებაა, ასეთია კრემლი.

სწორედ ამიტომაც, ჩემი აზრით, პრეზიდენტი სააკაშვილი სწორად იქცევა - როცა საჭიროა, პუტინს კომპლიმენტებს უძღვნის, ხშირად კი საკმაოდ მკვეთრ განცხადებებს აკეთებს. კრემლი უნდა დაცხრეს. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პატივისცემის ღირსი არ არის.

**- ომის შემდეგ აფხაზეთში ყოფილხართ?**

- არა, აფხაზეთში საერთოდ არ ვყოფილვარ. მართალია, სურვილი დიდი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ განვახორციელე.

**- რა გიშლით ხელს?**

- ჩემი პრინციპები. ასეთი პრინციპი მაქვს: ვოცნებობ აფხაზეთში წასვლაზე, მაგრამ სოხუმში მხოლოდ თბილისის გავლით ჩავალ. ალბათ ჩემთვის დიდი პრობლემა არ იქნება ფსოუს გადაკვეთა, მაგრამ ამ გზით მე ვერ ვისარგებლებ.

საღად მოაზროვნე ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც ისინი საკუთარ თავს უწოდებენ, აფხაზი და ქართველი ხალხის მტრობის მიზეზით კი არა, პოლიტიკოსთა ამბიციების მიზეზით აღმოცენდა. ამდენად, ჩემი პრინციპი აფხაზეთში თბილისის გავლით ჩავიდე, აფხაზების წინააღმდეგ კი არა, პოლიტიკოსების წინააღმდეგაა მიმართული. და ვინაიდან აფხაზეთს, როგორც საქართველოს ტერიტორიის ნაწილს, ისე განვიხილავ, სოხუმში მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის გავლით უნდა მოვხვდე.

**- თქვენი საიტი საინფორმაციო ომის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ხერხია?**

- არა, ეს არის ინტერნეტ-საიტი ჭკვიანი ხალხისთვის, რომელთაც სიტუაციაში გარკვევა უნდათ. ვიდრე საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობები იქნება, ეს საიტი, უბრალოდ, აუცილებელია. ჩვენ არავის თავს არ ვახვევთ ჩვენს შეხედულებებს, არ ვატარებთ რაიმე პოლიტიკას. ჩვენი საიტი ძალიან პოპულარულია, მაგრამ, სამწუხაროდ, არა საქართველოში. შესაძლოა, რომ ეს საიტი ერთგვარი წვლილიცაა, რომელიც ჩვენ საინფორმაციო ომის წინააღმდეგ ბრძოლაში შეგვაქვს.

**- თბილისში სხვა რაიმე პროექტების განხორციელებას ხომ არ აპირებთ?**

- არის ძალიან ბევრი იდეა. ეს იდეები ჟურნალისტურ განათლებას უკავშირდება. მე შევხვდი თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ახალ დეკანს დავით პაიჭაძეს და ამ თემაზე მასთანაც ვისაუბრე.

ევროპაში ჟურნალისტიკას მოქმედი ჟურნალისტები ასწავლიან, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ამ საქმით თეორეტიკოსები, პროფესორები არიან დაკავებულები, რომელთაც ცხოვრებაში ერთი სტატიაც კი არ დაუწერიათ. ამ სისტემის სრულად შეცვლას დიდი დრო სჭირდება. ჩვენ ვაპირებთ თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტთან ვითანამშრომლოთ, მოვიწვიოთ ცნობილი ჟურნალისტები, რომლებიც სტუდენტებისთვის მასტერკლასებს ჩაატარებენ. ასევე, საუბარია დამატებით საგანმანათლებლო კურსზეც, რომელსაც სტუდენტები გაივლიან. უფრო კონკრეტულად საუბარი ჯერ არ შემიძლია.

**- მასტერკლასები მხოლოდ სტუდენტებისთვის იქნება?**

- ჩვენ ასეთი პრინციპი გვაქვს, ვმუშაობთ 30 წლამდე ჟურნალისტებთან. ცხადია, ეს არ არის რკინის ზღვარი, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ არის საბჭოთა მენტალიტეტის მქონე ჟურნალისტთა თაობა, რომელთა გადამზადებაც ძალიან ძნელია. ამიტომ, როცა ახალ, ხარისხიან ჟურნალისტიკას ვქმნით, ახალგაზრდებთან მუშაობას ვამჯობინებთ.

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 მედიცინა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის განცხადება

2005/2006 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებით აბიტურიენტებისათვის ღია კარის დღე გაიმართება სამშაბათს, 5 აპრილს, 13 საათზე აკადემიის სააქტო დარბაზში.

ღია კარის დღე განმეორდება ყოველ მომდევნო სამშაბათს, მითითებულ საათზე.

რექტორატი



## აფიშა

### კონცერტი

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
იუმორინა-2005
დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
ვაჟა-ფშაველა
"სტუმარ-მასპინძელი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
ფასი: 3-5 ლარი
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 13:00; 17:30; 19:30; 21:30 სთ.

"რობოტები"
დას: 12:00 სთ

**ამირანი**
"გარეკილები"
დას: 20:00; 22:00 სთ.

"რობოტები"
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

### გამოფენები

**კოპალა**
დათო ტყემალაძისა (ფოტო) და ეკა ჭკუასელის (ფერწერა) ნამუშევრების გამოფენის გახსნა 17 საათზე

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
რუსუდან ბოლქვაძის ფოტონამუშევრების გამოფენა
(13 საათიდან - 17 საათამდე)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
გოგა ჩანადირის ფოტონამუშევრები - "შრი-ლანკა - უბედურების ზონა"

**ეროვნული გალერეა**
ნუკრი შავგულიძის ნამუშევართა გამოფენა

**ჰობი**
ზაალ სულაკაურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**კოპალა**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# სამმაგი ალბომი



ნიკ ქეივი განსაკუთრებული შრომისუნარიანობით ანცვიფრებს თაყვანისმცემლებს. 28 მარტს გაყიდვაში გამოვიდა ნიკ ქეივისა და The Bad Seeds-ის სამმაგი ალბომი B-Sides & Rarities.

ჩანაწერი სრულად მოიცავს სახელოვანი ჯგუფის კარიერას და 56 კომპოზიციას აერთიანებს; ეს ის სიმღერებია, რომლებიც თავის დროზე საუნდთრეკებში შევიდა, ან სინგლების სახით გამოვიდა; ან, სულაც - არაოფიციალურად.

ნიკ ქეივი ირწმუნება, რომ დისკმა უკვე მოიპოვა მისი სიყვარული, თუმცა დაასახელეთ ალბომი, რომლის შესახებაც იგივე არ ეთქვას მუსიკოსს.

# მარად ახალგაზრდა და მოძრავი

## ბლუზი საქართველოდან

ვერა ნეფარიძე

*როდესაც პირველად გასცდნენ საქართველოს ფარგლებს, მათდამი ევროპული აუდიტორიის ინტერესს "საბჭოურ" წარმომავლობას მიაწერდნენ; შემდეგ - რეგიონში ჩაუმქრალ კონფლიქტებს. ფიქრობდნენ, ეტყობა ევროპელებს ის უფრო აინტერესებდათ, როგორ ასრულებდნენ ბლუზს იქ, სადაც ომი იყო გაჩაღებული. თუმცა, დრომ აჩვენა, რომ ევროპაში (სკანდინავიის ქვეყნები, დანია, გერმანია...) T. Blues Mob.-ის მუსიკას "ეგზოტიკად" არც მაშინ აღიქვამდნენ და, მით უმეტეს, არც ახლა. საბჭოთა კავშირი, ჩეჩნეთის ომი, - ეს უბრალოდ დამხმარე დეტალები იყო უცხოელი მსმენელისთვის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მისანიშნებლად. დღეს ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც როკ-მუსიკისა და ბლუზისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა, თამამად მიდიან მათთვის კარგად ცნობილი ჯგუფის, T. Blues Mob.-ის მოსასმენად.*

ქართველი მუსიკოსები მორიგი ევროპული ტურნედან (რომელსაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ყოველწლიურად აწყობენ) ახლახან დაბრუნდნენ. ორ თვეში T. Blues mob. -მა შვეციასა და დანიაში გამართა კონცერტები. გამოსვლებს იმდენად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ადგილობრივ პრესაში, ისე მსმენელში, რომ ჯგუფი წელსვე მიწვეულია რამდენიმე ქვეყანაში სოლოკონცერტების გასამართავად, საინტერესო და ცნობილ ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად.

"რომ მეგონა, პენსიაზე გასვლის დრო მოგვივიდა, პირიქით აღმოჩნდა", - ამბობს ჯგუფის ლიდერი და ბას-გიტარისტი კოკა ცქიტიშვილი. კოკაც და მისი მეგობრებიც "შეცდნენ" - მუსიკა, რომელსაც ისინი წლების განმავლობაში არ ღალატობენ, ჯერაც პოპულარულია (რასაკვირველია, იქ, სადაც ბლუზსა და როკს ოდესმე აფასებდნენ და აქ საქართველოს არ ვგულისხმობთ). სხვაგვარად ალბათ შეუძლებელია. ამ ქვეყნებში მთელი ინდუსტრია მუშაობს - ხმისჩამწერი სტუდიები, მასმედია, საპროდიუსერო ფირმები, მოდის ბიზნესიც კი, - და მარად ახალგაზრდულ მუსიკასაც ხელს არაფერი უშლის, მსმენელში თაობები გაზარდოს. "სკანდინავიაში ბლუზისა და როკის ბუმია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ისე მომრავლდა კონცერტებზე 16-17 წლის მსმენელი... საკუთარი ჯგუფები ჰყავთ და ამ მუსიკას ასრულებენ. ახალგაზრდებში მეტად მოდურია", - ამბობს სკანდინავიიდან დაბრუნებული კოკა ცქიტიშვილი.

T. Blues mob. ტურნეში ტრადიციული შემადგენლობით (კოკა ცქიტიშვილი - ბასგიტარა, ზაურ შავგულიძე - ვოკალი, ქიბორდი, თამაზ თხინვალელი - ლიდ-გიტარა, გია სალაღიშვილი - დასარტყამი ინსტრუმენტები) გაემგზავრა. ვინც არ იცის სკანდინავიასთან ჯგუფის ძველი კონტაქტების შესახებ, ვეტყვი, რომ T. Blues mob. ერთადერთი ჯგუფია აღმოსავლეთ ევროპიდან, ვისთანაც სკანდინავიასა და გერმანიაში აღიარებული კომპანია Marsk music და მისი ხელმძღვანელი ფლემინგ კრისტენსენი თანამშრომლობს. ქართველი მუსიკოსები კომპანიის იმ ორმოცამდე პარტნიორს შორის არიან, ვისაც სერიოზული მუსიკის (ჯაზი, ბლუზი, როკი) მსმენელი მთელი



*T. Blues mob.*

მსოფლიოს მასშტაბით იცნობს. კომპანიის ვებგვერდზე თუ შეიხედავთ, ჩამონათვალიდან ამოიცნობთ ბრიტანელ ელვინ ლის, ამერიკელ მაგიც სლიმს (ჩიკაგოური ბლუზის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი, რომელთან ერთადაც ქართველი მუსიკოსები დანიაში გამართულ კონცერტზე გამოვიდნენ სცენაზე), ტეხასური ბენდი Omar & The Howlers (T. Blues mob. -მა მათთან ერთად სამი კონცერტი გამართა), ირლანდიელი გიტარისტი ტომი დონოვანი და ა.შ. სხვათა შორის, ამ ნუსხიდან თბილისში ბევრი ძალზე საინტერესო მუსიკოსისა და ბენდის ჩამოყვანაა შესაძლებელი; ყოველ შემთხვევაში, ქართველ მუსიკოსებთან მეგობრობის წყალობით საქართველოთი დაინტერესებული ფლემინგ კრისტენსენი მზად არის, ბევრად იაფად შემოგვთავაზოს ბლუზმენების იმპორტი, რითაც შესაძლებლობა მოგვეცემა გავეცნოთ (როგორც კოკა ცქიტიშვილი აღნიშნავს) "ძალიან მაგარ" ირლანდიელ გიტარისტს ტომი დონოვანის თუ ძალზე საინტერესო ავსტრალიელ შემსრულებელს (ასევე გიტარისტს) თეს სნიკს. თუმცა, ეს ისეთი გეგმებია, რომელზეც უფრო გემოვნებიანმა და ფულიანმა კომპანიამ თუ კერძო პირმა უნდა იზრუნოს, ვიდრე მხოლოდ კომერციული მიზნებით დაინტერესებულმა.

რაც შეეხება T. Blues mob-ის შემოქმედებით გეგმებს, რომელიც ამ ტურნეს წყალობით კიდევ უფრო დატვირთული იქნება, მათი განხორციელება მაისიდან დაიწყება მოსკოვის კლუბებში; გაგრძელდება დანიაში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ როკის ცნობილ "სკანდებორგის" ფესტივალზე; დაიგეგმება საკონცერტო გამოსვლები შვეიცარიაში. პარალელურად, მუსიკოსები დაიწყებენ მუშაობას რიგით მეორე სტუდიურ ალბომზე, სადაც რამდენიმე კლასიკურ ნაწარმოებთან ერთად, ძირითადად, ჯგუფის საკუთარი ახალი კომპოზიციები შევა. დაწყებულია მოლაპარაკებები ჰოლანდიურ მუსიკალურ ფირმასთან თანამშრომლობაზე, რაც T. Blues mob-ისთვის ხუთწლიან გარანტირებულ კონტრაქტს, ჩანაწერების გამოცემასა და ევროპაში კარგ პრომოუშენს ნიშნავს. თუმცა, ეს მაინც სამომავლო საქმეა და ბოლომდეც არაა გადაწყვეტილი. უფრო რეალურია, დაველოდოთ T. Blues mob.-ის კონცერტს თბილისში, რომელსაც მუსიკოსები ვიწრო წრეში, ხარისხიანი მუსიკის მოყვარულებისთვის მოაწყობენ.

# თორნიკეს სახარება ანუ ვისია გალერეა?

გიორგი ქევლიშვილი

მიშა ერინიანს აკადემიაში ყველა იცნობს, ყოველ შემთხვევაში - გარეგნულად. ქარვასლაში 31 მარტს გახსნილი და სკანდალურად დახურული გამოფენის შემდეგ მან წარმოსახვაში გათამაშებული სცენის შესახებ გვიამბო: "ციხე ქურდებისაა" - ამბობს საიდანღაც აღმოცენებული (ფროიდმა უწყის, საიდან) ზოგადად "ძველი ბიჭის" ნაციონალური "ობრაზი." რა შუაშია? - უკვირს მიშას. და უცებ საიდანღაც მხატვრის ასევე ზოგადი ტიპი აგრძელებს საუბარს: "გალერეა - მხატვრების" "ლოგიკურია" - რაღაცას უკვე ხვდება მიშა. თუმცა, ისევ იმ საიდანღაც ტრიადის მესამე წევრი - ნაციონალური "მორწმუნის" ზოგადი ტიპი იჩითება და თავდაჯერებული კაცის ირონიით ამბობს - გეგონოთ!

ნამდვილმა მორწმუნეებმა საკუთარი თავი ფრჩხილებს გარეთ იგულისხმონ, ამათ კი, ზოგადი ტიპის რეალურ განსახიერებებს, რომლებიც მრავლად ირეოდნენ ქარვასლისა და მიმდებარე ტერიტორიაზე, დიდი ბრჭყალები აქვთ და კიდევ - დანები, "დუბინკები", სკამის ფეხები, "შტირები"... ეს ის ეკიპირებაა, რითაც ისინი ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის დაცვას აპირებენ მხატვართა თავდასხმებისგან. "ბოზის შვილი ვიყო, ვინც ჩვენს რწმენას შეურაცხყოფას მიაყენებს, იმის დედას..." აშკარაა, ღმერთი ამათ დიდი განაბი ჰგონიათ. რწმენის სისტემა კი ქურდული გაგების მიხედვითაა აგებული.

მოკლედ, რა მოხდა ქარვასლაში.

სამმა ახალგაზრდა მხატვარმა (ზურა აფხაზაშვილმა, გიორგი ტაბატაძემ და თორნიკე ჭაფოძემ) ქარვასლის ხელმძღვანელობას პროექტი წარუდგინა და გამოფენის ნებართვა მიიღო. ეს მხატვრები იმით არიან დაკავებულნი, რითაც საერთოდ მხატვარი უნდა იყოს დაკავებული - ცდილობენ, თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს ადეკვატური შემოქმედებითი ფორმით გამოეხმაურონ. ამ დროს მხატვრები ზოგჯერ უტრირებას მიმართავენ - მათი საქმე ხომ არა საბოლოო დასკვნების გამოტანაა, არამედ პრობლემის აქცენტირება, იმ პრობლემის, რომლის დანახვაც საზოგადოების ნაწილს, შესაძლოა, ჯიუტად არ სურს, მხატვარს კი რაღაც ახირებით - უმთავრესად მიაჩნია. სწორედ ახალი პრობლემატიკის დამკვიდრება, იმგვარის, რომლის გადაჭრამაც საზოგადოების პროგრესი უნდა განაპირობოს, არის თანამედროვე მხატვრის უმთავრესი ფუნქცია. თუმცა, შესაძლოა, ამგვარი პოზიცია უცნაურად ჩანდეს იმ სივრცეში, სადაც მხატვრის ზოგადი სტერეოტიპი ჯერაც პოსტსაბჭოთა რომანტიკულ-მეტაფიზიკური - სოცრეალისტური მითებით იკვებება. ესმის რა, რომ მისმა პოზიციამ შეიძლება აზრთა დაპირისპირება გამოიწვიოს, მხატვარი საკუთარ თავზე იღებს კრიტიკული დარტყმის მთელ სიმძიმეს. "მხატვარი საზოგადოების კლინიცისტია, რომელიც ექსპერიმენტებს საკუთარ თავზე ატარებს და



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სწორედ ამგვარად მოიპოვებს დიაგნოზის დასმის მორალურ უფლებას", - ამბობს ლიოთარი.

ამ პროცესში მხატვრები გამოსახვის, სათქმელის გადმოცემის ახალ საშუალებებს ეძებენ, რადგან ძველი, ანუ სხვათა მიერ მიგნებული საშუალებებით საკუთარი თავის დამკვიდრების მცდელობას მხატვრულ ჟარგონზე "კიჩი" ეწოდება. ჰერმან ბროხის თანახმად კი, კიჩის მიმართება ხელოვნებასთან თითქმის იგივეა, რაც ანტიქრისტესი - ქრისტესთან. ბუნებრივია, რომ ყველაფერი, რაც ამ პროცესში იქმნება, ფასეული არაა, მხოლოდ ნაწილი შემორჩება ადამიანთა ერთი თაობის, უკეთეს შემთხვევაში - ხელოვნების ისტორიის მეხსიერებას, ამგვარი გარჯის პროდუქტთა უმეტესობა კი სამუდამო დავიწყებისთვისაა განწირული. მაგრამ მხატვარს, რომელიც შეცდომის, წარუმატებლობის შიშისგან გათავისუფლდა, არჩევანი არა აქვს - იგი მზად უნდა იყოს ამ რისკისთვის, იმისთვის, რომ საკუთარი პოზიციის დასამკვიდრებლად ბევრი შრომა მოუწევს. ამიტომაც იგი გახსნილია დისკუსიისთვის - ხშირად ხომ თავადაც არ ესმის ბოლომდე საკუთარი ქმედების სრული შინაარსი. მხატვარი ხომ, როგორც დიდი ხანია დამტკიცებულია, სულაც არაა საკუთარი შემოქმედების ყველაზე ობიექტური შემფასებელი. დისკუსიიდან ყველაზე მეტი სარგებელი შეიძლება სწორად მან ნახოს, შეძლოს მის მიერ ინტუიციურად მოხელთებულის რაციონალიზაცია. ამიტომ ამგვარი დისკუსია, ინტერაქტიულობა ხშირად მხატვრის სპეციალური მიზანია. თუმცა, მოვლენები ქარვასლაში სულ სხვა, აღწერილისგან დიამეტრალურად საპირისპირო ლოგიკით განვითარდა.

თორნიკე ჭაფოძეს პრეტენზია აქვს, რომ ჩვენი დღევანდელი ყოფის უმნიშვნელოვანეს პრობლემას ეხმაურება. მისი ნამუშევარი, რომელიც სხვადასხვაგვარად იქნა ინტერპრეტირებული, უდავოა, რომ თანამედროვე საქართველოში ერთი შეხედვით უწყინარი ფორმით არსებული რელიგიური ფუნდამენტალიზმითაა განპირობებული. ესაა სპონტანური რეაქცია იმაზე, რომ სხვაგვარად მოაზროვნეებს ქუჩაში ჯვრებს ურტყამენ თავში, ხევენ და წვავენ მათთვის წმინდა წიგნებს, ზედმეტი შეკითხვებისა და სიმართლის გარკვევის მცდელობისთვის სასწავლებლებიდან რიცხავენ და ა.შ.

ინსტალაცია საპირფარეშოს ასოციაციით იყო მოდელირებული. დარბაზის იატაკის ნაწილი ტიპური სააბაზანო კაფელით იყო დაფარული. ერთადერთ, პირობით კედელს ეკრანი წარმოადგენდა, რომელზეც აკვარიუმში გადაღებული თევზის მოძრაობა პროეცირდებოდა. თევზის (როგორც უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სიმბოლოს) ამ კონტექსტში ჩასმის შესახებ დისკუსიას არ ვაპირებთ - ეს, შესაძლოა, დრამაა, ან ირონია - ამგვარი ნატიფი სპეკულაციებისთვის იქ არავის ეცალა. მორწმუნეთა აღშფოთება უნიტაზმა და მის გვერდით დადებულმა სახარებამ გამოიწვია, რისხვამ კი აპოთეოზს მაშინ მიაღწია, როდესაც ავტორი უნიტაზზე ჩამოჯდა, სახარებიდან ფურცელი ამოხია და... შეჭამა.

"ეს ოთახი - ცხოვრებაა, სადაც სიწმინდე და სიბინძურე, საკრალური და პროფანული გვერდიგვერდ თანაარსებობს." - გამოითქვა ასეთი აზრი. "მხატვარს სურს, ერთხელ და სამუდამოდ დავლეჭოთ, გადავყლაპოთ და მოვინელოთ ის ფაქტი, რომ ჩვენ გვერდით, შესაძლოა, იყვნენ ადამიანები ღირებულებათა სხვა სისტემით." - ასე წაიკითხა სხვამ ნამუშევარი. "სურს, რომ ცეცხლითა და მახვილით რწმენის დამცველები იმავე მდგომარეობაში ჩააყენოს, რომელშიც თავად აგდებენ სხვა რწმენის ადამიანებს." "არტე პოვერაა" - საკუთარი მიხვედრილობით ტკბებოდა ვიღაც. მოკლედ, ყველა პირობა იყო სერიოზული დისკუსიისთვის. აღმოჩნდა, რომ ჩხუბისთვისაც. საიდანღაც გაჩნდა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც თავს სემინარისტებად, საპატრიარქოს, საერთოდაც, ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისა და ეროვნული ტრადიციების დამცველებად აცხადებდნენ. დისკუსიაში მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია, მათ შორის, ცხადია, სემინარისტებსაც. მაგრამ ვიღაცები წიგნის მოცილებას, ნამუშევრის დაშლას, სულაც გამოფენის დახურვას ითხოვენ. არის ერთი გაწევ-გამოწევა. ავტორები, მათი მეგობრები, თანამოაზრეები (რაც ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა), უფროსი კოლეგა - ილიკო ზაუტაშვილი ცდილობენ აუხსნან მათ, რომ ეს ხელოვნებაა, რაც სრულიადაც არ ნიშნავს, რომ კარგია, ყველაფერი გალერეაში ხდება, რომელიც სწორედ ამგვარი სიტუაციებისთვის არსებობს, რომ შეიძლება ყველაფრის ცივილიზებული ფორმით გარკვევა, საუბარი, მხატვრის კრიტიკა, და ა.შ., მაგრამ არავის აქვს უფლება მოითხოვოს ვინმესგან საქმიანობის შეწყვეტა, თუ იგი კანონს არ არღვევს. ეს ყველაფერი ექსცესებისგან ვერ აზღვევს სიტუაციას, ქარვასლაშივე ხდება პირველი დარტყმა აკადემიის ერთ-ერთ სტუდენტზე, ხოლო შემდეგ, ქარვასლის ხელმძღვანელობის ინიციატივითა და დაცვის სამსახურის დიდი მონდომებით დროზე ადრე გამოფენის დახურვის შემდეგ, როდესაც ყველა იძულებით ქუჩაში გადაინაცვლებს, "მორწმუნეთა" ხელში "დუბინკები" და სხვა შეიარაღება ჩნდება.

შედეგად - რამდენიმე თავგატეხილი ახალგაზრდა მხატვარი. დაშავებულები, შესაძლოა, მეორე მხარესაც არიან - მათ კვალს ალბათ ველარავინ მიაგნებს.

კარგი. ინციდენტისგან არავინაა დაზღვეული. ყველაფერი თვითნებურად მოქმედ ხულიგანთა ჯგუფს შეიძლება დავაბრალოთ. მხატვრებსა და მათ თანამოაზრეებს მეტი ტაქტი, დაცვის თანამშრომლებს მეტი ყურადღება და სიფრთხილე ვთხოვოთ. მით უფრო, ძალზე საეჭვოა, ამ ინციდენტის შემდეგ "დუბინკიანებს" კვლავ გამოჩენა გაებედათ. მაგრამ მეორე დღეს ქარვასლაში მისულ მხატვრებს ნამუშევრები ალაგებული ხვდებათ - ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, გამოფენა, რომელიც 5 დღეს უნდა გაგრძელებულიყო, მეორე დილიდან დაიხურა. მუზეუმის ხელმძღვანელობის საუბრიდან შიშის ნოტები გამოსჭვივის: დაგვხურავენ. მოგვხსნიან. თქვენ არ იცით, ვის უპირისპირდებით. ვიღაც ცოტა ხნის წინანდელ ინციდენტს იხსენებს, როდესაც "ძველი გალერეის" ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, მიხაი ზიჩის გამოფენა მოეხსნა. მაშინაც არაოფიციალურ საუბრებში ვიღაც უზომო ავტორიტეტის მქონე წყარო სახელდებოდა მიზეზად, რომელთან დაპირისპირებას არანაირი აზრი არა აქვს. თუნდაც იმიტომ, რომ არავის თანადგომის იმედი არ შეიძლება გვქონდეს - არც საზოგადოების, რომელსაც იქნებ არ მოსწონს, რასაც მხატვარი აკეთებს, მაგრამ ესმის, რომ სანამ კანონის ფარგლებში მოქმედებს, ეს მისი უფლებაა, არც მასმედიის, რომელმაც, კაცმა რომ თქვას, რატომ აიტკიოს აუტკივარი თავი? არც სახელოვნებო კრიტიკის, რომელიც, უბრალოდ, არ არსებობს, ან უკეთ - სრულიად მოწყვეტილი აქტუალურ ყოფას, ერთგვარ მოდუსში არსებობს, რომლისთვისაც პირობითად "აკადემიურ-მწიგნობრული ექსტაზი" შეიძლება გვეწოდებინა, ექსტაზისა და, საერთოდ, რაიმენაირი სიცოცხლის ნიშანწყალი რომ ეტყობოდეს.

ვინაა ეს ზეავტორიტეტული, ზეყოვლისშემძლე ინსტანცია? ვინ მოგვხსნის? ვინ დაგვხურავს? ვინ გადაწყვეტს, რა ვნახოთ, რას მოვუსმინოთ, როგორ ვიცხოვროთ? "დუბინკიანი" ხულიგნები? სასულიერო აკადემიის სტუდენტები და სემინარისტები? ცხადია, არა - ამდენი ძალაუფლება მათ ნამდვილად არა აქვთ. იქნებ საქმეში მართლაც საპატრიარქოს ანდა ზოგიერთი ღვთისმსახურის ხელი ურევია? ეს რომ დაიჯერო, უნდა დაუშვა, რომ მათი საქმე მათივე სიტყვისგან განსხვავდება. ყველას ახსოვს განცხადებები, სადაც ისინი ყველანაირ ძალადობას გმობენ.

გამოდის, რომ მიზეზები ჩვენსავე უმეცრებაში უნდა ვეძებოთ. როგორც ჩანს, homo postsovietikus-ი საკუთარი სამოქალაქო ცნობიერების სიცარიელის შესავსებად კვლავაც დიდხანს ისარგებლებს ქიმერებითა და მითებით, რომლებიც დაბეჯითებით გვარწმუნებენ ჩვენს პირად პასუხისმგებლობასა და ინიციატივაზე გაცილებით მაღალი, ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ინსტანციის არსებობაში.

# თქვენთვის წერილია

## E-mail - რატომ არ არის ის სანდო

“ჩეთი” კიდევ სხვა რამეა. E-mail მისგან განსხვავებით უფრო ღირსეული და პრესტიჟულია. მას იყენებენ ყველა მოტივით - საქმიანი წინადადებებისთვისაც და სასიყვარულო გრძნობების გასამჟღავნებლადაც. ანუ, E-mail ორივე ფუნქციას ითავსებს - ოფიციალურ ურთიერთობებსაც ამყარებს და ფამილიარულსაც აღრმავებს. ამიტომ E-mail-ით ურთიერთობა სუპერპოპულარულია.

თუმცა, დროდადრო, საკუთარი საფოსტო ყუთის გახსნისას ან წერილის მიღება-გაგზავნისას, გაგვკრავს ხოლმე აზრი - ახლა ამას რომ ვინმე კითხულობდეს... მაგრამ მერე თავს ვიმშვიდებთ - ვის რაში აინტერესებს? და საკუთარ საიდუმლოებებს, აზრებს თუ გრძნობებს მაუსზე ერთი თითის დაჭერით უმალ ვანდობთ ხოლმე უხილავ ინტერნეტოპერაციებს. არადა, ეჭვი ხომ უსაფუძვლოდ არასდროს ჩნდება. როგორც ირკვევა, თურმე, ყოველთვის დიდი შანსი არსებობს იმისა, რომ ჩვენს წერილებს ვიღაც კითხულობდეს.

“ბალტიმორ სანის” მიმომხილველები თავიანთ სტატიას დიდი ინტრიგით იწყებენ: “რომ იცოდნენ, როგორ შეიძლება, რომ E-mail-მა დანაღმული ველის ფუნქცია შეასრულოს, ალბათ, მილიონობით თითი გაშეშდებოდა წერილის წერისას”. მაგალითებიც მრავლად არსებობს:

რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთი სამხრეთკალიფორნიული კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორმა ტომ რაიანმა ჩამოტვირთა სპეციალური პროგრამა და თანამშრომლების საფოსტო ყუთები შეისწავლა. გაირკვა, რომ მომსახურე პერსონალი ერთმანეთში ცვლიდა პორნოფოტოებს, რასისტულ ანეკდოტებს და სხვა სიბინძურეებს. რაიანი დასძენს: “რაც ყველაზე მთავარია, გავარკვიეთ, რომ ერთ-ერთი მენეჯერი სხვებს უგზავნიდა თავისი სამუშაოს იმ დეტალებს, რომელთაც ჩვენ “საიდუმლოს” კლასიფიკაციას ვანიჭებთ. ის მაშინვე დავითხოვეთ სამსახურიდან. თანამშრომელთა წერილების შემოწმებამ მიგვახვედრა, რომ ყოველდღიურად მათ საფოსტო ყუთებში საშინელება ხდება”.

ასე რომ, რაც არ უნდა დიდი იყოს განცდა იმისა, რომ E-mail-ი ურთიერთობის ზედმიწევნით დაცული და ინტიმური ფორმაა, უნდა გვახსოვდეს, რომ ვცდებით. პირიქით, საკმარისია მონდომება, რომ ჩვენს წერილებს სხვები უპრობლემოდ წაიკითხავენ.

კიდევ ერთი მაგალითი: დაახლოებით ერთი თვის წინათ სამსახურიდან დაითხოვეს “ბოინგის” ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჰარი სტონსიფერი, რადგან დირექტორთა საბჭოს ანონიმმა კეთილისმსურველმა მოახსენა, რომ სტონსიფერი სასიყვარულო წერილებს სწერდა თავის საყვარელს იმავე კომპანიაში.

E-mail-მა გადამწყვეტი როლი შეასრულა კლინტონის იმპიჩმენტის დროსაც. პროკურორ კენეტ სტარს საქმის შეკვრაში ძალიან დაეხმარა ის ელექტრონული წერილები, რომელთაც თეთრი სახლის ინტერნი მონიკა ლევინსკი თავის მეგობრებს უგზავნიდა და ოვალურ კაბინეტში დატრიალებულ ამბებს აუწერდა...

მოკლედ, სკანდალები თუ არა, ცუდი შემთხვევები ელექტრონულ ფოსტასთან დაკავშირებით მსოფლიო პრაქტიკაში მრავლად მოიძებნება. მიუხედავად ამისა, ადამიანები E-mail-ის გამოყენებას მაინც გულმშვიდად განაგრძობენ და ვერ წარმოიდგენენ, რომ შემდეგი, ვის წინააღმდეგაც საკუთარ წერილებსვე აამოქმედებენ, თვითონ შეიძლება იყვნენ.

ამერიკელი ფსიქოლოგი მორგენი დასძენს, რომ ასეთი მაცდური თვისება ინტერნეტს ნამდვილად აქვს. წერ წერილს, გზავნი, შემდეგ თითს აჭერ “წაშლის” ღილაკს და გგონია, რომ წერილი სამუდამოდ ამოიშალა კომპიუტერის მეხსიერებიდან. არადა, სწორედ “გაგზავნის” ღილაკზე თითის დაჭერის შემდეგ იწყება ყველაფერი. მარტივად რომ ვთქვათ, E-mail-ი, ისევე როგორც ბრილიანტები ჯეიმს ბონდის სერიებისთვის, სამუდამოდ რჩება.

ამ ფონზე საინტერესოა ელექტრონული წერილების პირვანდელი ფუნქციის გახსენებაც. საფუძვლიანი კვლევის, “ინფორმაციული ნაციის” თანაავტორი ბერკლი ბლერი გვიამბობს:

E-mail-ი 1970-იან წლებში გამოიგონეს. პირველი წერილი 1972 წელს რეი ტომლინსონმა გაგზავნა. მასვე ეკუთვნის სიმბოლო @-ს წერილის მისამართში ჩასმის იდეაც (სიმბოლო ნიშნავს თანდებულ at-ს, იგივე “ზე”-ს და არა “საბაჩკას”, როგორც ქართველები ამბობენ ხოლმე). ასეა თუ ისე, E-mail-ს თავიდან მხოლოდ ქსელის ადმინისტრატორები იყენებდნენ, რომ ერთმანეთისთვის პატარა შეტყობინებები სწრაფად გაეგზავნათ. მაგრამ ის ურთიერთობის იმდენად კომფორტული საშუალება აღმოჩნდა, რომ ყველამ უმალ აიტაცა - კომპანიებმაც, ოფიციალურმა პირებმაც და არაოფიციალურმაც.

“ასე გახდა E-mail-ი მასობრივი გამოყენების საშუალება. პარალელურად, არავინ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა იყო E-mail-ი და როგორ შეიძლებოდა მისი გაკონტროლება. პირადად ჩემთვის ელექტრონული ფოსტა იგივეა, რაც კალმით დაწერილი ბარათი. ფურცელზე დაწერილი წერილის მსგავსად, E-mail-ის წაკითხვაც ყველას შეუძლია; ყველას, ვინც გზად წააწყდება. გარდა ამისა, ყველა შემთხვევით პირს შეუძლია მისი შინაარსის შეცვლაც”, - აცხადებს ბლერი.

თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ მნიშვნელოვან გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევს. სასამართლო პროცესებზეც კი ელექტრონულ წერილებს ისეთივე სერიოზულობით იღებენ, როგორც ჩვეულებრივ ეგზემპლარებს. E-mail-ით ბიზნესიც კეთდება, იგზავნება ოფიციალური დოკუმენტები და პრობლემას ამაში ვერავინ ხედავს.

მაგრამ პრობლემები მაინც იქმნება და შესაბამისად, E-mail-ის გამო მრავალი სასამართლო პროცესიც იწყება. ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული საქმე კი კომპანია “შევრონის” სახელს უკავშირდება. 1995 წელს “შევრონის” ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, 2.2 მილიონი გადაეხადა თანამშრომელი ქალებისთვის მორალური ზიანისთვის. ქალბატონებს ხომ კოლეგა მამაკაცები სექსუალური შეურაცხყოფით აღსავსე ელექტრონულ წერილებს უგზავნიდნენ. მაგალითად, ქალი “შევრონელები” ასეთ წერილებს იღებდნენ ხოლმე: “25 მიზეზი იმის დასტურად, თუ რატომ სჯობია ლუდი ქალს”.

სწორედ ასეთი შემთხვევები რომ აიცილონ თავიდან, ამერიკული კომპანიების თითქმის 60 პროცენტი თანამშრომლების გარე ელექტრონულ წერილებს სისტემატურად ამოწმებს. კომპანიების 20 პროცენტი კი ამოწმებს შიდა წერილებსაც.

ამიტომაც სპეციალისტები შეგვახსენებენ:

როცა დაწერთ და გაგზავნით, თქვენი წერილი არ იშლება. პირიქით, ის კაცობრიობის ისტორიის მუდმივ მეხსიერებაში გადადის. საჭიროების შემთხვევაში კი მისი ამოქექვა ყველას შეეძლება. ასე რომ, ფრთხილად! ფრთხილად იყავით, მიუხედავად იმისა, რომ პოპკულტურა და ჰოლივუდი ხშირად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებენ - მეგ რაიანისა და ტომ ჰენკსის რომანტიკული კომედია სწორედ E-mail-ით განვითარდა, მაგრამ გახსოვდეთ ისიც, რომ E-mail-ის დახმარებითვე დააჯარიმეს “შევრონი”.












---

დათო ტურაშვილის სვეტი

# ყოველ სამშაბათს



## SMS
### რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება

**+44 781 504 67 27**

თურქეთთან მატჩის წინა საღამოს, ვერაზე, ერთი საკმაოდ ტევადი სასტუმროს წინ შემხვდა ვახო გეგელია, რომელიც თურქი გულშემატკივრების მოჭარბებას თბილისში, მისთვის ჩვეული ღიმილით აკვირდებოდა. რა გაცინებს-მეთქი და სიმწრისგან მეღიმებაო - აგერ ორი საათია აქ ვდგავარ და მერამდენე ქართველი "პუტანკა" შევიდა ამ სასტუმროში, ვეღარც ვითვლიო. ამათ ხომ ამ საღამოს იხმარენ, ხვალ ჩვენს ნაკრებს ხუთ გოლს ხომ მაინც გაუტანენ და სანამ თურქეთში დაბრუნდებიან, იმას ვდარდობ, კახეთში არ გაიარონ და ვენახები არ აგვიჩეხონო.

სიმწრისგან მეც გამეღიმა, რადგან ამ საშინელ ხუმრობაში, ისეთი საშინელი სიმართლის მარცვალი იყო, რომ ისევე შემრცხვა, როგორც ნებისმიერ ქართველს, ვინც ის მატჩი საკუთარი თვალით იხილა. იმ ბედნიერ ქართველებს კი, ვისაც თურქეთთან ჩვენი ნაკრების თამაში არ უნახავთ, ალბათ დღემდე ჰგონიათ, რომ ჩვენ საფეხბურთო მატჩი წავაგეთ და არა სამშობლო.

შარშანაც, შარშანწინაც, ყოველთვის, როცა ჩვენს ფეხბურთელებს შეახსენებდნენ, რომ საფეხბურთო მოედანი ზოგჯერ ბრძოლის ველია, ისინი ბრაზდებოდნენ და საჯაროდ აკეთებდნენ განცხადებებს, რომ სპორტი პოლიტიკა არ არის და ჩვენ, გულშემატკივრებს, გონიერებისაკენ მოგვიწოდებდნენ. როგორც ჩანს, მხოლოდ ქართველ ფეხბურთელებს არ სურთ მოედანზე ბრძოლა, თორემ სპორტს და მით უმეტეს ფეხბურთს, ყველგან უკავშირებენ სწორედ პოლიტიკას.

ჩვენსავით პატარა ქვეყნის, ხორვატიის ნაკრების დაუჯერებელი წარმატება ევროპის ჩემპიონატზე უპირველესად სწორედ ხორვატი ფეხბურთელების პატრიოტიზმმა განაპირობა და არა მხოლოდ მათი პროფესიონალიზმის მაღალმა დონემ. თუმცა, ჩემთვის პროფესიონალიზმი არის კიდეც პატრიოტიზმის მთავარი გამოხატულება და მაშინ პროფესიონალმა ხორვატებმა ნაკრებში თამაშის გამო ჰონორარის მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

საქართველოს ნაკრების წევრებმა კი თურქეთთან მოგებისთვის გრანდიოზული პრემიები მოითხოვეს. შრომა რომ უნდა ანაზღაურდეს შესაბამისად, ჩვენც სწორედ ასეთ საქართველოზე ვოცნებობთ, მაგრამ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს რომ ფინანსური თვალსაზრისით, ნებისმიერი პროფესიის ნებისმიერ ქართველზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ, საკამათოც არავისთვის არ არის.

საკამათო იყო (გემახსოვრებათ) საფრანგეთისა და ბრაზილიის ფინალური შეხვედრა, რომლის შედეგიც ვერაფრით დაიჯერეს ბრაზილიის თბილისელმა გულშემატკივრებმა და ისინი ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ ბრაზილიამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი გაყიდაო. ამ უცნაური ვერსიის საპირისპიროდ ჩემი მეგობარი ალეკო სარალიძე, გაკვირვებული ეკითხებოდა ბრაზილიის თბილისელ გულშემატკივრებს - მჯერა, რომ თამაში გაყიდეს, მაგრამ ბრაზილიელებმა მსოფლიოს ჩემპიონობის სანაცვლოდ რა იყიდესო...

თქვენ რომ თურქეთთან მოგებისთვის ფული მოითხოვეთ, ჩვენ უკვე მაშინ ვიყავით დარწმუნებულები, რომ წააგებდით, რადგან თურქეთთან მოგებით ხომ გაცილებით მეტს შეიძენდით, ვიდრე ნებისმიერი, თუნდაც ისეთი გრანდიოზული პრემიით, თქვენ რომ მოითხოვეთ.

რუსეთისა და საბერძნეთის მატჩების წინ, როცა ჩვენ შევეცადეთ იმის შეხსენებას, თუ როგორ მუხანათურად გვექცეოდა ეს ორი დამპყრობელი ქვეყანა და რამდენად აუცილებელი იყო მათი დამარცხება, თქვენ მაშინაც დაგვადანაშაულეთ ფეხბურთისა და პოლიტიკის გაიგივებაში, მაგრამ შედეგები კი საპირისპიროზე მეტყველებენ - ყოველთვის იმარჯვებენ ისინი, ვინც საფეხბურთო მოედანს ბრძოლის ველად მიიჩნევს.

ჩვენ ვცდილობდით ისტორიის შეხსენებას, რადგან გვქონდა ეჭვი, რომ თქვენ აღარ გახსოვდათ ბერძნებისა და რუსების მიერ წართმეული ქართული მიწები, მაგრამ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ თურქებთან მატჩის წინ მაინც არ იყო ზემოთქმულის საჭიროება და შესაბამისი გამხნევებაც არ გჭირდებოდათ. თუმცა, შევცდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თვითონ მოვიგონეთ ეს უცნაური იმედი ჩვენი გამარჯვებისა და ჩვენ დაგვავიწყდა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ამდენი უსამართლობაა, ვერაფერში გაიმარჯვებ და მათ შორის ვერც ფეხბურთში. ჩვენ ისეთივე ფეხბურთს ვთამაშობთ, როგორ სახელმწიფოსაც ვქმნით და ის, რაც მოედანზე ხდებოდა, საკმაოდ ლოგიკურია. რაც ქვეყანაში ხდება, ის ხდება ფეხბურთშიც და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა იმ კომპონენტზე არ ვიზრუნებთ, რომელთა ერთობლიობა განაპირობებს კიდეც კარგი ფეხბურთის არსებობას.

შუაღამისასაც რომ გადაკვეთოთ თურქეთის საზღვარი, ყოველ ერთ კილომეტრში ნახავთ გაჭახჭახებულ, გულმოდგინედ მოვლილ საფეხბურთო მოედნებს მთელ თურქეთში და ალბათ აღარ გაგაკვირვებთ თურქების წარმატებები უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ასპარეზზე და ჩვენი წარუმატებლობა იმ მოედნების კვალობაზე, სადაც ქართველი ფეხბურთელები ეწამებიან. ის მოედანიც, სადაც ჩვენი ნაკრები თამაშობს და ცუდად გათოხნილ მინდორს რომ ჰგავს, აუცილებლად დაგაფიქრებთ ლოგიკაზე - ჩვენ არ გვყავს კარგი გუნდი (მაგალითად) ბეისბოლში და შესაბამისად არც ვნერვიულობთ ბეისბოლის გამო. თუ არ შეგვიძლია ფეხბურთის თამაში, მაშინ რატომ გვაქვს ამხელა ამბიციები, პრეტენზიები და ილუზიები? ალბათ წარსულის გამო, რადგან ქართულ ფეხბურთს სახელოვანი წარსული აქვს, მაგრამ დროებით უნდა დავივიწყოთ წარსული და არა მხოლოდ ფეხბურთში. ფეხბურთშიც იგივე დაგვემართა, რაც დანარჩენშიც - ჩავთვალეთ, რომ მხოლოდ წარსული საკმარისია მომავლის შესაქმნელად და აღარ ვფიქრობთ აწმყოზე, რომლის გარეშეც მომავალი წარმოუდგენელია. მთავარია, შევთანხმდეთ, რომ ჩვენ თანამედროვე ქართული ფეხბურთი არ გვაქვს და თუ ამას დავიჯერებთ, ფუჭი იმედებიც გაგვიქრება და რეალურად დავიწყებთ ცვლილებებზე ფიქრს, რეალურად შევხედავთ ყველაფერს, მათ შორის კი ქართულ ფეხბურთსაც, რომელიც არ არსებობს...




## დომინოს პრინციპი

თავისმომჭრელი ოთხდღიურის შემდეგ ძალიან ბევრი აზრი მოვისმინე ქართველ მობურთალთა ჯოგის შესახებ. ზოგი მოედანზე მყოფთ ადანაშაულებს, ზოგი - ფრანგ მწყემსს, ნაწილი ფედერაციისკენ იშვერს ხელს (მუშტსაც), მეორე ნაწილი ტრიბუნებზე უბილეთოდ მოხვედრილ ბნელ ფენას აგინებს აბორიგენული ყოფაქცევისთვის. უმეტესობა კი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ყოველივე ეს გლობალური თავსატეხია და სანამ თითოეული მიკროპრობლემა ბოლომდე არ განადგურდება, საფეხბურთო ცივილიზაციაში ცხვირსაც ვერ შევყოფთ. აი, ამ მიკროპრობლემათა მაკრონუსხა. საბოლოოდ გადავავლოთ თვალი, ვნახოთ, სად როგორ გვიჭირს და მომდევნო სვეტებში ვიმსჯელოთ, რა მეთოდებით შეიძლება მათი გადაჭრა.

**1. ბავშვთა ფეხბურთი.** ერთხელ უკვე ვთქვით, რომ საქართველოში მკვდარია ქუჩის ფეხბურთი - ყველაზე ნიჭიერი ბიჭების, მალანდროთა მწარმოებელი უეფექტურესი ფაბრიკა. მშობლებს ურჩევნიათ, რომ ბავშვებმა სპეციალიზებულ სკოლებში ისწავლონ სოკერის ანბანი. ეს კი შეცდომაა, რადგან მოზარდი მხოლოდ დამოუკიდებლად სწავლობს იმას, რასაც ვერავინ ვერასდროს ასწავლის. გარდა ამისა, ისინი ვარჯიშობენ ძალიან უხარისხო მოედნებზე ძალიან უცოდინარი მწვრთნელების ხელმძღვანელობით. ანუ, როგორც პროფესიონალი სპორტსმენები, იმთავითვე არასწორად ვითარდებიან. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა რაიონებში, სოფლებში, სადაც პატარებს ბურთიც კი სანატრელი აქვთ. იქ არავინ ეძებს ტალანტებს, არადა, ქართული ფეხბურთი ოდითგანვე მარაგდებოდა სხვადასხვა კუთხიდან და ეს მთელ მსოფლიოში ასეა - ცენტრს პერიფერია კვებავს.

**2. ახალგაზრდული ფეხბურთი.** თუ ვინმე ბავშვობაში გადაურჩა არასწორი განვითარების მარწუხებს (ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით), ეს სიამოვნება წინ ელის, რადგან არც ამ ასაკობრივ ჯგუფში მოღვაწეობენ განსწავლული სპეციალისტები. სტადიონებიც ხომ იგივე რჩება და ყველაფერს ემატება კორუფციულ-მაფიოზური სისტემა, ასაკის გადაკეთება, თანხის სანაცვლოდ შედარებით ნორმალურ გუნდში მოხვედრა და ასე შემდეგ. ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელსაც სწორედ ამ ასაკში სჭირდება მაქსიმალური ყურადღება და პატრონობა, ან საქართველოში რჩება, რაც დაღუპვის ტოლფასია, ან მიდის უცხო ქვეყნის დაბალი დონის, მაგრამ ფინანსურად მომგებიან ჩემპიონატში, რაც შედარებით ნელ სიკვდილს ნიშნავს და რაზეც ზემოხსენებული კრიმინალური წრე ზრუნავს საკუთარი ცხოვრების მოწყობის მიზნით. ხდება ნიჭის იმპორტი იქ, სადაც ის ასაორთქლებლადაა განწირული და ამით ჯერ ეროვნული საკლუბო ფეხბურთის ხარისხი ეცემა მიზერამდე, შემდეგ - ნაკრებისა.

**3. ეროვნული პირველობა.** რომელი ჭკუათმყოფელი გაჩერდება იქ, სადაც: მოედნებზე ძროხები ბალახობენ; იგვიანებს ან საერთოდ არ გაიცემა მინიმალური, შეურაცხმყოფელი ხელფასები; არ არის საშხაპეები, ეკიპირება, ელემენტარული სავარჯიშო პირობები; ცნება - ფიზიოთერაპია საერთოდ არ არსებობს და ეს იწვევს უმძიმეს ტრავმებს; ისედაც არაპროფესიონალი მსაჯები ქრთამს იღებენ ჩაწყობილ თამაშებში; კატასტროფულია მწვრთნელთა განათლების დონე; მატჩებს ძირითადად ასი-ორასი მაყურებელი ესწრება და თვალშისაცემია მათი ბარბაროსული განწყობა ერთმანეთის მიმართ, არბიტრების, ფეხბურთელების ცემა, რაც პირდაპირ კავშირშია ორგანიზატორთა უნიათობასთან; ხშირად არავინ ისჯება ნაცნობობის, მოსყიდვისა და სხვა შემოვლითი გზების გამოისობით; ფეხბურთელები დადიან, რადგან ასეთ პირობებში გამარჯვება სეირნობითაცაა შესაძლებელი; ფეხბურთელები ეწევიან, სვამენ, კაიფობენ, ვარჯიშებზე არ დადიან, რადგან აქ ასეთ კონდიციაშიც მოიგებ, რა პრობლემაა.

**4. საქართველოს ნაკრები.** აქ თავს იყრიან ეროვნული პირველობის მონაწილენი; ქვეყნიდან გაქცეული (მესამე პუნქტის გამო), პროგრესგაყინული და შედარებით გამდიდრებული ახალგაზრდები; ოდნავ სოლიდურ კლუბებში ჩარიცხული, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერმოხვედრილი, უპრაქტიკო ბიჭები და ერთი-ორი მეორე პლანის გაყოყოჩებული ვარსკვლავი. რა კოქტეილია?!

**5. მწვრთნელი.** ალენ ჟირესი არ არის მაღალი კლასის მწვრთნელი. ამას მოწმობს მისი სამწვრთნელო წარსული და აწმყო - ფრანგს ჯერ არაფერი მოუგია და რატომ გვგონია, რომ ამ დაავადებული ნაკრებით მიაღწევს რამეს, ვერაფრით გავიგე. მუსიემ ოთხ გადამწყვეტ დღეში უამრავი უხეში შეცდომა დაუშვა და ეს არ არის შემთხვევითი. მას სამწვრთნელო შტაბიც კი არ ჰყავს (21-ე საუკუნეში!).

**6. ფედერაცია.** მე არ მყავს ნაცნობი, ვისაც ფეხბურთის ფედერაციის მუშაობაზე დადებითი აზრი აქვს და ვიცი, რომ არც ჩემს ნაცნობებს ჰყავთ ასეთი ნაცნობები. საერთოდ, რაზეა ლაპარაკი, როცა ქვეყნის პირველი პირი საჯაროდ ამბობს, რომ ამ ორგანიზაციაში და მის გარშემო მაფიოზური წრედია შეკრული. ჩამოთვლილი პრობლემებიდან უმეტესობა სწორედ ამ კანტორის შექმნილია.

**7. ქვეყანა.** უმუშევრობა, შიმშილი, უშუქობა, დანგრეული გზები, აგრესია, საყოველთაო არაპროფესიონალიზმი, უინტელექტო პარლამენტი და პოლიტიკოსები, კორუფცია, პირველყოფილი ღირებულებები, გაუნათლებელი ახალგაზრდობა, დაობებული მეცნიერება, უკულტურობა, ბოღმა, უსინდისობა, მხოლოდ ფულზე ფიქრი, გულგრილობა, გაძეძგილი რესტორნები და დაკონსერვებული სადღეგრძელოები, არავითარი პატრიოტიზმი, ერთუჯრედიანი ჩინოვნიკები და მათი ლაქიების ულევი არმია, უწიგნურობა, ჭაობში ჩაფლული სპორტი, კინო, შოუბიზნესი, ჟურნალისტიკა. სნობიზმი, ადამიანის შეფასება მასზე ასხმული ოქროების რაოდენობით, ბოლო ადგილზე გადასროლილი კანონი და გაუთავებელი დაპირებები.

**8. გულშემატკივარი.** რა გასაკვირია, რომ ამ ქვეყანაში არიან ტიპები, რომლებიც გინებისთვის და ბოთლების სასროლად დადიან ფეხბურთზე. მათ არ იციან, როგორ გამოხატონ დადებითი ემოცია, რადგან ამის საშუალება არასდროს ჰქონიათ. არც ის იციან, რომ ოდესღაც ქართველი გულშემატკივარი მთელ მსოფლიოში იყო სახელგავარდნილი საფეხბურთო ინტელექტით. მე მეცოდება ეს მასა და მეცოდება ქვეყანა, რომელიც ამ მასაზე დგას, რომელიც ამ ბნელმა საზოგადოებამ უნდა ააშენოს.

**9. სახსრები.** თავიდათავი ყველაფრისა. ქართული ფეხბურთით ბიზნესმენთა დაინტერესებას აფერხებს კანონმდებლობა და ფულის დაკარგვის დიდი ალბათობა, ხოლო არსებული თანხების პატიოსნად განკარგვას - ფედერაცია. აქედან გამომდინარე, საქმეს ხმარდება მინიმუმი, ჩვენ კი, რატომღაც, მაქსიმუმს ვითხოვთ.

**ეს პრობლემები ერთმანეთთან დომინოს პრინციპითაა დაკავშირებული. თუ გვინდა, ოდესმე დიდი ფეხბურთი ვითამაშოთ, უკლებლივ ყველა მათგანი უნდა გადაიჭრას და მაშინ იგივე დომინოს პრინციპი სასიკეთოდ ამოქმედდება.**

*მომავალ სამშაბათამდე*

*ფეხბურთი*

# ძველი მეგობრების შეხვედრა




*ვისი ტაქტიკა გაამართლებს კაპელოს თუ ბენიტესის?*

### ლივერპული - იუვენტუსი

ინგლისის "ლივერპული" და იტალიის "იუვენტუსი" 1985 წლის შემდეგ პირველად ხვდებიან ერთმანეთს. მაშინ, 20 წლის წინათ, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში ტურნირის მთავარი პრიზი სწორედ ამ გუნდებმა გაითამაშეს. სტაჟიან გულშემატკივარს ალბათ ახსოვს ბრიუსელის "ეიზელის" სტადიონზე მომხდარი ტრაგედია. ბეტონის კედელი მაყურებლებს დაეცა და 39 გულშემატკივარი იმსხვერპლა. მათ შორის 38 იტალიელი და ერთი ბელგიელი.

1985 წლის 29 მაისს "ეიზელის" სტადიონის კედელი მას შემდეგ ჩამოინგრა, რაც ტყრიბუნებზე ფანებს შორის ჩხუბი ატყდა. გულშემატკივარი, რომელიც ამ ჩხუბს მოერიდა, ბეტონის კედელს მიაწყდა. ზოგიერთებმა კედელზე გადაძრომა მოისურვეს. ბეტონის ზღუდემ სიმძიმეს ვერ გაუძლო, მაყურებელს დაეცა და ევროპული ფეხბურთისთვის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ტრაგედიაც მოხდა.

მაშინ ვარაუდობდნენ, რომ "ეიზელისთვის" ეს უკანასკნელი მატჩი იქნებოდა და ასეც მოხდა. სტადიონი, რომელიც ჯერ კიდევ 1920-იან წლებში აშენდა, მთლიანად აღგავეს პირისაგან მიწისა და ახალი ააგეს. სტადიონზე მხოლოდ დასაჯდომი ადგილები დატოვეს, ხოლო იმ ტრაგედიის ერთადერთ მოგონებად მთავარ შესასვლელში დამონტაჟებული კარები დატოვეს.

იმ მატჩში ერთადერთი გოლი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით მიშელ პლატინიმ გაიტანა და ტურინელებს ისტორიაში პირველი ჩემპიონთა თასი მოაგებინა. ინგლისურ კლუბებს ხუთი წლით აეკრძალათ ევროპულ ტურნირებზე თამაში. "ლივერპულს" კი ეს უფლება შვიდი წლით ჩამოერთვა.

დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ "ლივერპული" იტალიურ კლუბებს სამჯერ დაუპირისპირდა. 1991-1992 წლების სეზონში უეფას თასის გათამაშებაზე მერსისაიდელებმა საერთო ანგარიშით - 1:4 დათმეს მატჩი "ჯენოასთან". ერთადერთი გოლი ინგლისელთა მხრიდან უელსელმა იან რაშმა გაიტანა. შემდგომში "ლივერპული" ორჯერ დაუპირისპირდა "რომას". 2000-2001 წლების სეზონში უეფას თასზე "ლივერპულმა" რომში - 2:0 გაიმარჯვა. ორივე გოლი მაიკლ ოუენის ანგარიშზე იყო. "ენფილდ როუდზე" ინგლისელებმა, მართალია, წააგეს - 0:1, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გავიდნენ და ფინალში ესპანეთის "ალავესი" დაამარცხეს დრამატულ მატჩში - 5:4.

მომდევნო სეზონში კლუბები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გადაეყარნენ ერთმანეთს. რომში მატჩი ფრედ - 0:0 დამთავრდა, ხოლო ლივერპულში ინგლისელებმა იმარჯვეს - 2:0. გოლები იარი ლიტმანენმა და ემილ ჰესკიმ გაიტანეს. მაშინ "ლივერპულმა" ჯგუფური ეტაპი დაძლია და პლეი-ოფში გავიდა. თუმცა, მეოთხედფინალში მერსისაიდელები ლევერკუზენის "ბაიერთან" დამარცხდნენ საერთო ანგარიშით - 3:4.

"ლივერპულმა" იტალიურ კლუბებს 5-ჯერ უმასპინძლა. სამი მოიგო და ორჯერ დამარცხდა. იტალიაში კი ინგლისელთა ანგარიშზე ორი გამარჯვება, ერთი ფრე და ოთხი წაგებაა. ამასთან, ორი მარცხი კლუბმა ევროპული ტურნირების ფინალში განიცადა.

თუ "ეიზელის" მატჩს არ ჩავთვლით, "ლივერპულმა" "იუვენტუსი" საკუთარ მინდორზე ერთხელ დაამარცხა, მაგრამ ტურინში ორი შეხვედრა წააგო. გუნდები პირველად 1965-1966 წლების სეზონში, თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ წრეში შეხვდნენ. ტურინში ერთადერთი გოლი ჯანფრანკო ლეონჩინიმ გაიტანა. თუმცა, "ენფილდ როუდზე" "ლივერპულმა" იტალიელთა უპირატესობა გაქვითა. ორი გოლი კრის ლოულერმა და ჯეფ სტრონგმა გაიტანეს. საერთო ჯამში ინგლისელებმა - 2:1 იმარჯვეს. შედეგად "ლივერპული" ფინალში გავიდა და "ჰემპდენ პარკზე" დორტმუნდის "ბორუსიასთან" შეხვედრაში დამარცხდა - 1:2.

1983-1984 წლების ჩემპიონთა თასის ფინალში "ლივერპულმა" რომში "სტადიო ოლიმპიკოზე" "რომა" დაამარცხა პენალტების სერიით. შემდეგ კი ევროპის სუპერთასზე ტურინის "იუვენტუსს" შეხვდა. ის მატჩი 1985 წლის 16 იანვარს ტურინის "სტადიო კომუნალეზე" შედგა. ზბიგნევ ბონეკმა ორივე ტაიმში თითო გოლი გაიტანა და სერია A-ს წარმომადგენელს გამარჯვება არგუნა - 2:0.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურინის "იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგის ხშირი ბინადარია, უკანასკნელი რვა სეზონის განმავლობაში "ბებერი ქალბატონი" ინგლისურ კლუბებს 6-ჯერ შეხვდა. 2002-2003 წლების სეზონში კენჭისყრამ "იუვე" "ნიუკასლს" და "მანჩესტერ იუნაიტედს" გადაჰყარა. "იუვემ" "ნიუკასლი" შინ ალესანდრო დელ პიეროს დუბლის წყალობით - 2:0 დაამარცხა. ინგლისში კი მინიმალური ანგარიშით - 1:0 წააგო. ორივე კლუბი ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. "კაჭკაჭები" გათამაშებას გამოეთიშნენ, ხოლო "იუვემ" ორჯერ მოუგო "მანჩესტერ იუნაიტედს", პლეი-ოფში გავიდა და საბოლოო ჯამში ტურინელებმა ფინალში "ოლდ ტრაფორდზე" "მილანთან" პენალტების სერიით დათმეს ევროპული ტურნირების უმთავრესი ჯილდო.

საერთო ჯამში "იუვენტუსმა" ინგლისში 14 მატჩი გამართა. მოიგო ორი, ოთხი ფრედ დაამთავრა და რვა წააგო. ბოლოს "ბებერმა ქალბატონმა" ინგლისში 1996-1997 წლების სეზონში გაიმარჯვა. მან "მანჩესტერ იუნაიტედი" "ოლდ ტრაფორდზე" დაამარცხა და "დელე ალპიზე". თითო გოლი მანჩესტერში ალენ ბოქშიჩმა გაიტანა, ხოლო ტურინში დელ პიერომ გამოიყენა პენალტი. იმ წელს ტურინელები ფინალში გავიდნენ და დორტმუნდის "ბორუსიასთან" - 1:3 დამარცხდნენ. მეორე მხრივ, ტურინში "იუვენტუსმა" 11 მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და სამჯერ დამარცხდა.

### მეშახტეებთან მებრძოლნი

### ლიონი - პსვ ეინდჰოვენი

"პსვ ეინდჰოვენმა" მერვედფინალში" "მონაკოს" ბარიერი დაძლია და ახლა სურს, იგივე დამართოს მეშახტეების კლუბ "ლიონს". პსვ-მ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა შინ "მონაკოსთან" - 1:0. ერთადერთი გოლი დიდიე დეშამის შეგირდებს მატჩის მე-8 წუთზე ალექსმა გაუტანა. განმეორებითი მატჩი კი ჰოლანდიელთათვის ისტორიული გამოდგა. "სტად-ლუი-დოზიემზე" პსვ-მ საფრანგეთის ტერიტორიაზე თავისი არსებობის ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ანგარიში 26-ე წუთზე ჰესელინკმა გახსნა. მეორე ტაიმის შუაგულში კი ჰოლანდიელთა უპირატესობა მარკუს ბუზლიმ გაამყარა - 2:0.

თუმცა, ამჯერად "ლიონის" სახით "ეინდჰოვენს" უაღრესად სერიოზული მეტოქე ჰყავს. ტურნირის მერვედფინალში საფრანგეთისა და გერმანიის ჩემპიონთა დუელში "ლიონმა" ქვა ქვაზე არ დატოვა ბრემენის "ვერდერისა" - 3:0 და 7:2.

აქამდე "ლიონი" ევროპულ სარბიელზე ჰოლანდიურ კლუბებს ორჯერ დაუპირისპირდა. 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში "ლიონმა" საკუთარ მინდორზე - 3:1 დაამარცხა "ჰერენვეენი", ხოლო სტუმრად ფრანგებმა - 2:0 გაიმარჯვეს. გოლები პირველ მატჩში სონი ანდერსონმა და სტივ მარლემ გაიტანეს, ხოლო განმეორებითში სტივ მალბრანკმა და სტივ მარლემ გამოიჩინეს თავი. "ლიონი" ამ წელს მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, სადაც მესამე ადგილი დაიკავა და წინ მხოლოდ მიუნხენის "ბაიერნი" და ლონდონის "არსენალი" გაუშვა.

ამის შემდეგ "ლიონმა" ორჯერ დათმო მატჩი ამსტერდამის "აიაქსთან" ჩემპიონთა ლიგის 2002-2003 წლების სეზონში. შედეგად ჰოლანდიელებმა და მილანის "ინტერმა" ფრანგები თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს. "ლიონი" ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა ჯგუფიდან გასვლის შანსს, მაგრამ მათ ნორვეგიის "რუსენბორგის" დამარცხება ვერ მოახერხეს (1:1).

ამასობაში პსვ-მ 2003-2004 წლების ჩემპიონთა ლიგის ტურნირის სასტარტო შეხვედრაში შინ დამარცხება განიცადა "მონაკოსგან" - 1:2. ეს იყო ფრანგული კლუბების ერთადერთი გამარჯვება "ფილიპსის" სტადიონზე". თუმცა, წლევანდელ სეზონში ჰოლანდიელებმა სრული რევანში აიღეს დიდიე დეშამის გუნდთან. გასულ სეზონში ფერნანდო მორიენტესისა და ედუარ სისეს ზუსტ დარტყმებს გუუს ჰიდინკის გუნდმა მხოლოდ ბუმას ერთი გოლით უპასუხა. თუმცა, საერთო ჯამში ჰოლანდიელებმა საკუთარ მინდორზე ხუთჯერ დაამარცხეს ფრანგები, ხუთი მატჩი ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ.

აღსანიშნავია, რომ "პსვ ეინდჰოვენი" უკვე ოთხი მატჩია ფრანგებთან სტუმრად არ აგებს. შარშან მონაკოში მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა. გოლები მორიენტესმა და ჰესელინკმა გაიტანეს. ცნობილია, რომ მონაკოელები ფინალში გავიდნენ. პსვ-მ კი უეფას თასის ფინალში "ოსერის" წინააღმდეგობა დაძლია (1:1, 3:0). მეოთხედფინალში კი ჰოლანდიელები "ნიუკასლ იუნაიტედს" დანებდნენ. ორრაუნდიანი დაპირისპირების საერთო ანგარიში - 2:3 იყო ინგლისელთა სასარგებლოდ. ჰოლანდიელთა საერთო სტატისტიკა ფრანგებთან გასვლით მატჩებზე ასე გამოიყურება: ერთი მოგება, ექვსი ფრე და ოთხი მარცხი.

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრიტიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

[illegible]

ლატარიის გათამაშება შედგება 2005 წლის 15 აპრილს, 17:30 საათზე [illegible]

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:
სახელი, გვარი
ასაკი
ტელეფონის ნომერი
საცხოვრებელი ადგილი
ელექტრონული ფოსტის მისამართი

1. [illegible] 2005 წლის 28 მარტიდან?
2. [illegible] 2005 წლის 28 მარტიდან?
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible] - 320, 747 [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible] (World Traveller) [illegible] (Club World)
10. [illegible] BMED [illegible] GB [illegible]

ინფოთეკა

### დუდეკი "იუვენტუსის" წინააღმდეგ თამაშს შეძლებს

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ კლუბის მეკარე ეჟი დუდეკმა პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან მიღებული ტრავმის გამო გამოტოვა ინგლისის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის "ბოლტონის" წინააღმდეგ მატჩი. "ეჟი კლუბში ტრავმირებული დაბრუნდა, ამიტომაც გადავწყვიტეთ, მისი ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ არ დაგვეყენებინა. ამ სეზონზე წინ კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი მატჩი გველის, ამიტომაც დუდეკი სრულყოფილ ფორმაში უნდა იყოს, რომ შემდგომში დაგვეხმაროს", - განაცხადა ბენიტესმა.

"ლივერპულის" მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ პოლონელი ფეხბურთელი შეძლებს გუნდს დაეხმაროს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩში "იუვენტუსის" წინააღმდეგ (შეხვედრა დღეს გაიმართება!).

### მონტელა "რომაში" რჩება

იტალიური კლუბის "რომას" თავდამსხმელმა ვიჩენცო მონტელამ თანხმობა განაცხადა, თავის გუნდთან გაეფორმებინა ახალი, თუმცა, არც მთლად სახარბიელო კონტრაქტი. 30 წლის ფეხბურთელმა ახალ შეთანხმებას ამ კვირას უნდა მოაწეროს ხელი. შეთანხმების თანახმად, მონტელა "რომაში" 2009 წლამდე რჩება.

იტყობინებიან, რომ ახალი კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელს არა 2,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს (როგორც ადრე), არამედ 1,75 მილიონს გადაუხდიან.

### ფერგიუსონმა დამარცხება აღიარა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა აღიარა, რომ ინგლისის პრემიერ-ლიგაში "ჩელსის" დაწევის შანსი არც ერთ გუნდს, მათ შორის, "მანჩესტერ იუნაიტედსაც" აღარა აქვს. ფერგიუსონის ასეთ განწყობაზე განსაკუთრებით იმოქმედა შაბათს "ბლექბერნის" წინააღმდეგ თამაშის ფრედ დამთავრებამ.

აღსანიშნავია, რომ მუხლის ტრავმის გამო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო რაიან გიგზმა.

თავის მხრივ, "ჩელსიმ" "საუთჰემპტონს" სძლია 3:1.

"ჩელსიზე" აღარ უნდა ვიფიქროთ. ასეთი თამაშით ჩემპიონის ტიტულს ნამდვილად ვერ მოვიპოვებთ. ალბათ, ძალიან გაგვიჭირდება მეორე ადგილის შენარჩუნება," - განაცხადა ფერგიუსონმა.

### "ნიუკასლი", შესაძლოა, ურჩ ფეხბურთელებს გამოემშვიდობოს

შესაძლებელია, ინგლისურმა კლუბმა "ნიუკასლმა" კონტრაქტი გაუწყვიტოს თავის ორ ფეხბურთელს კიერონ დაიერსა და ლი ბოიერს, რომლებიც შაბათს ინგლისის პრემიერ-ლიგის "ასტონ ვილას" წინააღმდეგ მატჩის დროს პირდაპირ მოედანზე დაერივნენ ერთმანეთს. შეხვედრის არბიტრმა დებოშის ამტეხები გასახდელში გაისტუმრა, რამაც გამოიწვია ის, რომ ნიუკასლელები მოედანზე რვანი დარჩნენ, რადგან ამ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე კიდევ ერთმა მათმა ფეხბურთელმა მოედანი დატოვა.

აჟიოტაჟის ამტეხი ფეხბურთელების გუნდიდან შესაძლო გაძევების შესახებ განცხადება გააკეთა ინგლისის ფეხბურთის კავშირის თავჯდომარემ გორდონ ტეილორმა.

"ხელმძღვანელს ყოველთვის შეუძლია ასეთი სანქციების დაწესება, თუ მიაჩნია, რომ მისმა ფეხბურთელმა (ან ფეხბურთელებმა) დადგენილი წესები დაარღვია (ან დაარღვიეს). გაუმართლებელია ის, რაც მათ ჩაიდინეს მატჩის მსვლელობის დროს," - განაცხადა გორდონ ტეილორმა.

აღსანიშნავია, რომ თანაგუნდელების საქციელს კომენტარი გაუკეთა "ნიუკასლის" ლეგენდარულმა ფორვარდმა ალან შირერმა. "ის, რაც მოხდა, არა მხოლოდ მთელი გუნდის, არამედ მათი გულშემატკივრების სირცხვილია. ასეთ საქციელს გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს. ჩემი აზრი ჯერ კიდევ მატჩის შემდეგ, გასახდელში დავაფიქსირე", - განაცხადა შირერმა.

"უბრალოდ, საკუთარ თვალებს არ დავუჯერე. ვერაფრით ვერ წარმომედგინა, რომ ეს სამარცხვინო ამბავი მართლაც ჩვენს თავს ხდებოდა. შაბათის მატჩი ყველაზე უფრო საშინელი და სამარცხვინო შეხვედრა იყო "ნიუკასლში" მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე", - აღნიშნა "ნიუკასლის" დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელმა ფრედი შეფერდმა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ბოიერს, როგორც მთავარ დამნაშავეს, ჯარიმის სახით, 200 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა დაეკისრა. დაიერის ბედი ჯერჯერობით არ გადაუწყვეტიათ.

ოლიმპიზმი

# ქართული სპორტი ოთხად შეიკრა

გიგა გურასაშვილი

*შარშან, როდესაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე სეოკ-ის პრეზიდენტად ბადრი პატარკაციშვილი აირჩიეს, საკუთარ გამოსვლაში თქვა, ქართული ოლიმპიური მოძრაობა ახლებურად აზროვნებას შეუდგებაო. რაღაცები მართლა იცვლება. ამის დასტური იყო ისიც, რისი მოწმენიც გუშინ სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" გავხდით. საუბარია ოთხმხრივ ხელშეკრულებაზე: საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ოლიმპიურ ფონდს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსა და სპორტულ ფედერაციებს შორის.*

ერთი სიტყვით, სპორტის სახელმწიფო სტრუქტურის, სეოკის, ოლიმპიური ფონდისა და სპორტის 14 ოლიმპიური სახეობის ფედერაციათა ხელმძღვანელებმა გუშინ ხელი მოაწერეს ერთობლივ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია თითოეული სუბიექტის ვალდებულებანი.

"მივესალმები ქართული სპორტის სისტემატიზაციას. ახლა ერთობლივი მოღვაწეობაა საჭირო უკეთესი შედეგების მისაღწევად", - თქვა სეოკ-ის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა.

მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში ოლიმპიური ფონდი მისივე პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფს 11 მილიონ ლარს, საიდანაც ორ მესამედზე მეტი მოხმარდება პროგრამას "პეკინი-2008". მარტო წლეულს ფონდი დააფინანსებს 12 პროექტს, დაეხმარება 14 ოლიმპიურ ფედერაციას: ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, მძლეოსნობა, ზამთრის სახეობები, საწყლოსნო სახეობები, კალათბურთი, კრივი, ტანვარჯიში, სროლის სახეობები, მშვილდოსნობა, ხუთჭიდი, ტაიკვანდო, ფრენბურთი. ამ მიზნით გამოიყოფა 3 მილიონი ლარი, აქედან 2 მილიონამდე - "პეკინი-2008"-ის ჭრილში.

ფონდი კვლავაც გააგრძელებს სოციალური პროგრამების დაფინანსებას. 61 სპორტსმენს, 35 მწვრთნელს, 25 ოლიმპიური მოძრაობის ვეტერანს, რამდენიმე სამედიცინო მუშაკს - დაახლოებით 120 კაცს დაენიშნება ყოველთვიური სტიპენდია 300-დან 1000 ლარამდე. ოლიმპიური პროგრამის დაფინანსებაში თავის მხრივ სოლიდურ წვლილს შეიტანს სეოკ-იც.

გარდა ამისა, გუშინვე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ოლიმპიურ ფონდსა და ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის რამდენიმე კანდიდატთან და ნაკრების ზოგიერთ მწვრთნელთან თანამშრომლობასაც.

იწყება ამოქმედება პროგრამისა "პეკინი-2008". მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, არც ერთ ოლიმპიურ ციკლში ასე ადრე მსგავსი პროგრამა არ დაწყებულა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "თბილისი-მარიოტში" ჩამოყალიბდა სამომავლო მიზნები და ამოცანები. მხარეებმა კი თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღეს, თუმცა, როგორც მოგვიანებით ბადრი პატარკაციშვილმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სახეობები დაფინანსდება, სპორტულ ფედერაციებს არავინ უკრძალავს დამატებითი სახსრების მოძიებას: სპორტულ ფედერაციათა ძირითად დაფინანსებას საკუთარ თავზე ჩვენ ვიღებთ, მაგრამ თუ ესა თუ ის ფედერაცია დამოუკიდებლად შეძლებს მოიძიოს დამატებითი სახსრები, ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით, ოღონდ საქმის კურსში ჩვენც ჩაგვაყენეთო.

გუშინდელ თავყრილობაზე სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა თქვა, რომ სეოკ-მა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტისგან ჟაკ როგისგან ტურინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის ოფიციალური მიწვევა მიიღო. მიწვევა მიღებულიაო და, შესაბამისი ვალდებულება საკუთარი ხელმოწერით დაადასტურა სეოკ-ის პრეზიდენტმა. ზამთრის ოლიმპიური თამაშების თემა ამით არ ამოწურულა. კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ საქართველო 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის იბრძოლებს. ამასთან დაკავშირებით პატარკაციშვილმა დასძინა, რომ ისეთი დიდი ღონისძიების მასპინძლობით, როგორიცაა ზამთრის ოლიმპიური თამაშები, მარტო ვერაფერს გავხდებით. საჭიროა ეს ვალდებულება ქვეყანამ, მისმა პრეზიდენტმა აიღოს საკუთარ თავზე. ჩვენ კი ყველანაირად მხარში ამოვუდგებითო.

ჩოგბურთი

# საჩოგბურთო სამყაროს ახალი ლიდერი მოევლინა

მაიამის ტურნირის შემდეგ, ფინალში დამარცხების მიუხედავად, საჩემპიონო რბოლას რუსი მარია შარაპოვა ჩაუდგა სათავეში. თუმცა, ამავე ორგანიზაციის რეიტინგის მიხედვით, 52 კვირის შემდეგ შარაპოვა კვლავ მესამე ადგილს ინარჩუნებს.

უიმბლდონის ჩემპიონმა საჩემპიონო რბოლაში ლიდერის პოზიცია მას შემდეგ დაიბრუნა, რაც მაიამის მასტერსის ტურნირის (საპრიზო ფონდი 3,115 მილიონი დოლარი იყო) ნახევარფინალში გავიდა. ამჟამად შარაპოვა მეორე ადგილზე მყოფ ამერიკელ ლინდსი დევენპორტს 85 ქულით უსწრებს.

ლიდერებს კვალში მიჰყვება ამერიკელი სერენა უილიამსი. მაიამის ტურნირის გამარჯვებული ბელგიელი კიმ კლიისტერსი კი მეოთხე ადგილზე აღზევდა. საინტერესოა, რომ ბელგიელი თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ მხოლოდ ახლა გამოჩნდა საჩოგბურთო კორტებზე. მან სამი ტურნირი ჩაატარა და აქედან ორი მოიგო. ერთში კი მეოთხედფინალამდე მიაღწია. ამ ფენომენალური მიღწევების შედეგია ის, რომ კლიისტერსი საჩემპიონო რბოლაში მეოთხე ადგილზე აღზევდა.

რაც შეეხება პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგს, აქ 52 კვირის შემდეგ კვლავ ამერიკელი ლინდსი დევენპორტი ინარჩუნებს პირველობას. მეორე ადგილზე ფრანგი ამელი მორესმოა, ხოლო შარაპოვა მესამე პოზიციაზე იმყოფება. შემდეგ მოდის სერენა უილიამსი. მას კი რუსული ლეგიონი მოჰყვება: ელენა დემენტიევა, ანასტასია მისკინა და სვეტლანა კუზნეცოვა.

სხვათა შორის, კუზნეცოვამ მაიამის ტურნირის წყვილთა თანრიგში ავსტრალიელ ალისია მოლიკთან წყვილში გამარჯვება მოიპოვა. ფინალში მათ ამერიკულ-ავსტრალიური დუეტი ლიზა რეიმონდი და რენე სტაბზი დაამარცხეს - 7:5, 6:7, 6:2. თუმცა, ინდივიდუალურ ჩათვლაში ამ გამარჯვებას არც მოლიკისთვის და არც კუზნეცოვასთვის სარეიტინგო ქულები არ მოუტანია. ვერც მოუტანდა, რადგან წყვილთა თანრიგს საკუთარი რეიტინგი აქვს. WTA-ის მომდევნო ტურნირი ყოველწლიური Bausch & Lomb Championships-ი იქნება, რომელიც გუშინ ფლორიდის შტატის ქალაქ ამელია-აილენდში დაიწყო. თუმცა, თუ ორი კვირის წინათ გამართული მაიამის ტურნირი საჩოგბურთო საზომით პირველ კატეგორიას განეკუთვნება, ამელია-აილენდში დაწყებული Bausch & Lomb Championships-ი მეორე კატეგორიით შემოიფარგლება. მისი საპრიზო ფონდი მხოლოდ 585 ათასი ამერიკული დოლარია.

რაც შეეხება მაიამის ტურნირის ფინალს ვაჟთა შორის, აქ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჯე ფედერერმა გაიმარჯვა. ფინალში მან ესპანელი რაფაელ ნადალი დაამარცხა. მარია შარაპოვამ კი ფინალში დამარცხების შემდეგ განაცხადა: "რა თქმა უნდა, პირობები იდეალურისგან ძალიან შორს იყო. მაყურებლისთვის ეს მატჩი არც ისე თვალსასეირო იქნებოდა. მე უბრალო დარტყმების შესრულებისას რაღაცნაირად უდიერი ვიყავი. ვფიქრობ, ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი. პირველ რიგში, ქულების ასაკრებად ჩემი შანსის გამოყენებას უნდა შევეჩვიო", - განაცხადა შარაპოვამ.



მარია შარაპოვა - საჩემპიონო რბოლის ახალი ლიდერი.

კიმ კლიისტერსის თამაშის კომენტირებისას კი უიმბლდონის ჩემპიონმა განაცხადა: "ის ჩოგბურთში პიროვნებაა. ამას გარდა, კორტზე შესანიშნავი მებრძოლია. მე ყველაზე მეტად უფრო იმან გამაოცა, რომ ეს ფინალი კიმისთვის ზედიზედ მე-14 იყო და მას საერთოდ არ ეტყობოდა დაღლილობა. ის ფიზიკურად უაღრესად ძლიერია და შეუძლია მთელი დღე ითამაშოს. კორტზე სირბილი მისთვის იგივეა, რაც ტორტის ჭამა".

ვაჟთა შორის გუშინ ერთბაშად ორი ტურნირი დაიწყო. ორივე მათგანი მნიშვნელობით და საპრიზო ფონდით დაახლოებით ერთნაირია. მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში ჰასან მეორის სახელობის ტურნირზე 323,250 ათასი დოლარი გათამაშდება, ხოლო პარალელურად ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში მიმდინარე შეჯიბრებაზე 340,250 ათას დოლარს გაითამაშებენ.

**პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი**

| ვაჟები: | | | საჩემპიონო რბოლა: | | | ქალები: | | | საჩემპიონო რბოლა: | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| როჯე ფედერერი | (შვეიცარია) | 6515 | როჯე ფედერერი | (შვეიცარია) | 450 | ლინდსი დევენპორტი | (აშშ) | 5233.00 | მარია შარაპოვა | (რუსეთი) | 1699.00 |
| ლეიტონ ჰიუიტი | (ავსტრალია) | 4270 | ლეიტონ ჰიუიტი | (ავსტრალია) | 253 | ამელი მორესმო | (საფრანგეთი) | 4992.00 | ლინდსი დევენპორტი | (აშშ) | 1614.00 |
| ენდი როდიკი | (აშშ) | 3460 | მარატ საფინი | (რუსეთი) | 215 | მარია შარაპოვა | (რუსეთი) | 4892.00 | სერენა უილიამსი | (აშშ) | 1523.00 |
| მარატ საფინი | (რუსეთი) | 3390 | რაფაელ ნადალი | (ესპანეთი) | 206 | სერენა უილიამსი | (აშშ) | 4223.00 | კიმ კლიისტერსი | (ბელგია) | 1237.00 |
| ტიმ ჰენმანი | (ბრიტანეთი) | 2275 | ენდი როდიკი | (აშშ) | 193 | ელენა დემენტიევა | (რუსეთი) | 3633.00 | ამელი მორესმო | (საფრანგეთი) | 1089.00 |
| გასტონ გაუდიო | (არგენტინა) | 2220 | ივან ლიუბიჩიჩი | (ხორვატია) | 192 | ანასტასია მისკინა | (რუსეთი) | 3427.00 | ალისია მოლიკი | (ავსტრალია) | 960.00 |
| კარლოს მოია | (ესპანეთი) | 2205 | ანდრე აგასი | (აშშ) | 155 | სვეტლანა კუზნეცოვა | (რუსეთი) | 3323.00 | ნატალი დეში | (საფრანგეთი) | 820.00 |
| დავიდ ნალბანდიანი | (არგენტინა) | 2055 | იოაჰიმ იოჰანსონი | (შვედეთი) | 115 | ვინუს უილიამსი | (აშშ) | 2628.00 | პეტი შნაიდერი | (შვეიცარია) | 797.00 |
| გილიერმო კორია | (არგენტინა) | 2045 | გასტონ გაუდიო | (არგენტინა) | 109 | ალისია მოლიკი | (ავსტრალია) | 2599.00 | ელენა დემენტიევა | (რუსეთი) | 697.00 |
| ანდრე აგასი | (აშშ) | 2045 | ნიკოლაი დავიდენკო | (რუსეთი) | 103 | ვერა ზვონარევა | (რუსეთი) | 2217.00 | ვინუს უილიამსი | (აშშ) | 583.00 |

ფორმულა 1

# ტრასაზე ფავორიტი გამოჩნდა

გიგა გურასაშვილი

"მალაიზიისა და ბაჰრეინის დიდ პრიზებზე" "რენოს" ესპანელ მრბოლს ფერნანდო ალონსოს მეტოქეთაგან სერიოზული წინააღმდეგობა რომ არ შეხვედრია, ფაქტია. ფრანგული საჯინიბოს მოწინააღმდეგეები "რენოს" სერიოზულად ჩამორჩებიან, ფრანგების დაწინაურებით კი, პირველ ყოვლისა, "ფერარი" და მისი გერმანელი მრბოლი მიხაელ შუმახერი უნდა წუხდნენ. მართალია, "რენოს" იტალიელმა მრბოლმა ჯანკარლო ფიზიკელამ ვერ შეძლო ბაჰრეინში კარგი შედეგი ეჩვენებინა, მაგრამ ფრანგები იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ ალონსომ გუნდი გამარჯვებამდე მიიყვანა, ამასთან, საკმაოდ იოლად. მხოლოდ ბაჰრეინის თაკარა მზით დარჩა უკმაყოფილო.

კვირას, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპის ძირითადი რბოლის დროს ჰაერის ტემპერატურა 42 გრადუსი იყო, ხოლო ტრასისა - 53.

"ეს იყო ყველაზე ცხელი რბოლა, რომელშიც კი ოდესმე მიმიღია მონაწილეობა. მანქანა კი ყველაფერზე ბრწყინვალედ რეაგირებდა. განსაკუთრებით პირველი პიტ-სტოპის შემდეგ, - რბოლის შემდეგ ამბობდა ალონსო. იქვე მიხაელ შუმახერიც ახსენა, რომელიც 12 წრის განმავლობაში ფეხდაფეხ მიჰყვებოდა "ბაჰრეინის დიდი პრიზის" გამარჯვებულს. - რამდენიმე წრის მანძილზე საინტერესო ორთაბრძოლა გვქონდა. ვფიქრობ, საწყის მონაკვეთში მიხაელი ჩემზე სწრაფი იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ გასწრება გაუჭირდებოდა, რადგან საწყისი მონაკვეთი ამის საშუალებას ნაკლებად იძლევა. ყოველ შემთხვევაში, ასეც რომ მომხდარიყო, თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ გრძელ მანძილებზე ჩვენ უფრო ძლიერები ვართ. ვიცოდი, რომ რბოლის დასასრულს მაინც ჩვენ ვიქნებოდით უძლიერესები...

ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი დროა. ჩვენ კი ყოველ ეტაპზე უკეთ და უკეთ გამოვალთ. "სან მარინოს დიდ პრიზზე" (24 აპრილი) ფავორიტის რანგში ჩავალთ. იმედი მაქვს, "ფერარი" საუკეთესო ფორმაში არ იქნება. მათ გააუმჯობესეს ახალი მანქანა, მაგრამ მეტის საშუალებას საბურავები არ აძლევთ".

ახლა იმაზე, თუ რა დაემართა შუმახერს, რომელმაც 12 წრის შემდეგ რბოლა შეწყვიტა. ირკვევა, რომ ტრასიდან ნაადრევად გადასვლა ყოფილა არა ტრასაზე მიმოფანტული უცხო საგნები, არამედ ახალი ბოლიდი - F2005. ყოველ შემთხვევაში, გუშინ შუმახერის ვებ-გვერდზე გაჩენილი ინფორმაცია, უფრო სწორად, მისივე აღიარება, ამაზე მიუთითებს.




ალონსო სან-მარინოში ფავორიტად ჩავა.

"თავდაპირველად მეგონა, რომ პირველი წრის შემდეგ ტრასაზე მიმოფანტულმა ნამსხვრევებმა დააზიანა ჰიდრავლიკა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. პრობლემა თავისთავად წარმოიქმნა".

ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, აღვნიშნავთ, რომ სამწელიწადნახევარია (ანუ "დიდი პრიზების" 58 გათამაშება), ტექნიკური პრობლემის გამო მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ტრასა არ დაუტოვებია.

მიუხედავად ამისა, შუმი ამბობს, რომ სეზონის ბოლომდე საკმაო დროა, წინ კიდევ 16 რბოლაა, ასე რომ, იქამდე ბევრი რამ შეიძლება მოხდესო.

შეგახსენებთ, რომ სკუდერიამ ახალი ბოლიდი პირველად ბაჰრეინში გამოაჩინა. არადა, პირვანდელი გეგმით, იტალიელებს F2005 "ესპანეთის დიდი პრიზზე", მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე ეტაპზე უნდა გაეყვანათ. სეზონი კი F2004-ის მოდიფიცირებული ბოლიდით დაიწყეს, იმ ბოლიდით, რომლითაც შარშან 18-დან 15 რბოლა მოიგეს.

ინფოთეკა

### "არსენალი" კოულის შეჩერებას ცდილობს

ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელობა თავისი ფეხბურთელის ეშლი კოულისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებს. მისი პირობების თანახმად, კოული კვირაში 70 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

როგორც ცნობილია, მცველის შეძენით დაინტერესებულია ლონდონის "ჩელსი". რამდენიმე ხნის წინათ კი კოულმა უარი თქვა "მეთოფეთა" შეთავაზებაზე, რომელიც კვირაში 45 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდას ითვალისწინებდა.

ახლანდელ კონტრაქტს 2007 წელს გასდის ვადა.

როგორც ჩანს, "არსენალის" ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს, ეშლი კოული გუნდიდან არ გაუშვას.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**სამშაბათი. 5 აპრილი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
13:55 "წვრილმანები". მსოფლიო ჩემპიონატი 2006. უკრაინა - დანია
14:25 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:20 თავისუფალი დარტყმა
15:35 გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "შტუტგარტი"
17:15 "საფეხბურთო უიკ-ენდი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
18:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ოსერი" - "ნანტი"
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:20 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ლივერპული" - "იუვენტუსი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ლიონი" - პსვ. პირველი მატჩი

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:15, 19:15, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "სარკის წინ"
11:15 წყალში ხტომა. ჩინეთის დიდი პრიზი. ქალები. ტრამპლინი 3 მ. სინქრონული ხტომები. ქალები. კოშკურა. სინქრონული ხტომები. ვაჟები. ტრამპლინი 3 მ. ფინალები
13:35 "რკინის ფაქტორი". დიდი პრიზი. მისტერ ოლიმპია 2004
14:20 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. გადამწყვეტი მატჩები
16:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ბაჰამის კუნძულებზე. გადაცემა მეორე
17:00 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "BERLIN THUNDER" - "FRANKFURT GALAXY"
19:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპები შვედეთში
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჩვენი ჰოკეი პლუსზე
22:15 ფიგურული სრიალი. ანდრეა ბოჩელის შოუ
23:10 თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიო თასი ტაშკენტში
23:40 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპები შვედეთში
00:15 ახალი ამბები
00:30 ბილიარდი. პირამიდა. რუსეთის ჩემპიონატი სანქტ-პეტერბურგში. ნაწილი მეორე

**EUROSPORT**

10:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:00 ფეხბურთი - ევროგოლები
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. რჩეული
13:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. შვედეთი - ნორვეგია
15:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
16:00 ფეხბურთი - ევროგოლები
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. რჩეული
18:00 ველოსპორტი. ბასკთა ქვეყნების ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
20:00 ფეხბურთი - გ-ო-ო-ოლ!!!
20:15 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. შოტლანდია - აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი ირლანდიაში
02:00 ავტოსპორტი. სატვირთო ავტომობილების კლასის ევროპის თასი ესპანეთში
02:30 ახალი ამბები
02:45 თავგადასავალი
03:15 მულტისპორტი. იტალია-2006

# სიმსუქნის ეპიდემია

ცივილიზაციამ და კომფორტისკენ სწრაფვამ ბევრი კარგი მოუტანა თანამედროვე საზოგადოებას, მაგრამ, ამასთანავე, ახალი პრობლემებიც შეუქმნა. ერთ-ერთ ასეთ სერიოზულ პრობლემად იქცა სიმსუქნე, რომელიც თანდათან ეპიდემიის სახეს იღებს.

სიმსუქნე არის ორგანიზმში ჭარბი რაოდენობით ცხიმოვანი ქსოვილის არსებობა. სიმსუქნე (და თამბაქოს წევა) სიკვდილიანობისა და ავადმყოფობის ის მიზეზებია, რომელთა თავიდან აცილება მთლიანად ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული.

სიმსუქნის განსაზღვრა არა მარტო ვიზუალური და სუბიექტური შეფასებით ხდება, არამედ ობიექტურადაც. მის განსასაზღვრად შემოღებულია ე.წ. **სხეულის მასის ინდექსი** (BMI), რომელიც ითვლება შემდეგნაირად: სხეულის წონა კილოგრამებში გაყოფილი სიმაღლის კვადრატზე მეტრებში. სხეულის მასის ინდექსის მონაცემები ასე ფასდება:

| | |
|---|---|
| ნორმალური | 18,5-24,9 |
| I ხარისხის სიმსუქნე/ჭარბწონიანობა | 25-29,9 |
| II ხარისხის სიმსუქნე | 30-34,9 |
| III ხარისხის სიმსუქნე | 35-39.9 |
| IV ხარისხის სიმსუქნე | 40-ზე მეტი |

თუ ადამიანის წონა არის 80 კგ, მისი სიმაღლე - 1მ 70სმ, მაშინ მისი სხეულის მასის ინდექსი იქნება 80 : 1,7 X 1,7 = 27,6, რაც სიმსუქნის I ხარისხს (ჭარბწონიანობას) ნიშნავს. მარტო სიმაღლის მიხედვით გამოთვლილი "იდეალური" წონის ცხრილები ნაკლებ ინფორმატიულია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სხეულის მასის ინდექსი არ არის სხეულში ცხიმის პროცენტული რაოდენობა.

სტატისტიკური მონაცემებით, აშშ მოსახლეობის 34 პროცენტს აქვს ჭარბი წონა ანუ I ხარისხის სიმსუქნე, 31 პროცენტს II და III ხარისხის სიმსუქნე, ხოლო 4,7 პროცენტს - IV ხარისხისა. სიმსუქნის ეპიდემია (ძნელია უფრო შესაფერისი სიტყვა იპოვო) უკანასკნელ რამდენიმე ათწლეულში დიდი სისწრაფით ვრცელდება არა მარტო მოზრდილებში, არამედ ბავშვებშიც. ეს ხდება არა მარტო აშშ-ში, არამედ ევროპაშიც. მაგალითისათვის, ინგლისში ამ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე გაორმაგდა მსუქან ადამიანთა რიცხვი.

საინტერესოა, რომ განვითარებად ქვეყნებში, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური პირობებისა, მსუქანი ადამიანების რიცხვი უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

სიმსუქნე ესთეტიკურზე უფრო სამედიცინო პრობლემაა. წონის მატებასთან ერთად იზრდება სიკვდილიანობის რისკი; სიმსუქნესთანაა დაკავშირებული ჰიპერტონიული დაავადება, II ტიპის დიაბეტი, გულის დაავადებები, ნაღვლ-კენჭოვანი დაავადებები, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლილობები, ართრიტები, მკერდის, პროსტატის, კუჭ-ნაწლავის სიმსივნეები.

დიდ ბრიტანეთში წელიწადში 30 000 ადამიანი კვდება სიმსუქნის შედეგად გამოწვეული დაავადებებით.

წონის მომატების მიზეზი ერთი შეხედვით მეტად მარტივია: ადამიანი საკვების სახით იღებს უფრო მეტ ენერგიას, ვიდრე ხარჯავს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამ პრობლემის ეს ორი ფაქტორი, თავის მხრივ, ბევრ რამეზეა დამოკიდებული: იმაზე, თუ რას ვჭამთ, რა რაოდენობით, რა სიხშირით, როგორია ჩვენი გენეტიკა, აღზრდა, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, გუნება-განწყობა, სამსახური, კლიმატი, ქალაქში ვცხოვრობთ თუ სოფელში, ვიყენებთ თუ არა სატრანსპორტო საშუალებებს და ა.შ.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ იგი ყოველთვის ცდილობს "შავი დღისთვის" გადაინახოს ცხიმი. ამის მექანიზმები ადამიანის ორგანიზმს ევოლუციურად ჩამოუყალიბდა ასეული ათასობით წლის განმავლობაში, საკვების ქრონიკული ნაკლებობის პირობებში. დაგროვილი ცხიმის "დათმობა" ორგანიზმს ძალიან უჭირს, რადგან ეს მისთვის ენერგიის ერთადერთი მარაგია და სხვადასხვა მექანიზმს რთავს, რათა ცხიმის დაკლება თავიდან აიცილოს. ამიტომ არის წონის დაკლება ასე ძნელი.

დღევანდელი ადამიანი ბიოლოგიურად დიდად არ განსხვავდება თავისი წინაპრისაგან, მაგრამ გარემო, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, მკვეთრად შეიცვალა უკანასკნელ წლებში. შეიძლება ითქვას, რომ სიმსუქნე ჩვენი ბიოლოგიისა და ახლანდელი გარემოს, ახალი ცხოვრების წესის შეუსაბამობის შედეგია.

უმოძრაო ცხოვრება, ადვილად მისაწვდომი მაღალკალორიული საკვები, ტკბილი გამაგრილებელი სასმელებისა და "სწრაფი კვების" პროდუქტების სიმრავლე - არასრული ჩამონათვალია სიმსუქნის ხელშემწყობი ფაქტორებისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში სიმსუქნე შეიძლება იყოს გამოწვეული ენდოკრინული სისტემის დაავადებით ან რომელიმე სამკურნალო პრეპარატის (მაგ., სტეროდების) გვერდითი მოვლენა იყოს. ამიტომ, დიდი სიმსუქნის შემთხვევაში პირველ რიგში აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.




წონის დაკლების უამრავი მეთოდია ცნობილი: სხვადასხვა ტიპის დიეტა, ვარჯიშები, წამლები და უკიდურესი სიმსუქნის შემთხვევაში - კუჭის ქირურგიული "დაპატარავება".

უკვე ის ფაქტი, რომ ასე ბევრი საშუალება არსებობს, იმას მეტყველებს, რომ არც ერთი არ არის ბოლომდე წარმატებული.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ყველაზე მარტივი და ეფექტური (ყველაზე იაფიც), თუმცა შესასრულებლად ყველაზე ძნელი არის ნაკლები კალორიების მიღება და ფიზიკური დატვირთვის გაზრდა. ეს არის უტყუარი მეთოდი, რომელიც ყოველთვის შედეგიანია, თუმცა ადამიანები, როგორც ყოველთვის, სწრაფ და შესასრულებლად უფრო მარტივ მეთოდებს ეძებენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ წონის დაკლება არ არის ერთჯერადი მოვლენა, ის ცხოვრების წესის სამუდამო შეცვლას მოითხოვს.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ზემოაღნიშნული წონის დაკლების საშუალებები.

1. დიეტა - სხვადასხვა ტიპის დიეტა არსებობს (აქ მხოლოდ მიღებულ, დიეტოლოგთა/ექიმების მიერ აღიარებულ ტიპებს ვგულისხმობთ და არა საეჭვო წარმომავლობის "უებარ რეცეპტებს"), რომელთა შედარებამ ვერც ერთის უპირატესობა ვერ დაადასტურა. მთავარია არა დიეტის სახეობა, არამედ არჩეული დიეტის შესრულება. დიეტა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს შემცირებული რაოდენობის კალორიების მიღებას (შენიშვნის სახით: გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჯანმრთელობისთვის დაბალცხიმიანი დიეტა უკეთესია).

2. ვარჯიში - ყველაზე ეფექტურია, სასარგებლოა არა მარტო წონის დასაკლებად, არამედ ზოგადად ჯანმრთელობისთვის.

3. მედიკამენტები - ამჟამად გამოყენებული წამლებიდან აღვნიშნავ ორს: Sibutramine (Meridia) (10-20მგ დღეში) - მოქმედებს თავის ტვინზე, ამცირებს მადას, რაც წონის დაკლებას იწვევს (საშუალოდ 4,3 კგ-ს ერთ წელიწადში). გვერდითი მოვლენები: ჰიპერტონია, პირის სიმშრალე, უძილობა, გულისრევა, ყაბზობა.

Orlistat (Xenical) (120მგ 3X დღეში) - ბლოკირებას უკეთებს ცხიმის შეწოვას (2,8-4კგ წონის დაკლება წელიწადში). გვერდითი მოვლენები: კუჭის აშლილობა, უნებლიე დეფეკაცია.

არსებობს აგრეთვე, მცენარეული წარმოშობის სტიმულანტი Ephedra, რომლითაც 0,6-1 კგ წონის დაკლება შეიძლება თვეში. ძალიან სერიოზული გვერდითი მოვლენები აქვს: მაღალი წნევა, ტაქიკარდია, აფორიაქების გრძნობა და ა.შ.

**წამლების შეწყვეტის შემდეგ ადამიანი ძალიან ადვილად იმატებს და უბრუნდება თავის ძველ წონას.**

4. ქირურგიული - კუჭის მოცულობის შემცირება ოპერაციული ჩარევის შედეგად. ეს სერიოზული ოპერაციაა და უკიდურესი ზომაა, რომელსაც უკიდურესი სიმსუქნის შემთხვევაში მიმართავენ, მას შემდეგ, რაც სხვა საშუალებებით ვერაფრით ვერ ახერხებს პაციენტი წონის დაკლებას. გახდომის თვალსაზრისით ეფექტურია - ადამიანს მხოლოდ პატარა ულუფების ჭამა შეუძლია, რადგან კუჭი დაპატარავებული აქვს. ამ ოპერაციას, ისევე როგორც მუცლის ღრუს სხვა ოპერაციებს, სხვადასხვა სერიოზული გართულება აქვს. გარდა ამისა, ხშირად იწვევს მუდმივი შიმშილის გრძნობას და გულის რევის შეგრძნებას.

ახლა ცოტა რამ წონის დაკლების ფიზიოლოგის შესახებ.

საერთო ენერგია, რომელსაც ადამიანი ხარჯავს, ორ ნაწილად იყოფა: პირველი, ეს არის ენერგია, რომელიც ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებს ხმარდება (სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, სხეულის ტემპერატურის შენარჩუნება) და რასაც ძირითადი ცვლა ეწოდება; მეორე კი არის ენერგია, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას ხმარდება.

ძირითადი ცვლის გამოთვლა ქვემოთ მოყვანილი ფორმულით შეიძლება.

### ძირითადი ცვლის ფორმულა:

**მამაკაცები** = 66 + (13,7 X წონა კგ) + (5 X სიმაღლე სმ) - (6,8 X ასაკი წლებში)

**ქალები** = 655 + (9,6 X წონა კგ) + (1,8 X სიმაღლე სმ) - (4,7 X ასაკი წლებში)

დღის განმავლობაში დახარჯული საერთო ენერგია კი შეიძლება დაახლობით გამოითვალოს ქვემოთ მოყვანილი ფორმულებით სხვადასხვა ფიზიკური აქტიურობის ადამიანებისთვის.

### საერთო ენერგიის ხარჭვის ფორმულა:

პასიური (არავითარი ვარჯიში, მჯდომარე სამსახური) = ძირითადი ცვლა X 1,2 ;

დაბალი აქტიურობა (მსუბუქი ვარჯიში 1-3-ჯერ კვირაში) = ძირითადი ცვლა X 1,375;

საშუალო აქტიურობა (საშუალო ინტენსიობის ვარჯიშები 3-5-ჯერ კვირაში= ძირითადი ცვლა X 1,55;

მაღალი აქტიურობა (მაღალი ინტენსიობის ვარჯიშები 6-7-ჯერ კვირაში=ძირითადი ცვლა X 1,725 ;

მეტად მაღალი აქტიურობა (მაღალი ინტენსიობის ვარჯიშები და მძიმე ფიზიკური შრომა ან დღეში ორჯერ ინტენსიური ვარჯიში)=ძირითადი ცვლა X 1,9.

უფრო ზუსტად თუ გაინტერესებთ, რამდენი ენერგია იხარჯება სხვადასხვა სახის ფიზიკური მოქმედების შედეგად, ეს შეგიძლიათ ნახოთ ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში: "ერთ წუთში დახარჯული ენერგია კალორიებში ადამიანის წონის მიხედვით". ცხრილი ასახავს, რა ენერგიას ხარჯავს სხვადასხვა წონის ადამიანი 1 წუთის განმავლობაში. ამდენად, თუ იცით, რამდენ ხანს გრძელდება თქვენი ფიზიკური დატვირთვა, ძალიან მარტივად შეგიძლიათ გამოთვალოთ, რამდენ ენერგიას ხარჯავთ მის შესრულებაზე.

ერთ წუთში დახარჯული ენერგია კალორიებში ადამიანის წონის მიხედვით

| | | 60კგ | 70კგ | 80კგ | 90კგ | 100კგ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიარული | 3.2 კმ/სთ | 3,1 | 3,7 | 4,3 | 4,9 | 5,5 |
| | 4 კმ/სთ | 3,8 | 4,5 | 5,2 | 5,9 | 6,6 |
| | 4.8 კმ/სთ | 4,9 | 5,5 | 6,1 | 6,7 | 7,3 |
| | 5,6 კმ/სთ | 5,6 | 6,3 | 7,0 | 7,7 | 8,4 |
| | 6,4 კმ/სთ | 6,3 | 7,1 | 7,9 | 8,7 | 9,5 |
| სირბილი | 8,3 კმ/სთ | 8,3 | 9,6 | 10,9 | 12,2 | 13,5 |
| | 11 კმ/სთ | 12 | 13,7 | 15,4 | 17,4 | 19,1 |
| | 12 კმ/სთ | 13,1 | 14,8 | 16,5 | 18,2 | 19,7 |
| | 13,6 კმ/სთ | 14,5 | 16,2 | 17,9 | 19,6 | 21,3 |
| | 16 კმ/სთ | 16,2 | 17,9 | 19,6 | 21,3 | 23,0 |
| | 17,6 კმ/სთ | 17,9 | 20,5 | 23,1 | 25,7 | 28,3 |
| კალათბურთი | | 8,8 | 10,3 | 11,8 | 13,3 | 14,8 |
| ფეხბურთი | | 8,7 | 9,8 | 10,9 | 12 | 13,1 |
| ცურვა | ბრასით | 10,2 | 11,6 | 13 | 14,4 | 15,8 |
| | თავისუფალი სტილით | 7,6 | 9,1 | 10,6 | 12,1 | 13,6 |
| ჩოგბურთი | | 6,7 | 7,7 | 8,7 | 9,7 | 10,7 |
| მაგიდის ჩოგბურთი | | 4 | 4,7 | 5,4 | 6,1 | 6,8 |
| ბილიარდის თამაში | | 2,5 | 3,0 | 3,5 | 4,0 | 4,5 |
| შეშის ჩეხვა სწრაფი | | 17,5 | 21,1 | 23,8 | 26,4 | 29,1 |
| წერა | | 1,8 | 2,1 | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| კომპიუტერზე ბეჭდვა | | 1,6 | 1,9 | 2,2 | 2,5 | 2,8 |
| ავტომობილის რეცხვა | | 4,2 | 5,0 | 5,8 | 6,6 | 7,4 |



კალორიების რაოდენობა 100გრ /100მლ

| | | |
|---|---|---|
| კარაქი 714 | ხორცი გაცხიმოვნებული 288 | ნიგოზი (/ნუში) 630 |
| ზეთი მცენარეული 900 | სუკი უცხიმო 200 | ვაშლი 56 |
| რძე 60 | სოსისი 323 | ბანანი 90 |
| რძე უცხიმო 35 | ქათმის თეთრი ხორცი 165 | ყურძენი 70 |
| მაწონი 60 | არათეთრი 204 | ფორთოხალი 45 |
| არაჟანი 211 | თევზი ორაგული 152 | ქიშმიში 300 |
| ყველი სულგუნი 246 | კალმახი 116 | საზამთრო 32 |
| ყველი იმერული 240 | მაკდონალდსი: | მანდარინი 45 |
| ყველი ბრინზა 246 | ჰამბურგერი 270 | მსხალი 60 |
| ყველი შვეიცარული 376 | ჩიზბურგერი 320 | ატამი 42 |
| ყველი ჩეჩილი 387 | ბიგ მაკი 530 | კარტოფილი 84 |
| კვერცხი (1 ცალი) 70 | კარტოფილი ფრი 480 | პამიდორი 22 |
| ნაყინი 200 | ღვინო 70 | სტაფილო 42 |
| პური 250 | ლუდი 42 | სოკო 22 |
| ბრინჯი 359 | არაყი 247 | ხახვი 35 |
| მაკარონი 352 | კოკა კოლა 42 | |
| წიწიბურა 350 | | |

მაგალითისათვის ავიღოთ ქალბატონი, რომლის წონა არის 80 კგ, სიმაღლე კი 1მ 65სმ. მისი სხეულის მასის ინდექსი იქნება 80:1,65X1,65=30,11, რაც II ხარისხის სიმსუქნეა.

მისი ძირითადი ცვლა იქნება:

655 + (9,6 X 80) + (1,8 X 165) - (4.7 X 50) =1485

მისი ცხოვრების წესი პასიურია, ე.ი. იგი დღეში ხარჯავს 1485X1,2=1782 კალორიას. იმისათვის, რომ მან წონა დაიკლოს, უნდა შეიქმნას კალორიების დეფიციტი. აღსანიშნავია, რომ 1 კგ ცხიმის დაკლებას 7700 კალორიის დაკარგვა სჭირდება. ამ ქალბატონს სამი გზა აქვს წონის დასაკლებად:

1. გაზარდოს ენერგიის ხარჯვა;

2. შეამციროს მიღებული კალორიების რაოდენობა;

3. მიმართოს პირველი ორის კომბინაციას, რაც ყველაზე ეფექტურია.

საჭმლის კალორიების დათვლა დღევანდელ პირობებში ძალიან ადვილია.

კალორიებს ჩვენ ვღებულობთ ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების სახით. 1 გრამი ცილა იძლევა 4 კალორიას, 1 გრამი ცხიმი - 9 კალორიას, ხოლო 1 გრამი ნახშირწყალი 4 კალორიას. მკითხველს ქვემოთ ვთავაზობთ ცხრილს, სადაც მაგალითისთვის ზოგი საკვების კალორიული ფასეულობაა მოცემული 100გ პროდუქტზე ან 100მლ სითხეზე.

თუ ქალბატონი მიიღებს 1500 კალორიას დღეში, მისი დღევანდელი პასიური ცხოვრების წესის შენარჩუნების შემთხვევაში, 1კგ ცხიმის დაკლებას დასჭირდება დაახლოებით 27 დღე, ხოლო თუ იგი ფიზიკურ დატვირთვას გაზრდის საშუალო აქტიურობის დონემდე, იგი დღეში დახარჯავს 2300 კალორიას (იგივე 1500 კალორიის საკვების მიღებისას) და 1 კგ ცხიმის დაკლებას მხოლოდ 10 დღეს მოანდომებს. ხოლო თუ ის თავისი წონით კმაკოფილია, მაშინ წონის შესანარჩუნებლად 1782 კალორიაზე მეტი არ უნდა მიიღოს.

დაბოლოს, რამდენიმე პრაქტიკული რჩევა.

საკვების მიღების უეცრად და მკვეთრად შემცირებას ორგანიზმი ძირითადი ცვლის შემცირებით პასუხობს და ამით ენერგიის კონსერვაციას ახდენს.

წონის დაკლების შემდეგ უნდა გაზარდოთ დატვირთვა, რადგან ახალი წონით თქვენ უკვე იმავე დროში ნაკლებ ენერგიას ხარჯავთ.

ოპტიმალურია კვირაში 0,5კგ-დან 1კგ-მდე წონის დაკლება, მასზე მეტი ჯანმრთელობსთვის საზიანო შეიძლება იყოს.

არა აქვს მნიშვნელობა ერთჯერადად ივარჯიშებთ 1 საათს თუ ოც-ოც წუთს სამჯერ დღეში. ეფექტი ერთი იქნება, რადგან აქ მთავარია დახარჯული ენერგიის საერთო რაოდენობა.

თანაბარი სიმსუქნის შემთხვევაში, სხეულის "მსხლისებრი კონფიგურაციის" (თეძოების გარშემოწერილობა მუცლისაზე მეტია) მქონე ადამიანებს ნაკლები საშიშროება აქვთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა, ვიდრე "ვაშლისებრი კონფიგურაციის" (თეძოების გარშემოწერილობა მუცლისაზე ნაკლებია) მქონეთ.

ზოგადად, თუ მუცლის გარშემოწერილობა აღემატება 102სმ მამაკაცებში, და 90სმ ქალებში, ეს პრობლემის არსებობაზე მიუთითებს.

გახსოვდეთ, რომ ფიზიკური ვარჯიშის შედეგად გარკვეულ დროს წონის დაკლება არ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ცხიმი იკარგება. ამის მიზეზი არის კუნთის ზომაში გაზრდა. კუნთის ხვედრითი წონა ცხიმისაზე მეტია - კუნთი უფრო მძიმეა და მოცულობით კომპაქტური, ხოლო ცხიმი მოცულობით არის დიდი. ამიტომ გირჩევთ, რომ გაიზომოთ მუცლის, თეძოების, ბარძაყის გარშემოწერილობა და მათი შემცირებით იმსჯელოთ თქვენს პროგრესზე (პროგრესს ტანსაცმლის ზომის შემცირებითაც შეამჩნევთ).

კუნთის ზომაში გაზრდა იმითიცაა სასარგებლო, რომ ძირითად ცვლას ადიდებს და ამდენად მოსვენების პერიოდშიც მეტი კალორიები გეხარჯებათ.

ვარჯიშის შედეგად ცხიმი კუნთად არ გარდაიქმნება, ასევე უვარჯიშობის შედეგად კუნთი ცხიმად არ იქცევა, უბრალოდ მისი ატროფია ხდება.

შეუძლებელია ცხიმის მხოლოდ ან უპირატესად გარკვეული ადგილებიდან დაკარგვა. ცხიმის დაკარგვა ხდება მთელი ორგანიზმიდან მეტ-ნაკლებად თანაბრად და ინდივიდუალურია თითოეული ადამიანისთვის.

მაგალითად მუცლის შეფუთვა ან მხოლოდ მუცლის კუნთების ვარჯიში მხოლოდ მუცლიდან ცხიმს არ მოგაშორებთ. ორგანიზმი ზოგ ცხიმს ძალიან ძნელად ელევა, ზოგადად წელსზემოთ უფრო ადვილად იკარგება ცხიმი, ვიდრე წელსქვემოთ.

დღეში ზედმეტი 100 კალორია (რაც 40გრ პურია ან 100მლ კოკა კოლა), 1 წლის განმავლობაში 4,7 კგ ცხიმია, რომლის დასაწვავადაც 70კგ წონის ადამიანმა 600კმ უნდა გაიაროს.

ვიტამინები წონის არც მომატებას და არც დაკლებას არ იწვევს - მათ არავითარი კალორიული შემცველობა არა აქვთ

წონის 10 პროცენტის დაკლება შედარებით ადვილია, ამის შემდეგ ორგანიზმი რთავს დამცავ მექანიზმებს, რათა შეამციროს ცხიმის დაკარგვა და ამ მექანიზმის დათრგუნვა მეტ ძალისხმევას მოითხოვს. გულს ნუ გაიტეხთ, თუ ცოტა ხნით დაკლების მაგივრად, მიღწეული წონის შენარჩუნებაზე უნდო იზრუნოთ. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ შეძლებთ ახალი 10 პროცენტიანი დაკლების ციკლის დაწყებას.

გახსოვდეთ, რომ თუ დიეტის, აბის ან სავარჯიშო დანადგარის რეკლამა მალე და უპრობლემოდ წონის დაკლებას გპირდებათ, ეს, როგორც წესი, სიმართლეს არ შეეფერება. ასეთი ჯადოსნური საშუალებები რომ არსებობდეს, მთელი მსოფლიო ამაზე ალაპარაკდებოდა და არც სიმსუქნის პრობლემა დადგებოდა და არც დღევანდელი წერილის აუცილებლობა აღარ იქნებოდა.

საინტერესოა ისიც, რომ კოსმეტიკური პროცედურის, ლიპოსაქციის შედეგად სხეულის გარკვეული ნაწილებიდან ცხიმის ერთბაშად მოშორება ჯანმრთელობას არ აუმჯობესებს (და ცხიმის კვლავ დაგროვების თავიდან ასაცილებლად ისევ ვარჯიში და კვების რეჟიმის დაცვაა საჭირო), მაშინ როდესაც "ოფლის ღვრითა და თვითშეზღუდვით" დაკლებული წონა ჯანმრთელობას საგრძნობლად აუმჯობესებს.

წონის დაკლება არა მარტო გარეგნობას ცვლის, არამედ ახანგრძლივებს ცხოვრებას, აუმჯობესებს გუნება-განწყობას, პროფილაქტიკას წარმოადგენს ბევრი დაავადებისა, რომელთა აცილება ნამდვილად ღირს დღეში ნახევარსაათიან ვარჯიშად და ჭამით მოგვრილი დიდი სიამოვნების ზომიერამდე შეზღუდვად.

სახელი ____________ მისამართი ____________

გვარი ____________

ასაკი ____________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____________

სიმაღლე ____________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**[illegible]**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაახლოებით [illegible] ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, [illegible] ფოტოსურათის უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



მაღალი კლასის მოდელიერი

- პორტის სამხრეთით მოქცეული წყლის სივრცე
- წამლის გუროვლა / IV თვე
- ალპინისტის ფეხსაცმელი / *** პეიზაჟალი
- ამერიკ. ჯაზის ჟანრი / გერმანელი მწერალი
- ნიუტონის სახელი
- ფრანგი ავტომრბოლელი
- აშშ-ს საკალათბურთო ასოციაცია
- იუპიტერის თანამგზავრი
- ცისკრის საფრენი
- პატარა საწნახელი
- მეფენის ნორჩი ტოტი / ომის ბერძენი ღმერთი
- ცხენის ხორცის კერძი / საწინააღმდ. ხასიათის არსება
- ინდოელი ქალის კაბა
- ამომავალი მზის ქვეყანა
- არჩეული წარმომადგენელი
- დიდი იტალიელი მევიოლინე
- ჩრდ. ირლანდ. ტერორ. ორგ. / ფეხი, კიდური
- სპარს. ალფავ. ასოები / *** -მაკალე
- სოფხეთი-რუსულად / *** დე-ჟანეირო
- არაბული გვარი
- მუსიკის მუზა
- განვითარების უმაღლესი წერტილი
- ზაქარიაძის პერსონაჟი "მეხუთე წარსულიდან"
- კორეული ავტომობილი
- ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადება
- მედიცინის ალბ. წინაპარი / მეფისტოფელის სახელი
- ქენიების მოდუნება
- ხარებთან ბრძოლა
- სიხარული ინგლისურად
- ლათინური ანბანის ასო
- პლატონის სამანიშნელის სიმე
- სოფელი გორის რაიონში
- ტრამის ქალის სახელწოდება
- საბერძნეთის ფეხბურთის გუნდი
- ახალი კარგად ვის

წინა სკანვორდის პასუხები: (სურათზე: მანუსკრიპტი) [illegible]

## TV პროგრამა

5 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ჯეტიქსი **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "პლუმბუმი ანუ სახიფათო თამაში" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთი **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ჯეტიქსი **18.30** პატრული **18.55** ხალხის პირისპირ **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "ლივერპული" -"იუვენტუსი" **02.00** ჩემპიონთა ლიგა. "ლიონი" -"ეინდჰოვენი" **03.45** პატრული

### ჯისტ

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

### [პირველი არხი]

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "33 საუკუნის შემდეგ" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (კვებეკი) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ" 1-ლი ს. **19.40** სასამართლო დარბაზებში **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "კოსმოსური ოდისეა" **23.00** პროფესიონალი - ნავთობის მოპოვება **23.30** მხ. ფილმი "კოლხური ბალადა" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 17.20, 00.30** ტუწ-ემ **15.45** საქმე და ეკონომიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "სამარხების მძარცველნი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** დოკ. ფილმი "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** ბალეტი "ფასკუნჯი" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "ცხოველთა დიალოგი", "უშვილო", "სტიპენდიანტები". **23.45** მხ. ფილმი "ყველა ადამიანი მოკვდავია" (გ) (ირენ ჟაკობი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.25** დოკ. ფილმი "მუსიკის ქალაქი" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **21.45** სპექტაკლი "საბა ტაბიძის ორშაბათები" **22.55** კინოსეანსი "თემო"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **12.20, 17.10, 03.40** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.10** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ცეცხლოვანი უდაბნო" 1-2 ს. (ე. დელონი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **23.00** პირველები **00.05** მხ. ფილმი "მკვლელებად დაბადებულნი" (18) (ვ. ხარელსონი) **02.05** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი "ჰენრი მე-8" მე-2 ნაწ. (გან.) **11.30** სათავგადასავლო ფილმი "რობინზონ კრუზო" 2 ნ. **13.15** მუს. კომედია "ქალებს გაუფრთხილდით" 1 ნ. **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მხ. ფილმი "მეფური წყალობა" **17.00** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** ბოევიკი "სხვის რიგში" **22.50** "ქოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფორმაციო დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "გახსოვდე!"

### ОРТ

**06.00** Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Алла Ларионова в фильме **"ДИКИЙ МЕД". 14.00** "Идолы". "Грейс Келли - принцесса Монако". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Валерий Николаев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ".** Закл. с. **16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Тринадцатый дракон". **1**-2 с. **19.50** Анатолий Лобоцкий в сериале **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 21.00** Время. **22.40** Спецрасследование. "Мир кожи и меха". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Неизвестный Олег Ефремов". **1**-я с. **0.30** Док. сериал "Оружие Второй мировой войны". **1.00** Жерар Депардье в триллере **"ГОРОД ПРИЗРАКОВ".** После неудавшейся аферы, нью-йоркский мошенник Джимми Кремминг, скрываясь от американского правосудия, добирается до Бангкока. Там он узнает, что его компаньон Марвин, сбежавший в Юго-Восточную Азию в месте с его "законной долей", был замечен в Камбодже. Джимми решает отправиться на поиски Марвина, чтобы раз и навсегда уладить все дела... **03.10** Кристофер Мерни в боевике **"ПОСЛЕДНИЙ ДРАКОН" 05.10** Искатели. "Свидетель великой осады".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.45** "Сегодня" **10.15** Профессия - репортер. **10.50** Сериал **"СЛЕПОЙ". 11.55** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 13.35** Чистосердечное признание. **14.05** Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 3-й. **"ВОСТОЧНЫЙ РУБЕЖ". 1**-я с. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.35** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 20.40** Сериал **"СЛЕПОЙ". 6**-я с. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.35 Футбол.** Лига чемпионов. "Ливерпуль" (Англия) - "Ювентус" (Италия). Прямая трансляция. **01.00** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 02.05** "Футбольный клуб" с Василием Уткиным. **02.50** Бильярд. **03.10** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 05.00** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2". 05.50** Чрезвычайное происшествие.

# აჭარული სილამაზე

## "მის აჭარა 2005" - ზღვისა და კონკურსანტთა მღელვარების თანხლებით





"მის აჭარა 2005" - ინგა კონცელიძე

ია ვეკუა

2 აპრილამდე ბათუმელი ინგა კონცელიძე 18 წლის რიგითი აბიტურიენტისთვის შესაფერისად ცხოვრობდა და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მალე (ცოტა ხნით, მაგრამ მაინც) მის შესახებ ნახევარი აჭარა ალაპარაკდებოდა. იგი "მის აჭარა 2005-ის" გამარჯვებული გახდა, რასაც დედოფლობაზე მეოცნებე დანარჩენი 15 გოგონას, ალბათ, ნაკლებად სასიამოვნო განწყობის სანაცვლოდ მიაღწია. კონკურსზე მიწვეულმა სომეხმა სილამაზისმცოდნემ კი იქვე არაოფიციალურად დააფიქსირა, რომ ინგა სრულიად მოკლებულია სილამაზის საერთაშორისო სტანდარტებს.

"მის აჭარა 2005" ნაციონალური მოძრაობის ეგიდით, სადაზღვევო კომპანია GPI-ს დაფინანსებითა და შალვა სადალაშვილის ორგანიზებით ჩატარდა. იმისთვის, რომ თავი ბნელ ოთახში არ იგრძნოთ, შეგახსენებთ - ეს უკანასკნელი "მის ამიერკავკასიისა" და კიდევ რამდენიმე ლიცენზირებული "მისის" სულისჩამდგმელი და სტანდარტული სილამაზის ერთ-ერთი ცნობილი შემფასებელია.

სილამაზის კონკურსზე მონაწილეობის მსურველთა ოჯახებში კარგად მუშაობს ყვავისა და ბახალას ურთიერთობის პრინციპი. სწორედ ამიტომაა საჭირო ე. წ. შესარჩევი ეტაპი, რომელიც კონკურსში მონაწილეთა რაოდენობას აბალანსებს და ჟიურის ნაკლებ თავსატეხს უტოვებს. წელს "მის აჭარას" ტიტულს 15 ბათუმელი და ქობულეთელი გოგონა ეცილებოდა ერთმანეთს. მათი ასაკი ოფიციალურად 16-25 წელი იყო, თუმცა, "სრულიად შემთხვევით" 14 წლის მონაწილეც გამოერია. საერთაშორისო სტანდარტებით, სილამაზის კონკურსზე ამ ასაკის გოგონას მონაწილეობა იკრძალება (ფიზიოლოგიური მოუმწიფებლობის გამო). შალვა სადალაშვილმა კი ეს ფაქტი სრულიად წარმოუდგენელი ფრაზით ახსნა: "მის აჭარა" არ კრძალავს 14 წლის კონკურსანტის მონაწილეობას". რას იზამ - იგი კონკურსის ლიცენზიის მფლობელია და წესებსაც თავად ადგენს!

მსოფლიოში გავრცელებულია აზრი, რომ სილამაზის კონკურსები ერთი დიდი მაფიაა. საერთაშორისო კონკურსების უმეტეს შემთხვევაში წინასწარვეა ცნობილი, რომელი ქვეყნის წარმომადგენლის გამარჯვება "აწყობს" ორგანიზატორსაც და დანარჩენ მსოფლიოსაც. ხოლო როდესაც ადგილობრივ (ანუ ქართულ) კონკურსს ეხება საქმე, აქ მთავარ "შემფასებლად" გვევლინება ფული, ნაცნობობა, საგვარეულო კლანის გავლენა და სხვა ფაქტორები.

ინგა კონცელიძეზე მხოლოდ ერთხელ, ისიც ჭორის დონეზე ითქვა, რომ მძლავრი ბათუმური კლანის წარმომადგენელია. თუმცა, ეს ინფორმაცია სასაცილოდ არ ეყო არავის, ვისაც აჭარის კლანური დაჯგუფებების საქმიანობაში ჭკუა მართლა მოეკითხება. გაირკვა ისიც, რომ გოგონას მშობლები უმუშევრები არიან და, შესაბამისად, საკუთარ შვილს ამ გამარჯვებაში ვერც მატერიალურად დაეხმარებოდნენ. მეორე მხრივ, ეს საჭირო არ იყო, რადგან წლევანდელი "მის აჭარა" უდავოდ კარგი გოგონაა.

უხერხულობის განცდას მხოლოდ უკვე ხსენებული სომეხი სპეციალისტის სიტყვები ბადებს. კონკურსს "მის სომხეთის" სამი წარმომადგენელი ესწრებოდა (ერთ-ერთი მათგანი უფრო შორს წასულა და "მის მსოფლიოს" ჟიურიში სომეხი ლამაზმანების ლობისტობამდეც მიუღწევია). ჟიურის წევრმა მარიამ ვართანიანმა დანანებით აღნიშნა, რომ ინგა მშვენიერი გოგონაა, მაგრამ საერთაშორისო კონკურსზე წარმატების მიღწევა გაუჭირდება.

საბოლოოდ "მის აჭარით" ყველა კმაყოფილი დარჩა. თავად სანახაობაც თითქმის თავისუფალი იყო პროვინციული ელფერისგან და საინტერესო ქორეოგრაფიითა და ადგილობრივი მუსიკოსების საკონცერტო ელემენტებით იყო გამდიდრებული. განსაკუთრებული ყურადღება ჯგუფ "ტრანსის" ექსპერიმენტულმა საცეკვაო ნომრებმა დაიმსახურა, ყველაზე ხმამაღლა კი ჟღერდა ბათუმელი რეპერის სიმღერის ტექსტი: "მიშას გვერდით დგომით დავამარცხებთ მტერს". ტრადიციული იყო მაყურებლის რეაქციაც - თამამ კონკურსანტებს სტვენით, მორცხვებს კი ტაშით ამხნევებდნენ.

თუმცა, იყო ერთი უხერხული მომენტიც. აღმოჩნდა, რომ საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი გოგონები სცენაზე მეტად თამამი და გამომწვევი ტექსტის მქონე მუსიკის ფონზე უნდა გასულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ იგივე მუსიკა ჟღერდა რეპეტიციებზეც, რამდენიმე გოგონამ პროტესტი გამოთქვა და სცენაზე მხოლოდ მუსიკის ჩამთავრების შემდეგ გავიდა.

ინგა კონცელიძეს კი საპროტესტო არაფერი ჰქონდა - სცენაზე საცურაო კოსტიუმითაც გაისეირნა, ჟიურის თავი მოაწონა და დედოფლის გვირგვინიც მიიღო.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24







მეუღლე თენგიზ ვაშაკიძე, შვილები შალვა და ია, რძალი თინათინ კიკნაველიძე, შვილიშვილი მარიამ ვაშაკიძე, და ცისანა სოსელია, ძმა მალხაზ სოსელია, დეიდაშვილები და ბიძაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნელი შოთას ასული სოსელია**

**პანაშვიდი 5,6 აპრილი**
**გამოსვენება 7 აპრილს 14 საათზე.**
**მისამართი ბუდაპეშტის 48**



შვილები მერაბი და ზურაბ ნიკურაძეები,შვილიშვილები გიორგი და ავთანდილი, რძალი
ლარისა ნიკურაძე, დისშვილი რუსიკო ჯანგველაძე, ძმისშვილები ვაჟა და ნანა ნიკურაძეები
იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ავთანდილ პორფილეს-ძე ნიკურაძე**

**პანაშვიდები: 5 და 6 აპრილს, 16.00 საათზე**
**გამოსვენება: 7 აპრილს 14.00 საათზე**
**მისამართი: თბილისი, ჩარგლის ქ. N 26**

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ჭ.უნძაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




## TV5-ის პროგრამები
### 5 აპრილი

06.00, 08.00, 09.00(კანადა) 12.00, 15.00(ბელგია) 16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.20(შვეიცარია), 02.45(აფრიკა), 04.00 TV-5-ის საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 14.00, 19.00, 22.00 TV-5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 06.30 აკუსტიკა. 07.00 მოგზაურობა შიმშილის საწინააღმდეგოდ. დოკ. ფილმი. 08.30 ტელედილა. 11.05 გადაცემა საოჯახო ფოტოები. 12.15 სამხრეთის ანარეკლი. 15.30 ციფრები და ასოები. ტელეთამაში. 16.25 მეტისი. მხ. ფილმი. 18.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 20.25 გადაცემა: თალასა. 23.00 გადაცემა: თვალსაზრისი. 24.30 ბიძაშვილები მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ შაბროლი. 04.25 მაშველები. ტელესერიალი.

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.